

PT/6/2003/EA

"Pax quaerenda est"

შენ აზროვნებოდა
P E A C E T I M E S



მშვიდობა სამართალზე დგას!
There is no Peace without Justice!



INTERNATIONAL PEACE TIMES #6/2003

რედაქტორი: ირაკლი კაკაბაძე
Editor in Chief: Irakli Kakabadze

რედაქტორის მოადგილეები: ლაშა ბუღაძე, ლელა ცისკარიშვილი
Deputy Editors: Lasha Bughadze, Lela Tsiskarishvili

სარედაქციო კოლეგია: რატი ამაღლობელი, სალომე ასათიანი, გიგა ბოკერია, გიორგი მარგველაშვილი, რუსუდან მშვიდლობაძე, გაგა ნიჟარაძე, გიო სუმბაძე, გიორგი ხუციშვილი
Editorial Board: Rati Amaghlobeli, Salome Asatiani, Giga Bokeria, George Margvelashvili, Rusudan Mshvidobadze, Gaga Nizharadze, Gio Sumbadze, George Khutsishvili

დიზაინი / Design : ΓΟΣΛΑΒ

ყდაზე: გიო მგელაძის ფოტოები სერიიდან „ტიბეტი“
Photos - Averde / Reverde: Gio Mgeladze from series “Tibet”

განსაკუთრებული მადლობა: ნანა მელიტსკაურს (კორექტურული სამუშაოები)
Special Thanks: Nana Melitskauri (Technical Edition)

მისამართი:

ივ. მახაბლის 5,1 სართული,
თბილისი 380005, საქართველო
საფოსტო მისამართი:
საფოსტო ყუთი 38,
თბილისი 380079 საქართველო
ტელეფონები: 99-99-87, 93-91-78
ფაქსი: 93-91-78

Address:

5 Machabeli Str., 1st Floor,
Tbilisi 380005, Georgia

Post Address:

PO Box 38,
Tbilisi 380079, Georgia

Tel: (995 32) 99-99-87, (995 32) 93-91-78

E-mail: iccn@iccn.ge

<http://www.iccn.ge>

© 2003 by ICCN

დრო მშვიდობისა

გამოიცემა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ

ფინანსური მხარდაჭერა „ქორდეისა“



The Peace Times

Published by the International Center on Conflict and Negotiation

Supported by Cordaid

შუვნალში გამოიქმნეული მისაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის ან კონფლიქტოლოგიის ცენტრის პოზიციას

შუვნალში გამოიქმნეული ტექსტების ან ფოტომასალების სხვა გამოცემებში გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ კონფლიქტოლოგიის ცენტრის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. ცენტრისა და შუვნალის ლოგოს გამოყენების კესკლეების უფლებები კონფლიქტოლოგიის ცენტრს

სარჩევი/**contents** :

ჯონ მაკდონალდი / საერთაშორისო კონფერენციების დიპლომატია	8
დავით კავთიაშვილი / გლობალიზაცია და ევროკავშირი საქართველოსთან მიმართებაში	22
რონ ქრეიბილი / კარგი პროცესის დიზაინის პრინციპები	33
თამარ ციხისთავი / მასმედის როლი კონფლიქტების ესკალაციასა და დეესკალაციაში.	42
პო ვან ჟიონი / არაძალადობა	56
ლია გუგუნავა / შექსპირის ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებები „ჰამლეტის“ მიხედვით და პარალელები რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“	75
Bidzina Giorgobiani / Politische Aspekte Integration der (Schwarzmeerwirtschaftsregion) SMWR	86
შორენა ლორთქიფანიძე / ეთნოსიმბოლიზმი	93
Jan Koehler / The School of the Street	99
Георгий Маргвелашვილი / Иудифь	138
აკა მორჩილაძე / კაი ბიჭის ცხოვრება@hotmail.com	136
ბასა ჯანიკაშვილი / ლექსები	148
ირაკლი კაკაბაძე / სიყვარულის დოქტრინა	152

ჩვენ ვგმობთ რელიგიურ ტერორიზმს საქართველოში

რელიგიურ მიმდინარეობებზე გახშირებული თავდასხმების, მათი თავშეყრის ადგილების დარბევის, რელიგიური ლიტერატურის დაწვისა და განადგურების, ფიზიკური თუ მორალური ძალადობის სხვა ფაქტები, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენი დღევანდელი რეალობის ნაწილს წარმოადგენს. ეკლესიიდან განკვეთილი მღვდლის, ბასილ მკალავიშვილისა და მის მიმდევართა ფსევდო-რელიგიური ექტრემისტული დაჯგუფების მიერ განხორციელებული ამგვარი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები რატომღაც სამართალდამცავთა ყურადღების მიღმა რჩება. თავდაპირველად, მკალავიშვილის მიმდევართა ძალადობა თუ ძირითადად იეპოვას მოწმეების წინააღმდეგ იყო მიმართული, ბოლო დროს რელიგიური შეუწყნარებლობის, ძალადობის პირდაპირ მსხვერპლთა სპექტრი იზრდება, აგრესია თანდათან უფრო ფართომასშტაბიან ანტისოციალურ ხასიათს იძენს, რაც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების დაშინებას ისახავს მიზნად.

ამას ცხადყოფს ა.წ. 24 იანვარს, საქართველოში არსებული ყველა ქრისტიანული კონფესიის ხელმძღვანელთა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენელთა მშვიდობიანი შეკრების უმოწყალო დარბევის ფაქტიც. აღსანიშნავია, რომ ამ შეკრებას, რომელიც ტრადიციული ეკუმენური ლოცვის აღსავლენად უნდა შემდგარიყო, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ჩვენი საზოგადოების უმოქმედობამ თუ გულგრილობამ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. ჩვენს თვალწინ შეუწყნარებლობისა და ქსენოფობიის სენი ძირს უთხრის ქვეყანაში ახლადამკვიდრებულ დემოკრატიულ ფასეულობებს და საფრთხეს უქმნის მთლიანად სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესს. უფრო მეტიც, რელიგიურ ექსტრემისტთა ძალადობრივი ქმედებები, თავისი ფორმითა და შინაარსით, ფაქტობრივად შეესაბამება ტერორიზმის საერთაშორისო განსაზღვრებას, რაც სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან მკაცრი აღმკვეთი ღონისძიებების გატარებასა და შესაბამისი სისხლის სამართლის სასჯელის მისადაგებას მოითხოვს. საზოგადოების მხრიდან კი ამ ფაქტებზე თვალის დახუჭვა და ძალადობასთან შეგუება კიდევ უფრო აღვივებს შეუწყნარებლობის სინდრომს და რელიგიურ ტერორიზმს.

სამწუხაროდ, შესაძლოა ეს პროტესტიც იქცეს „ხმად მლალადებისა უდაბნოსა შინა“. თუ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ეთნიური და რელიგიური კუთვნილების, სქესისა და პოლიტიკური მოსაზრებების მიუხედავად, ახლა არ გავერთიანდებით და ხმას არ ავიმალღებთ რელიგიური ტერორიზმის წინააღმდეგ, შესაძლოა ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ სწორედ ამგვარ „უდაბნოდ“ იქცეს.

ხმა ავიმალღოთ ექტრემიზმისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ!

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

We Condemn Religious Terrorism in Georgia

Cases of violent attacks of pseudo-religious extremist groups led by excommunicated priest Basil Mkalavishvili on confessional gatherings, congregations and clergymen, damaging the churches and burning of the religious literature became part of the sad reality in Georgia. Police is not trying to prevent or set a limit to these unlawful actions. Earlier these attacks concentrated mostly on Jehovah's Witnesses, but lately have diversified and are more and more acquiring features of a purposeful anti-social activity aiming at intimidation of the Georgian civil society and political circles.

This became obvious after the January 24, 2003 brutal attack on a peaceful assembly of the leaders of all Christian confessions and representatives of accredited diplomatic missions in Georgia gathered for an ecumenical prayer, among whom representatives of the Georgian Orthodox Church participated.

Our society's inaction led to deplorable results. Now we are witnessing a grown monster of intolerance and xenophobia trying to explode from the inside the yet unstable democracy and jeopardizing our young independent statehood. The extremists' actions contradict Georgian criminal law. Moreover, they fully conform with the internationally shared definitions of terrorism and should normally be subject to severe measures of law-enforcement agencies. Unfortunately, no measures at all are used towards the criminals.

In order not to let this and similar appeals stay a voice of one crying in the wilderness - and wilderness may be what are country turns finally into - unite and raise your voices, all people of good will in Georgia, whatever your ethnicity, religion, gender or political views are,

SAY NO TO EXTREMISM AND VIOLENCE!


The International Center on Conflict and Negotiation

მშვიდობა სამართალზე დგას 1

**გიო მგელაძის ფოტო
Photo by Gio Mgeladze**

There is no Peace without Justice 1





PEACE SCIENCE

ԻՐԱՅԱՑԱԳՈՐԸ ԴՍՔԱԾԱՅԸ



საერთაშორისო კონფერენციების დიპლომატია ოთხი პრინციპი

ელჩი ჯონ მაკდონალდი



ელჩი ჯონ მაკდონალდი / საერთაშორისო კონფერენციების დიპლომატია

ელჩი ჯონ მაკდონალდს მეტად საინტერესო და მრავლისმთქმელი ბიოგრაფია აქვს. წლების მანძილზე მუშაობდა მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. იურისტი, დიპლომატი, განვითარებისა და მშვიდობის მშენებლობის ექსპერტი სოციალური, ეკონომიკური და ეთნიკური პრობლემების კვლევით იყო დაკავებული. მან, როგორც დიპლომატმა, ოცი წელი დაჰყო დასავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. 16 წლის მანძილზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მეტად მნიშვნელოვან სფეროს, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს კურირებდა. დღეს იგი მრავალ-მხრივი დიპლომატიის ინტიტუტის თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელია. ორგანიზაცია ეროვნულ და ეროვნებათშორის კონფლიქტებს იკვლევს.

ელჩი მაკდონალდი ჯორჯ მესონისა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტებში მოღვაწეობს. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, 1983 წლიდან იგი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობების კვლევის ცენტრში, მრავალმხრივი ურთიერთობების განყოფილების კოორდინატორია. მართავს სიმპოზიუმებს, მოლაპარაკებების ხელოვნების, მრავალმხრივი დიპლომატიისა და კონფლიქტებში საერთაშორისო ორგანიზაციების როლის შესახებ. ამ დარგში რამდენიმე წიგნის ავტორად გვევლინება.

ჯონ მაკდონალდმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რიგ მოლაპარაკებებში. იყო INTELSAT-ის მსოფლიო კონფერენციის პრეზიდენტი, რომელიც პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ ხელშეკრულების პროექტს ამზადებდა. გახლდათ აშშ-ს დელეგაციის ხელმძღვანელი გაეროს მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც განვითარებად ქვეყნებს შორის ტექნიკურ თანამშრომლობას ეძღვნებოდა. რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება მისი, როგორც დიპლომატის ღვაწლი. უნდა აღინიშნოს, რომ 1974-1978 წლებში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის თანამდებობა ეჭირა. ხოლო მანამდე, ოცი წლის განმავლობაში (1947-1974 წლებში) წარმატებით მუშაობდა აშშ-ს მისიებში დასავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში.

საერთაშორისო კონფერენციების დიპლომატიაში იგულისხმება საერთაშორისო, მთავრობათაშორისი, მრავალმხრივი კონფერენციები, რომლებიც ეწყობა საერთაშორისო ორგანიზაციების სამდივნოების მიერ, მათი წევრი ქვეყნების

მოთხოვნის შესაბამისად. ამ კონფერენციების უმრავლესობას აწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს ოცდათხუთმეტ სხვადასხვა ორგანიზაციას. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველწლიურად გზავნის სამთავრობო დელეგაციებს წელიწადში 1000-მდე კონფერენციაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად 5000-მდე ამერიკელს ეძლევა საშუალება განივითაროს დიპლომატიური უნარები საკმაოდ უჩვეულო გარემოში. ქვემოთ წარმოდგენილი სტატია იღებს კონფლიქტების მოგვარების თეორიის რამდენიმე ასპექტს, მაგალითად, მცირე ჯგუფის ინტერაქციის აუცილებლობა კონსენსუსის მიღწევისათვის და არგებს ამ თეორიებს საერთაშორისო კონფერენციების პრაქტიკულ სამყაროს.

სამწუხაროდ, ამერიკის მთავრობაში დავალებების სწრაფი ცვალებადობის საერთაშორისო კონფერენციებზე დამსწრე ამერიკელთა დაახლოებით 25 პროცენტისთვის ეს შეხვედრა პირველია ამიტომ. მათ ნაკლები წარმოდგენა აქვთ იმის შესახებ, თუ რა ხდება საერთაშორისო კონფერენციების სამყაროში. ამ სიტუაციის გამოსწორების მიზნით, რამდენიმე წლის წინ, მე შევიძუშავე პრაქტიკული სახელმძღვანელო საერთაშორისო დიპლომატიაში ახლად მოსული ადამიანებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან და განსხვავებულ უნარებს მოითხოვს. ორმხრივი მოლაპარაკების შემთხვევაში ორი ქვეყნის წარმომადგენლები სხედან და საუბრობენ. სწორედ ამით არის დაკავებული დიპლომატთა უმრავლესობა მათი კარიერის განმავლობაში. მრავალმხრივი მოლაპარაკება მოიცავს დიპლომატიურ ურთიერთქმედებას სამი ან მეტი ქვეყნის წარმომადგენელს შორის. გარდა გაეროს სისტემაში არსებული მრავალი ორგანიზაციისა, ეს მოიცავს ისეთ რეგიონალურ ორგანიზაციებს როგორც არის ეკონომიკური კოოპერაციის და განვითარების ორგანიზაცია, ამერიკის შეერთებული შტატების ორგანიზაცია, აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია, ა.შ., რომლებიც მოიცავენ ექვსიდან ორმოცდაათამდე წევრ სახელმწიფოს.

ორმხრივ მოლაპარაკებაში ორივე მხარემ როგორც წესი, ბევრი რამ იცის ერთმანეთის ენის, კულტურის, ტრადიციების და ისტორიის შესახებ, უმეტეს შემთხვევაში, ღროის განმავლობაში, ერთმანეთიც გაიცნეს და მოლაპარაკების საგანიც. უმეტესწილად მხარეებს შორის ნდობის ფაქტორი არის და მათ იციან ერთმანეთის სისუსტეები და სიძლიერეები. ამგვარი მოლაპარაკებები ტარდება მშვიდ, არაფორმალურ გარემოში, დახურულ კარს მიღმა, ხშირად თარჯიმნების და დროითი შეზღუდვების გარეშე. მოლაპარაკების შედეგი შეიძლება იყოს ვერბალური შეთანხმება ან ფორმალური ტექსტი, რომელსაც მხარეები ხელს აწერენ.

რაც შეეხება მრავალმხრივ მოლაპარაკებებს, აქ სრულებით განსხვავებული ვითარება სუფევს. გაეროს გლობალურ კონფერენციებში, როგორც წესი, მონაწილეობს 140-150 სხვადასხვა ქვეყნის 2000 ან მეტი დელეგატი, კონფერენ-

ცია მიმდინარეობს თარგმანით მრავალ ენაზე. ამის გარდა კონფერენციას ესწრება მსოფლიო პრესის ოთხასამდე წარმომადგენელი, ათეულობით არასამთავრობო ორგანიზაცია. მათ ყველას აინტერესებთ დისკუსიის საგანი და უნდათ ყველა დეტალის ცოდნა, გარდა ამისა, მათ აქვთ შესაძლებლობა, დაესწრონ თითქმის ყველა სესიას. ამასთან ყველა კონფერენციას აქვს დროითი შეზღუდვა. ამგვარ ვითარებაში ნდობის დამყარება ხელმძღვანელობასთან, მათთან ორ-სამ კვირაში კონსენსუსის მიღწევა, თითქმის წარმოუდგენელია.

ძალზე ცოტა მრავალმხრივი კონფერენცია მთავრდება ხელშეკრულების ტექსტის მომზადებით, რომელსაც ნაციონალური პარლამენტების მიერ რატიფიცირების შემდეგ კანონის ძალა ექნება. საერთაშორისო კონფერენციების დიდი უმრავლესობა მთავრდება კონსენსუსით რეზოლუციის ან მოქმედების გეგმის მიღებით; არცერთს არ გააჩნია კანონის ძალა. ეს არის უბრალოდ ფურცელი, რომელიც გადაეცემა წევრი ქვეყნების მთავრობებს რეკომენდაციის სახით. მას თავისთავად არანაირი ძალა არ გააჩნია და წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ამ მიიღონ, ან უარყონ იგი. რეზოლუციას მორალური დატვირთვა აქვს. თუ სახელმწიფომ მიიღო რეზოლუცია ან კონსენსუსით დაეთანხმა ტექსტს, იგი მორალურად ვალდებულია, შეასრულოს რეზოლუციაში მიღებული რეკომენდაცია.

იმის გამო, რომ რეზოლუციას და მოქმედების გეგმას არ გააჩნია კანონის ძალა, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციამ ისინი კონსენსუსით მიიღოს. თუ რეზოლუციაზე კენჭისყრა გახდა საჭირო, მაშინ თავიდანვე ცხადია, რომ მას აზრი და ძალა ეკარგება, რადგანაც ის სახელმწიფო, რომელიც მას ხმას არ მისცემს, არ იქნება ვალდებული განახორციელოს მოცემული რეკომენდაციები. მორალური დატვირთვა იკარგება. თუ კონსენსუსი მიღწეული იქნა, მაშინ ყველა წევრი სახელმწიფო ზეწოლის ქვეშ იქნება, რომ განახორციელოს შეთანხმებაში მიღებული პუნქტები. ეს ზეწოლა შესაძლოა საკმაოდ ძლიერიც აღმოჩნდეს. ამრიგად, ყველა მრავალმხრივი კონფერენციის მიზანია საჭირობოროტო საკითხზე კონსენსუსის მიღწევა.

ცხადია, რომ სხვადასხვა ტიპის მოლაპარაკებისთვის სხვადასხვანაირი უნარებია საჭირო. საერთაშორისო კონფერენციების დიპლომატმა უნდა იცოდეს, როგორ გაუმკლავდეს სირთულეებს იმისათვის, რომ რაიმე შედეგს მიაღწიოს მოცემული დროის ჩარჩოში. კონფერენციის მომზადების უნარი და წინა სამუშაო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია.

ეს სტატია დაწერილია ადამიანის მიერ, რომელსაც საერთაშორისო კონფერენციების ორმოცწლიანი გამოცდილება აქვს. ოთხი პრინციპი, რომელიც აქ არის აღწერილი, პრაქტიკული გამოცდილებიდან გამოიკვეთა.

პირველი პრინციპი

„არსებობს ზუსტი კორელაცია საერთაშორისო კონფერენციის წარმატებულობასა და მასზე დახარჯულ მოსამზადებელ პერიოდს შორის“.

1. ამერიკის მთავრობის კუთხიდან ყველაზე ცუდი მაგალითი, რაც მაგონ-დება საერთაშორისო კონფერენციისა, არის გაერთიანებული ერების ასამბლეის მეექვსე სპეციალური სესია, რომელიც ჩატარდა 1974 წლის აპრილ-მაისში.

ალჟირის პრეზიდენტმა ბუმედიენმა, რომელიც ფრუსტრირებული იყო 1973 წელს მესამე სამყაროს ქვეყნებისადმი ოპეკის (ნავთობის მაექსპორტირებელი ქვეყნების ორგანიზაცია) მიერ მიყენებული სანავთობო შოკით, გამოიყენა გაეროს წესდების მეოცე მუხლი და მოიწვია გაეროს ასამბლეის სპეციალური სესია ნიუ-იორკში. მეოცე მუხლის მიხედვით, სპეციალური სესია ”უნდა ჩატარდეს გაეროს წევრი ქვეყნების უმეტესობის მოთხოვნის შესაბამისად“. პრეზიდენტი ბუმედიენი ამავე დროს იყო “77-ის ჯგუფის” ხელმძღვანელი და ამგვარად წარმოადგენდა აზიისა და აფრიკის და ლათინური ამერიკის ყველა სახელმწიფოს, გაეროს წევრი ქვეყნების უმრავლესობას. 1974 წლის თებერვალს გაერთიანებული ერების სამდივნოსადმი მიწერილ წერილში მან განაცხადა, რომ სპეციალური სესიის განხილვის საგანი უნდა იყოს ”ნედლი მასალა და განვითარების პრობლემები“, რომელთა წინაშეც იდგა მსოფლიო. გაეროს წესების თანახმად კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო წერილის მიღებიდან ექვსი კვირის თავზე.

როგორც წესი, გაეროს სამდივნო თითოეული კონფერენციისთვის დოკუმენტაციის მომზადებას სამ წელს ანდომებს. ამ შემთხვევაში კონფერენციის გეგმის შეთანხმების დროც კი არ იყო. არავის ჰქონდა პასუხი იმაზე, იყო თუ არა ნავთობი “ნედლი მასალა“.

1974 წლის აპრილში გენერალური ასამბლეის სხდომა დაიწყო და დელეგატებმა შეიტყვეს, რომ სამდივნოს არანაირი მასალა არ მოუმზადებია, რადგანაც მას არ ჰქონდა ამის დრო და მითითებები მთავრობების მხრიდან ამ სერიოზული პოლიტიკური საკითხის ირგვლივ. ბუნებას არ უყვარს ვაკუუმი. 77-ის ჯგუფი შეიჭრა ამ ვაკუუმში და წამოწია ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის შექმნის იდეა, რომელიც გამობდა არსებულ საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგს, რადგანაც იგი არ ამცირებდა ეკონომიკურ სხვაობას მსოფლიოს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. რეზოლუციამ მართლაც რომ გააერთიანა 77-ის ჯგუფის დიდი ხნის სურვილები და წყენები ახალი სახელის ქვეშ. დასავლეთი ყოვლად მოუზადებელი აღმოჩნდა ამისათვის, მაგრამ საბოლოოდ, 1974 წლის მაისში, შეუერთდა ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ორ რეზოლუციას. ამერიკის მთავრობაში ძალიან ბევრი ნანობდა ამ ქმედებას შემდეგი ათწლეულის განმავლობაში.

2. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი საერთაშორისო სამდივნოს არ-

აეფექტურობისა და საერთაშორისო კონფერენციებში მისი როლის გაგებისა, არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის მესამე კონფერენცია დელიში, რომელიც 1980 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა.

ამ შემთხვევაში, ამ ორგანიზაციის სამდივნოს აღმასრულებელმა დირექტორმა შექმნა საკუთარ ორგანიზაციაში საიდუმლო განყოფილება, წევრი ქვეყნების ინფორმირების გარეშე. მან დაავალა ახალ განყოფილებას ახალი წინადადებების შემოთავაზება, რომლებითაც გააკვირვებდა მთავრობებს კონფერენციის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე. განყოფილებამ მხოლოდ იდეების განვითარებისთვის დახარჯა მილიონ დოლარზე მეტი. როდესაც დოკუმენტი საბოლოოდ წარადგინეს, უკლებლივ ყველა წევრი სახელმწიფო შოკში ჩავარდა. გეგმა მიზნად ისახავდა ჩვიდმეტი ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომლებიც UNIDO-ს მიერ გაკონტროლდებოდნენ, რაც მილიარდობით დოლარს მოითხოვდა. დოკუმენტი იმდენად არ ასახავდა წევრი ქვეყნების რეალურ მოთხოვნებს და პრაქტიკულად განხორციელებად ქმედებებს, და ყველა იმდენად გაბრაზებული იყო იმით, რომ მათგან კონსულტაციები არ აიღეს, რომ კონფერენციის დაწყებისას ყველამ სრული იგნორირება გაუკეთა ტექსტს. სამკვირიან კონფერენციაზე არც ერთმა 2000 დელეგატიდან ერთხელაც არ ახსენა ამის შესახებ. სამდივნომ შეურაცხყოფა მიაყენა მთავრობებს მათი მანდატების იგნორირებით, ამას გარდა, მათ ტყუილად დახარჯეს სამთავრობო კონტრიბუციებიდან მილიონი დოლარი და ვერანაირი დოკუმენტი ვერ წარადგინეს განხილვისათვის.

იმის გამო, რომ არანაირი განსახილველი საკითხი არ იყო წამოყენებული, აქაც ვაკუუმი შეიქმნა. 77-ის ჯგუფმა გადაწყვიტა, წარედგინათ ტექსტის ვარიანტი, რომელსაც “ჰავანის დელკლარაცია” ერქვა. 77-ის ჯგუფის რადიკალურმა წევრებმა შეიმუშავეს ეს დოკუმენტი ჰავანაში შეხვედრისას, პრეზიდენტ კასტროს ხელმძღვანელობით, სამი კვირით ადრე, სანამ UNIDO-ს კონფერენცია გაიხსნებოდა. დასავლეთის წარმომადგენლებმა სცადეს, საპირისპირო ტექსტი შეექმნათ, მაგრამ საბოლოოდ ეს ჩაიშალა. პოლიტიკურად რადიკალური ჰავანის დეკლარაცია სხვა რამეებთან ერთად ითვალისწინებდა ორმილიარდიანი ინდუსტრიული განვითარების ფონდების ჩამოყალიბებას. ეს ფონდები გაიმართებოდა 77-ის ჯგუფის მიერ, მაგრამ დაფინანსება უნდა წამოსულიყო დასავლური დონორი ქვეყნების საერთაშორისო გადასახადებით ინდუსტრიულ ექსპორტზე. საბოლოოდ დადგა ჰავანის დეკლარაციის კენჭისყრის საკითხი. იგი მიღებულ იქნა, თუმცა ყველა დასავლურმა დელეგაციამ მის წინააღმდეგ მისცა ხმა. UNIDO, როგორც ორგანიზაცია, თითქმის დაიშალა ამ დოკუმენტის კენჭისყრაზე გატანის გამო, რადგანაც დასავლური ქვეყნები იმდენად გაბრაზდნენ, რომ გადაწყვიტეს ბოიკოტი გამოეცხადებინათ UNIDO-ს მიერ ორგანიზებული კონფერენციებისთვის.

3. არსებობს მრავალი მაგალითი საერთაშორისო კონფერენციების კარგი

და დეტალური მომზადებისა, რასაც შემდგომ ძალზე წარმატებული კონფერენცია მოჰყოლია. ალბათ საუკეთესო მაგალითია 1982 წლის აგვისტოში ვენაში ჩატარებული გაეროს მსოფლიო ასამბლეა სიბერესთან დაკავშირებით. გაეროს სამდივნოს ხელმძღვანელობდა გამოცდილი ყოფილი დიპლომატი. ორკვირიან კონფერენციას წინ უძღოდა ორწლიანი მოსამზადებელი პერიოდი. საბოლოო ვაშში კონფერენციამდე ჩატარდა 15 შეხვედრა და კონფერენციისათვის მომზადდა არაჩვეულებრივი დოკუმენტაცია.

თავდაპირველად სამდივნომ დააფინანსა შვიდი ექსპერტთა არასამთავრობო შეხვედრა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მათი ანგარიშები გადაიგზავნა ხუთ სამთავრობო რეგიონალურ შეხვედრაზე, რომლებიც გაიმართა მანილაში, სან-ხოსეში (კოსტა-რიკა), ადის-აბებაში, ამანსა და ვენაში. შემდგომში ეს მრავალრიცხოვანი დოკუმენტაცია გადაეცა გაეროს სამდივნოს ვენაში, რომელმაც შექმნა 40-გვერდიანი დოკუმენტი, მოქმედების გეგმა, სადაც მოცემული იყო 45 რეკომენდაცია ნაციონალური და საერთაშორისო ქმედებისათვის. ამის გარდა, ჩამოყალიბდა 23 ქვეყნისგან შემდგარი მრჩეველთა კომიტეტი, რომელმაც ჩაატარა სამი სტრატეგიული შეხვედრა კონფერენციის დაწყებამდე. 1982 წლის მარტში 43 ქვეყნის 159 არასამთავრობო ორგანიზაციის 340-მა მონაწილემ ჩაატარა საკუთარი გლობალური კონფერენცია და წარადგინა რეკომენდაციები ვენის სამდივნოში მოქმედების გეგმაში ჩასართავად.

იმ დროისათვის, როცა 2000 დელეგატი ჩავიდა ვენაში დიდი კონფერენციისთვის, ყველას იმის განცდა ჰქონდა, რომ ისინი პროცესის თანამონაწილენი იყვნენ. მათ შესწავლილი ჰქონდათ მოქმედების გეგმის ტექსტი და მზად იყვნენ განეხილათ ტექსტის მნიშვნელოვანი პუნქტები. მოქმედების გეგმა მიღებულ იქნა კონსენსუსით, მოცემულ დროში, დიდი ოვაციებით. ეს იყო წარმოუდგენელი მიღწევა; წარმატების მთავარი კომპონენტი მოსამზადებელ პერიოდში გაწეული სამუშაო იყო.

„მომზადების პრინციპი“ ეხება ეროვნულ დელეგაციებს, რომლებიც მიდიან კონფერენციაზე, ისევე როგორც საერთაშორისო სამდივნოებს. მე დანიშნული ვიყავი აშშ-ს დელეგაციის უფროსად სიბერესთან დაკავშირებულ მსოფლიო კონფერენციაზე, ორი წლით ადრე, სანამ კონფერენცია დაიწყებოდა. მაშინვე დავიწყე მუშაობა იმაზე, რომ შეექმნა 10-კაციანი ამერიკული სამდივნო. კონფერენციამდე 16 თვით ადრე ჩამოყალიბდა ფედერალური ინტერ-სააგენტოების კომისია, რომელიც მოიცავდა 30 სამთავრობო სააგენტოს და ხელმძღვანელ მუშაკებს სენატიდან და წარმომადგენელთა პალატიდან. გარდა ამისა, შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციების ორმოცდაათკაციანი კომიტეტი, რომელმაც შეისწავლა ამერიკის მთავრობის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი. კონფერენციამდე ექვსი თვით ადრე შექმნილი დოკუმენტი, სადაც გამოკვეთილი იყო ჩვენი მიზნები და ამოცანები, ხოლო კონფერენციამდე სამი თვით ადრე, თეთრმა სახლმა დაამტკიცა ჩვენს მიერ წარდგენილი ვენის დელეგაცია. გუნდურად მუშაობამ განაპირობა ის, რომ ვენაში ჩვენ ერთიანობა გვქონდა, რაც

წინა პირობა იყო წარმატებისთვის.

მეორე პრინციპი

„საერთაშორისო კონფერენციის დელეგაციის წევრთა რაოდენობა და მათი დიპლომატიური მომზადების დონე, პირდაპირ პროპორციამაა საერთაშორისო კონფერენციისადმი საშინაო პოლიტიკური ინტერესის ხარისხთან.“

1. საერთაშორისო კონფერენციაზე დელეგაციის წევრთა რაოდენობა და დელეგაციის თავმჯდომარის წოდება ბიუროკრატიულ იერარქიაში ავტომატურად ნათელს ხდის ყველა სხვა დელეგაციისთვის, რა მნიშვნელობას ანიჭებს მოცემული მთავრობა საერთაშორისო კონფერენციას. ყველაზე დიდ სამთავრობო ბრძოლებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც წყდება, თუ ვინ უხელმძღვანელებს დელეგაციას იმ კონფერენციაზე, რომლის განსახილველი საკითხიც დიდ საშინაო ინტერესს წარმოადგენს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ “ხელშეკრულება”, რომელიც დიდი ბრძოლის შედეგად დაიდო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის იმის თაობაზე, თუ ვინ უხელმძღვანელებდა ამერიკის დელეგაციას „მსოფლიო კვების“ პროგრამის კონფერენციებზე, რომლებიც ორ წელიწადში ერთხელ რომში ტარდებოდა. კონფერენციებზე განსახილველი საკითხები არ წარმოადგენდა იმდენ ინტერესს, რამდენსაც ის, თუ რომელი სტრუქტურის წევრი იქნებოდა დელეგაციის უფროსი.

თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები არ არის ერთადერთი, ვინც ამ საკითხის წინაშე დგას. გაერთიანებული ერების კონფერენციაზე ვაჭრობისა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც 1986 წელს ახალ დელიში ჩატარდა, ამერიკას წარმოადგენდა ძალზე ძლიერი თხუთმეტკაციანი დელეგაცია, რომელსაც გამოცდილი პროფესიონალი ხელმძღვანელობდა და კონფერენციაზე ამერიკამ თავის მიზნებს მიაღწია. იაპონიას ჰყავდა 93 ადამიანისგან შემდგარი დელეგაცია, რომელშიც სამი მზარეულიც იმყოფებოდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, იაპონიას წარმოადგენდა ექვსი დელეგაცია – თითო თხუთმეტი ადამიანისგან შედგებოდა – ექვსი სხვადასხვა სამინისტროდან. ტოკიოში ისინი ვერ შეთანხმდნენ, თუ რა პოზიცია წარმოედგინა იაპონიას კონფერენციაზე, ამრიგად, ნდობის ნაკლებობის გამო, თითო სამინისტრომ თითო დელეგაცია გაგზავნა. UNIDO III-ის შეხვედრაზე დასავლეთ გერმანიას მსგავსი პრობლემა შეექმნა. სამკვირიან კონფერენციაზე მთავრობამ გაგზავნა თითო მინისტრი სხვადასხვა სამინისტროდან თითო კვირით, რადგანაც ბონში ისინი ვერ შეთანხმდნენ, თუ რა პოლიტიკა აერჩიათ. ეს დელეგაცია ასევე სრულიად არაეფექტური გამოდგა.

2. ამერიკის მთავრობაში ნაკლები დაინტერესება იყო იმით, თუ ვინ უხელმძღვანელებდა დელეგაციას გაეროს მსოფლიო კონფერენციაზე განვითარებად ქვეყნებს შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, რომელიც 1978 წელს ბუენოს-აირესში ტარდებოდა. ამრიგად მე, როგორც ელჩს, მთხოვეს მეხელმძღვანელა დელეგაციისთვის. მე ჩამოვყალიბე ათი ადამიანისგან შემდგარი გუნდი, რომელმაც ძალზე წარმატებულად მიიღო მონაწილეობა კონფერენციის მუშა-

ობაში. თავდაპირველად, მესამე მსოფლიოს ქვეყნები გაბრაზდნენ, რომ ამერიკის დელეგაციის მეთაური არ იყო მინისტრი, რადგანაც მესამე მსოფლიოს ყველა ქვეყანას მინისტრ წარმოადგენდა. თუმცა ეს გაქარწყლდა მას შემდეგ, რაც მე წარუდგინე კონფერენციას პრეზიდენტ კარტერის პირადი მიმართვა – ის იყო ერთადერთი სახელმწიფოს ლიდერი, რომელმაც ამგვარი ჟესტი გააკეთა.

3. აშშ-ს დელეგაციას გაეროს მსოფლიო კონფერენციაზე “მეცნიერება და ტექნოლოგია განვითარებისთვის”, რომელიც ვენაში ჩატარდა 1979 წელს, ხელმძღვანელობდა კონფერენციების დიპლომატიაში გამოუცდელი პირი. ამის შედეგად, აშშ-ს დელეგაციის წევრთა რაოდენობამ 120-ს მიაღწია, რომელთა დიდი ნაწილი განწყობილი იყო მშვენიერი ქალაქის დასათვალიერებლად და კარგი დროის გასატარებლად. დელეგაციის პირველ ბრიფინგზე, რომელიც ვენაში ჩატარდა კონფერენციის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, 20 ადამიანი აჯანყდა და მათ გამოაცხადეს, რომ არაფერი ესაქმებოდათ ვენაში და უკან აპირებდნენ დაბრუნებას. კონფერენცია დიდ საშინაო ინტერესს წარმოადგენდა ამერიკისთვის, მაგრამ ამერიკის მხრიდან ამ შეხვედრის სამდივნო გამოუცდელი იყო და ვერ გააკონტროლა დელეგატთა რაოდენობა მანამ, სანამ უკვე ძალიან გვიანი არ იყო. თუმცა დელეგაციის წევრთა უმრავლესობა შეუდგა სამუშაოს და კონფერენციამ წარმატებულად ჩაიარა.

4. 1980 წელს გაერო კოპენჰაგენში ატარებდა მსოფლიო კონფერენციას სახელწოდებით “დეკადის-შუა კონფერენცია ქალებსა და განვითარებაზე”. სახელმწიფო დეპარტამენტმა წარუდგინა თეთრ სახლს ბალანსირებული და კვალიფიცირებული, თორმეტი ადამიანისგან შემდგარი დელეგაცია. როდესაც თეთრმა სახლმა დააბრუნა სია, იგი გაზრდილი იყო 82-მდე და დელეგაციაში ჩართული იყო მხოლოდ სამი მამაკაცი. სიაში წარმოდგენილი იყო ქალთა უმცირესობის ყველა ჯგუფის წარმომადგენელი; პრაქტიკულად არც ერთ მათგანს არ გააჩნდა რამე გამოცდილება გაეროს კონფერენციებში მონაწილეობისა.

გარდა ამისა, დელეგაციის ხელმძღვანელს არ სურდა არანაირი ბრიფინგის ჩატარება კონფერენციის შესახებ. სამწუხაროდ, დელეგაციის ცალკეულმა წევრებმა, რომლებიც გაშუღმებით ეკამათებოდნენ ერთმანეთს ამერიკაში, გამოიტანეს თავიანთი უთანხმოებები კონფერენციის მსვლელობისას. კონფერენცია ქაოტურად წარიმართა, რის შედეგადაც ამერიკამ მოქმედების გეგმის წინააღმდეგ მისცა ხმა, შესაბამისად გაერომ გააჩერა ქალთა პროგრამა შემდგომი ხუთი წლით.

5. ჩვენ დაახლოებით 500 განაცხადამდე გვქონდა ადამიანებისგან, რომელთაც სურდათ ყოფილიყვნენ აშშ-ს დელეგაციაში ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ მსოფლიო ასამბლეაზე. ჩვენ წარვადგინეთ 30 ადამიანისგან შემდგარი დელეგაცია, კონგრესის წარმომადგენლების ჩათვლით. პირადად მე, საკმაოდ საინტერესო გამოცდილება მივიღე თეთრი სახლისთვის ამ სიის წარდგენისას. ყველა დიდ კონფერენციაზე აღმასრულებელი ხელისუფლება ეკითხება საკანონმდებლო ორგანოს, სურთ თუ არა მათ წარადგინონ ორი სენატორი, (თითო პარტიიდან) და ოთხი წარმომადგენელთა პალატის წევრი (ორი თითო პარტიიდან), დელეგაციის წევრებად. ამ შემთხვევაში მე მქონდა წერილები ორივე პალატის ხელმძღვანელობისგან, სადაც ისინი თავიანთ

კანდიდატებს ასახელებდნენ, ამრიგად, მე ავტომატურად ჩავრთე ისინი სიაში, რომელიც გავგზავნე თეთრ სახლში დასამტკიცებლად.

კლოდ პეპერი, წარმომადგენელთა პალატის “ბატონი ხანდაზმულობა”, ასევე პალატის ხანდაზმულობის კომიტეტის თავმჯდომარე, ერთ-ერთი კანდიდატი იყო ქვედა პალატიდან. ადვილი წარმოსადგენია ჩემი გაკვირვება, როდესაც დამტკიცებული სია მივიღე თეთრი სახლიდან და კლოდ პეპერის სახელზე ხაზი იყო გადასმული. მაშინვე დაუკავშირდი ჩემს საკონტაქტო პირს თეთრ სახლში, რომელმაც მითხრა, რომ ეს იყო “ზევიდან” მიღებული მტკიცე გადაწყვეტილება. შემდეგ მიემართე ჩემს ასისტენტ მდივანს, რომელსაც მოუყევი, თუ რაში იყო საქმე და ვუთხარი, რომ არ მინდოდა ვყოფილიყავი ის ადამიანი, ვინც ეტყოდა, კლოდ პეპერს უარის შესახებ; ცხადია, არც ჩემს უფროსს უნდოდა, ეს ადამიანი ყოფილიყო, ამრიგად მან გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება თავის მეგობრებთან თეთრ სახლში. ვენაში წასვლის წინ მე გამომიძახეს მასთან და მითხრეს, რომ ჩემი გავიტანე. თუმცა პირადად ვიყავი პასუხისმგებელი კლოდ პეპერის ქმედებებზე ვენაში ყოფნის პერიოდში და უნდა მიმეხედა იმისათვის, რომ მას არაფერი ჩაედინა. რა თქმა უნდა, სენატორი ძალზე ღირსეულად იქცეოდა და არავითარი პრობლემა არ შექმნილა.

ვაშინგტონში დაბრუნებისას მივაკვლიე, თუ რაში იყო საქმე. როგორც ჩანდა, პრეზიდენტმა რეიგანმა პირადად გადაუსხვა ხაზი კლოდ პეპერის სახელს, რადგანაც ბრაზობდა მასზე. ერთი დღით ადრე, სანამ პრეზიდენტი სიას იხილავდა, მან სიტყვა წარმოთქვა კაპიტოლიუმის კიბეებზე სოციალური უსაფრთხოების შესახებ, ამ მოვლენას 50 ადამიანი ესწრებოდა. იმავე დროს, კაპიტოლიუმის მეორე მხარეს, კლოდ პეპერი საუბრობდა იმავე საკითხზე ხუთიათასიანი აუდიტორიის წინაშე.

მესამე პრინციპი

„კონფერენციის სტრუქტურის ბრძნულად გამოყენება შეიძლება წარმატების წინაპირობა იყოს“.

ყველა დიდ კონფერენციას აქვს გარკვეული სტრუქტურა, რომელიც წინასწარ განისაზღვრება “პროცედურის წესების” დოკუმენტში. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს პლენარული სესიის როლს, კომიტეტების რაოდენობას, ხსნის, თუ როგორ უნდა აირჩიონ კონფერენციის ოფიცრები, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ, განიხილავს კენჭისყრის პროცედურას და განმარტავს, ვის შეუძლია იყოს დამკვირვებელი და რა უფლებები აქვს დამკვირვებელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წესები განსაზღვრავენ კონფერენციის მუშაობის მექანიზმს. ეს არის შეხვედრის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელსაც ახალბედები ყოველთვის იგნორირებას უკეთებენ. პროცედურის წესების კარგად ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია; თუნდაც იმ მხრივ, რომ ადამიანმა იცოდეს, თუ

რა არ შედის წესებში და რა შესაძლებლობები გააჩნია მას.

უკვე 1962 წელს გაერო მიხვდა, რომ მისი წევრი ქვეყნების რაოდენობა იმდენად სწრაფად იზრდებოდა, რომ გარკვეული სიახლეები უნდა შემუშავებულიყო, იმისათვის, რომ წევრების მზარდ რაოდენობასთან ერთად მოლაპარაკება ეფექტური ყოფილიყო. ამ წელს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით ჩამოყალიბდა “ჯგუფების” სისტემა. ყველა წევრი სახელმწიფო მიეკუთვნა გარკვეულ ჯგუფს. ჯგუფი ა მოიცავდა ყველა აზიურ და აფრიკულ სახელმწიფოს, ჯგუფი ბ შედგებოდა განვითარებული ქვეყნებისგან: ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და იაპონია, ჯგუფ ც-ში გაწევრიანებული იყო ლათინური ამერიკა, ხოლო ჯგუფ დ-ში - აღმოსავლეთ ევროპა. ა და ც ჯგუფები მალე მიხვდნენ, რომ ბევრი რამ აერთიანებდათ. ისინი არაფორმალურად გაერთიანდნენ და საკუთარ თავს 77-ის ჯგუფი უწოდეს, რადგანაც ამ ორ ჯგუფში 77 სახელმწიფო მოიაზრებოდა. დღეს მესამე მსოფლიოს წევრი 130 სახელმწიფოა გაერთიანებული გაეროში, მაგრამ ისინი მაინც 77-ის ჯგუფს უწოდებენ საკუთარ თავს. თითო ჯგუფმა აირჩია სპიკერი, რომელიც წარადგენდა ჯგუფის მოსაზრებას განსახილველი საკითხის ირგვლივ. აზიას, აფრიკას და ლათინურ ამერიკას, გარდა საერთო 77-ის ჯგუფის ლიდერისა, ცალკეული ჯგუფის წარმომადგენელიც ჰყავდათ. ეს არარიგიდული სისტემა იყო; დელეგაციის ხელმძღვანელებს შეეძლოთ ელაპარაკათ კონფერენციის მსვლელობისას, მაგრამ ჯგუფის ლიდერს სერიოზული ძალა და გავლენიანობა გააჩნდა. დღესდღეობით გაეროს სისტემაში პრევალირებს ჯგუფური პრინციპი.

1. 1978 წელს ბუენოს-აირესში ორკვირიანმა TCDC-ს კონფერენციამ წარმოადგინა შესანიშნავი შესაძლებლობა იმისა, რომ კონფერენციის სტრუქტურა დაწყობილიყო პროცედურის წესების ფარგლებს გარეთ. წესებით გათვალისწინებული იყო პლენარული სესია. უსახსრობის გამო, თარჯიმნები არ მუშაობდნენ, და მხოლოდ ერთი კომიტეტი არსებობდა. 800 ადამიანისგან შემდგარ კომიტეტს უნდა შეესწავლა 32-გვერდიანი მოქმედების გეგმა და მის მისაღებად რეკომენდაცია გაეწია პლენარული სესიისთვის. მესამე დღის ბოლოსთვის კომისია მორჩა პირველი გვერდის შესწავლას. რაღაც უნდა შექმნილიყო პროცედურის წესების ფარგლებს გარეთ. ჩამოყალიბდა 50 ადამიანისგან შემდგარი არაფორმალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული იყო 10 დელეგატი 5 რეგიონალური ჯგუფიდან; მათ მიეცათ მოქმედების გეგმის განხილვის დავალება. მე ვიცოდი, რომ პოლიტიკური მიზეზების გამო, ჯგუფი ვერ შეთანხმდებოდა სამ-ოთხ საკითხზე, ამიტომ დავიწყე მუშაობა მეორე ცვლილებაზე პროცედურის წესების ფარგლებს გარეთ. აუცილებელი იყო მცირე ჯგუფის დინამიკის თეორიის გამოყენება და 1900-დელეგატიანი ამორფული მასის შემცირება 10 კაციანი ჯგუფის დინამიკამდე, იმისათვის, რომ მომხდარიყო იმ სამ თუ ოთხ საკითხზე შეთანხმება.

კონფერენციის მეოთხე დღეს მე შევხვდი კონფერენციის არგენტინელ პრეზიდენტს, სამხედრო გენერალს, რომელსაც არ გააჩნდა გაეროს კონფერ-

ენციებში მონაწილეობის გამოცდილება; მე მას შევთავაზე არაფორმალურად დაეპატიჟებინა დელეგატთა მცირე ჯგუფი და ყავაზე განეხილათ შეხვედრის მიღწევები. იგი ძალზე კმაყოფილი დარჩა შემოთავაზებით, მაგრამ არ იცოდა, თუ ვინ დაეპატიჟებინა 1900 დელეგატიდან. მე ჯიბიდან ამოვიღე ათი ადამიანის სია და მივეცი გენერალს. სიაში ჩართულები იყვნენ დელეგატები, რომლებიც, ჩემი აზრით, კონფერენციის ლიდერები იყვნენ, სია მოიცავდა ორ ადამიანს თითო რეგიონალური ჯგუფიდან.

ყველა კონფერენცია განსხვავებულია, რადგანაც სხვადასხვა ხალხისგან შედგება და ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ტარდება. ყველა კონფერენციას ჰყავს საკუთარი ლიდერები, მიუხედავად მათი თანამდებობისა და წარმომავლობისა. ჩემს სიაში პრიორიტეტი არ ენიჭებოდა თანამდებობის პირებს ან კონკრეტული ქვეყნის წარმომადგენლებს; იგი შედგებოდა ადამიანებისგან, რომელთაც კონფერენციის მსვლელობისას გამოავლინეს ლიდერის უნარები. მე იმედი მქონდა რომ ეს ათი ადამიანი ჩამოყალიბდებოდა მომლაპარაკებელ ჯგუფად და შეძლებდა იმ საკითხების გადაჭრას, რომლებსაც მათ წინაშე არაფორმალური სამუშაო ჯგუფი წარადგენდა.

გეგმა წარმატებული გამოდგა. გენერალმა, როგორც კონფერენციის პრეზიდენტმა, იმ დღეს ყავაზე დაპატიჟა ეს ადამიანები, და შემდეგ ყოველდღე აკეთებდა ამას. მათ შორის ნელ-ნელა დამყარდა ნდობა. არაფორმალური სამუშაო ჯგუფის მიერ წამოყენებული საკითხები მიდიოდა პრეზიდენტთან, რომელსაც ისინი მცირე ჯგუფის შეკრებებზე გაქონდა და უკანასკნელი 36 საათიდან 30 საათი ჩვენ მუდმივ მოლაპარაკებაში ვიყავით ჩართულნი. ბოლო წუთში მოქმედების გეგმა მიღებულ იქნა კონსენსუსით. ეს შესაძლებელი გახდა სტრუქტურაში განხორციელებულმა ცვლილებამ.

2. სტრუქტურული ცვლილება კრიტიკული აღმოჩნდა სხვა შემთხვევაშიც. 1977 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ შექმნა 36 წევრი ქვეყნისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელსაც უნდა წარედგინა ტყვეების აყვანის საწინააღმდეგო საერთაშორისო ხელშეკრულება. კომიტეტს ჰქონდა ოთხკვირიანი შეხვედრა ჟენევაში 1977 წელს და განმეორებითი შეხვედრა 1978-ში, თუმცა ყოველად წარუმატებელი. შეხვედრები ღია იყო პრესისა და საზოგადოებისათვის, ასევე სხვა ქვეყნების დელეგაციებისთვის. დარბაზში იმყოფებოდა დაახლოებით 600 ადამიანი, რომლებიც უსმენდნენ კომიტეტის 36 წევრს. ისინი პრესას და საზოგადოებას პასუხობდნენ პოლიტიკური სიტყვებით, რათა სახლში ქულები ჩაეწერათ.

1979 წელს მე მთხოვეს მეხელმძღვანელა ამერიკის დელეგაციისთვის, ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი მიძღვნილ მესამე, და ალბათ საბოლოო შეხვედრაზე. კომიტეტის თავჯდომარეს შევთავაზე სტრუქტურის მთლიანად შეცვლა. იგი დამთანხმდა და განაცხადა, რომ კომიტეტი იმუშავებდა დახურულ კარს მიღმა არაფორმალურ გარემოში. პრესის, საზოგადოების, სხვა დელეგაციების და გაეროს სამდინვოს წევრებიც კი გამოირიცხნენ შეხვედრიდან. ზოგადი

ატმოსფერო მალევე შეიცვალა. 36 დელეგაციის წევრები პოლიტიკურ განცხადებებს აღარ აკეთებდნენ, რადგანაც აუდიტორია არ ჰყავდათ. დელეგატები დასხდნენ სამუშაოდ, სამი კვირის ბოლოს ჩაატარეს პლენარული სესია და ხელშეკრულების ვარიანტი მიიღეს. ამ შემთხვევაშიც შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი გახდა სტრუქტურული ცვლილების ხარჯზე.

მეოთხე პრინციპი

„კონფერენციის პრეზიდენტის, ან ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელის კომპეტენტურობის ხარისხი შეიძლება კონფერენციის წარმატების ან წარუმატებლობის წინაპირობა იყოს.“

1. გაეროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარების კონფერენციაზე, რომელიც ვენაში ჩატარდა 1979 წელს, ავსტრიის მთავრობამ კონფერენციის პრეზიდენტის პოსტზე წარადგინა ავსტრიის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, რომელიც შემდგომ არჩეულ იქნა ამ თანამდებობაზე. სამწუხაროდ, მინისტრს არ გააჩნდა საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის გამოცდილება და მან ვერ შეძლო გამკლავებოდა პირდაპირი გაგებით იმ დრამას, რაც დატრიალდა კონფერენციის ბოლო საათებში. საბედნიეროდ, კონფერენციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი იყო ნორვეგიელი პარლამენტარი. იგი აქტიურად ჩაერთო სიტუაციაში და მოაწესრიგა არეულობა.

1982 წელს ვენაში ჩატარებულ მსოფლიო ასამბლეაზე ხანდაზმულობასთან დაკავშირებით ავსტრიულმა მთავრობამ განაცხადა, რომ წარადგენდა იმავე მინისტრს კონფერენციის პრეზიდენტად. მე თავზარდაცემული ვიყავი და ავსტრიის საგარეო სამინისტროს მხარდაჭერით ვეცადე ამ კანდიდატურის დაბლოკვა. ეს ჩვენ არ გამოგვივიდა, ამიტომ ბოლო წუთს შევცვალეთ პროცედურის წესები, რითაც მთელი ძალაუფლება კომიტეტის თავმჯდომარეს გადაეცა. ეს სტრუქტურული ცვლილება, ძალზე ეფექტური გამოდგა.

კონფერენციის პრეზიდენტის არჩევას დაინტერესებული ადამიანების დიდი დრო და ენერჯია მიაქვს ამ თანამდებობის დიდი მნიშვნელობის გამო

2. იგივე ეხება აშშ-ს დელეგაციის ხელმძღვანელის არჩევას. იდეალურ შემთხვევაში დელეგაციის ლიდერის ვინაობა ცნობილი უნდა გახდეს კონფერენციის დაწყებამდე რ თვით ადრე, რომ ამერიკის საელჩოებმა შეატყობინონ იმ მთავრობებს, სადაც აკრედიტებულნი არიან, თუ ვინ იქნება ხელმძღვანელი, რათა ამ მთავრობებმა შეძლონ განსაზღვრონ, რა დონის ხელმძღვანელი დასჭირდება მათ დელეგაციას. როდესაც აშშ-ს ლიდერის როლი უკავია, მოვლენები საკმაოდ პოზიტიურად ვითარდება. როდესაც ამერიკის მთავრობა ამას არ აქცევს ყურადღებას, როგორც წესი, შედეგი ნეგატიურია.

UNICTAD VI-ის შეხვედრაზე, რომელიც ბელგრადში, 1983 წელს ჩატარდა, აშშ-ს დელეგაციის ხელმძღვანელი დასახელდა კონფერენციამდე ერთი

კვირით აღრე; ამერიკის როლი ზემოთხსენებულ კონფერენციაზე საშინელი იყო.

1974 წელს პოპულაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოწყობილ კონფერენციაზე, რომელიც ბუქარესტში ჩატარდა (აშშ იყო მსოფლიო ლიდერი პოპულაციის და ოჯახის დაგეგმვის სფეროში, ასევე გაეროს პოპულაციის აქტიობის ფონდის მთავარი დონორი), ამერიკის დელეგაციას ხელმძღვანელობდა კაბინეტის გამოცდილი წევრი და შეხვედრა ძალზე წარმატებული გამოდგა. 1984 წელს პოპულაციის საკითხებთან დაკავშირებულ მეორე კონფერენციაზე, რომელიც მექსიკო-სითიში ჩატარდა, ნაცვლად გამოცდილი დელეგაციისა, (რომელიც კონფერენციამდე სამი კვირით აღრე დაბლოკეს), თეთრი სახლის ბრძანებით წავიდა არაინფორმირებულ იდეოლოგთა ჯგუფი. კონფერენცია სრული კატასტროფით დამთავრდებოდა, ბოლო მომენტში დელეგაციის ხელმძღვანელს ვაშინგტონიდან ბრძანება რომ არ მიეღო იმის შესახებ, რომ კონსენსუსით შეერთებოდა მოქმედების გეგმას. თუმცა მექსიკო-სითის კონფერენციის შემდეგ თეთრმა სახლმა შეცვალა პოპულაციის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი წესები და უარი განაცხადა ფონდის დაფინანსებაზე. აშშ აღარ განიხილება ლიდერად ამ დარგში.

1980 წლის დეკადის შუა კონფერენცია ქალებისა და განვითარების შესახებ ზემოთ უკვე ნახსენები იყო. 1985-ში გაერომ ნაირობიში უმასპინძლა ამ კონფერენციის დასასრულ ფაზას. ამერიკის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ადამიანი, რომელიც თვეების მანძილზე ემზადებოდა კონფერენციისთვის; კონფერენციის დაწყებამდე შვიდი კვირით აღრე, საკუთარი ხარჯებით გამართა სამდღიანი ბრიფინგი ვაშინგტონში 36 ადამიანისგან შემდგარი დელეგაციისთვის და დელეგაციისგან შექმნა ერთიანი გუნდი. მან ბრწყინვალედ ჩაატარა კონფერენცია ნაირობიში, სადაც საბოლოოდ კონსენსუსით მიღებულ იქნა მოქმედების გეგმა.

დასკვნა

ხშირად რთულია კონფლიქტების მოგვარების თეორიის და დიპლომატიური პრაქტიკის გაერთიანება. სამწუხაროდ, დიპლომატთა უმრავლესობა თავს იკავებს კონფლიქტოლოგიური ლიტერატურის წაკითხვისგან. მკვლევართა უმეტესობას არ გააჩნია იმის ინტერესი, რომ საკუთარი თეორიები პრაქტიკაში შეამოწმონ. ამ სტატიით მე ვეცადე, რომ ამ ორი განცალკევებული სფეროსათვის ერთად მომეყარა თავი, თუ თითოეული დარგი უფრო მეტად გაითვალისწინებს მეორის მოთხოვნილებებს, მაშინ უფრო გაადვილდება თვალთახედვის გაფართოება; ასევე საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანად და ეფექტურად მოგვარება.

მშვიდობა სამართალზე ღვას 2

There is no Peace without Justice 2

გიო მგელაძის ფოტო
Photo by Gio Mgeladze



გლობალიზაცია და ევროკავშირი საქართველოსთან მიმართებაში

დავით კავთიაშვილი
საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია

კარგადაა ცნობილი, რომ მსოფლიოში სწრაფი გარდაქმნები მიმდინარეობს, მცირდება საურთიერთობო მასშტაბები და ყველაფერი თანდათანობით ურთიერთდამოკიდებული ხდება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხორციელდება გლობალიზაცია.

რა ადგილი უჭირავს ასეთ გლობალიზებულ რეალობაში საქართველოს? როგორ რეაგირებს საქართველო გლობალიზაციის პროცესზე? რადგან ეს კითხვები არსებითი და აქტუალურია, მოდით, განვიხილოთ დღევანდელ მსოფლიოში არსებული ზოგიერთი რეალობა, უწინარესად, იმედის მომცემი ტენდენციები:

- ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა ის ქმედითი ნორმაა, რომელიც საჭიროა პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისთვის.
- სამოქალაქო საზოგადოებრიობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში.
- საბაზრო ეკონომიკამ დაამტკიცა თავისი უპირატესობა ეკონომიკური ურთიერთობების სხვა ფორმებთან შედარებით.
- ტელეკომუნიკაციებმა, რომელთა სიმბოლური გამოხატულებაა ინტერნეტი, თითქმის აზრი დაუკარგეს დროისა და სივრცის ფარგლებს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის თვალსაზრისით. მისი მოხმარების ფასი განუწყვეტლივ მცირდება, რაც, დემოკრატიულობის მხრივ, ცოდნის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას უფრო მეტად ზრდის.
- „მდგრადი განვითარება“ სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის აღიარებული დოქტრინაა, რომელიც, ეკოლოგიურ ცოდნასთან ერთად, ცვლის ჩვენს დამოკიდებულებას დედამიწისადმი და გვაიძულებს, შევიცვალოთ ქცევა, როგორც მომხმარებლებმა და როგორც ადამიანებმა ზოგადად. ერთა შორის დამოკიდებულებისა და ერთმანეთისადმი ხელშეწყობის აღიარება საერთაშორისო დონეზე პრიორიტეტული გახდა.

დავით კავთიაშვილი / გლობალიზაცია და ევროკავშირი საქართველოსთან მიმართებაში

- ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელშიც არნახული სისწრაფით ვითარდება მეცნიერება და მისი მეშვეობით ტექნოლოგიები, როცა მეცნიერება საწარმოო ძალად იქცა.

- კომპიუტერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ საზოგადოებრიობისთვის შესაძლებლობების ახალი სამყარო შექმნა.

- თანამედროვე ეპოქაში წარმოშობილი ლინგვისტიკა ადამიანს უადვილებს მეცნიერებასთან, განათლებასთან და ბიზნესთან კონტაქტს. მაგრამ ურთიერთ-გაგებისთვის უფრო მეტი ენის გამოყენება იქნება საჭირო. მონოლინგვისტური პოზიციობა საგანმანათლებლო პოლიტიკაში სამომავლოდ კარგს არაფერს მოგვიტანს. მაგრამ გლობალიზაციის დამკვიდრება ზოგიერთ, არცთუ ისე სასიამოვნო რეალობასთან გვაკავშირებს. სამწუხაროდ, ამ რეალობების ნუსხა გრძელდება და შეიცავს შემდეგი სახის პრობლემებს: • დედამიწის მოსახლეობის ზრდა, რომელიც, სავარაუდოდ, დღეს არსებული 6.2 მილიარდიდან 2050 წლისთვის 9 მილიარდს მიაღწევს, დამატებით დამატულობას წარმოშობს არსებული შეზღუდული რაოდენობის ბუნებრივი რესურსების გამო.

- სიმდიდრესა და ცხოვრების სტანდარტებს შორის არსებული დიდი განსხვავება გამოიწვევს როგორც საშინაო კონფლიქტების ზრდას, ასევე ძნელად აღსაკვეთ მიგრაციას და ე.წ. „ტვინების გაჟონვას“ მსოფლიოს ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებსა და რეგიონებში.

- სიღატაკის, ბუნებრივი კატასტროფებისა და შეიარაღებული კონფლიქტების გამო დედამიწაზე მცხოვრები 830 მილიონზე მეტი ადამიანი, მიუხედავად მსოფლიოში წარმოებული ჭარბი საკვები პროდუქტებისა, ყოველდღიურად მუდმივი შიმშილის ზღვარზეა.

- გავრცელებული კორუფცია და ფულის გათეთრება დიდ ზიანს აყენებს ბევრი ქვეყნის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას და ძირს უთხრის საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებას.

- მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული ომი ნაკლებად სარწმუნოა, ბირთვული პროდუქცია და მისი წარმოების ნარჩენების გადამუშავება კვლავ პრობლემებად რჩება.

როგორც ჩანს, გლობალიზაცია სიცოცხლისუნარიანი და მზარდი ფენომენია. ამიტომ თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნოლოგიებზე მისი ზეგავლენის შეჩერება შეუძლებელია. ეს რეალობა მოგვიწოდებს გლობალური ქმედებისკენ, მიუხედავად იმისა, გამოძინარეობს თუ არა გადაწყვეტილებების მიღება ადგილობრივი თუ რაიმე კონკრეტული მიზნებიდან. გადაწყვეტილების იდენტიფიკაციისა და განხორციელების შემთხვევაშიც კი აუცილებელია გლობალური მიდგომა და ამ პროცესში ყველა იმ პირის მონაწილეობა, ვისაც რაიმე წვლილის

დავით კავთიაშვილი / გლობალიზაცია და ევროკავშირი საქართველოსთან მიმართებაში

შეტანა შეუძლია. გლობალიზაცია შემოიჭრა ჩვენი მოღვაწეობის სფეროებში, მინდა, განვმარტო, რომ მისი ხელალებით მიღება არას გვარგებს. ამისათვის საჭიროა განსხვავებული პოლიტიკის შემუშავება, ახალი ინსტიტუტების შექმნა და უკვე არსებულის შემოქმედებითად გარდაქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ვალიარებთ გლობალიზაციის სიკეთეს, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რისკის ფაქტორიც. უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ გლობალიზაცია არ ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს. არ უნდა დავუშვათ, რომ გლობალიზაცია გასამართლებელი საბუთი გახდეს ზღვარდაუდებელი ლიბერალური კაპიტალიზმის სასარგებლოდ, რომელსაც თან ახლავს კულტურების ნიველირება. გლობალიზაციის ფართო სივრცის შიგნით უნდა დარჩეს ადგილი აზრთა სხვადასხვაობისათვის, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. გლობალიზაცია, შესაძლებელია, საშიშიც კი იყოს ზოგიერთი ინდივიდის, სოციალური ჯგუფის, მთელი რეგიონებისა და ქვეყნებისათვის. ის უნდა გახდეს ჰუმანური, უნდა გადაიქცეს უფრო მეტად ხელსაყრელ შესაძლებლობად და არა დამანგრეველ ძალად. განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს იმასაც ნიშნავს, რომ გახვიდე თანამედროვე, ნაკლებად დამოუკიდებელ დასავლეთზე.

დიდი დრო გავიდა, სანამ ერთიანი ევროპა ფილოსოფოსებისა და მეოცნებეების იდეალი – პოლიტიკურ კონცეფციად ჩამოყალიბდებოდა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შორეულ, მაგრამ რეალურ მიზნად იქცეოდა. იდეა ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოების შესახებ ჰუმანიტური ოცნების ნაწილი იყო, ოცნებისა, რომელიც დაამსხვრია იმ კონფლიქტებმა, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის კონტინენტს აურაცხელი ნგრევა რომ მოუტანეს. ოცნება „ახალ ევროპაზე“ იმ მოძრაობებიდან აღმოცენდა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს წარმოიშვა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ევროპულ ინტეგრაციას ბიძგი მისცა ევროპის ფედერალისტური და ფუნქციონალისტური მოწყობის იდეებმა. ამ იდეათა ავტორები არიან იტალიელი ფედერალისტი ალტიერო სპინელი და ჟან მონე, ადამიანი, რომელმაც უზრუნველყო შუმანის გეგმის – ევროპის ქვანახშირის მოპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების (ECSC) შექმნის განხორციელება (ეს გაერთიანება 1951 წელს შეიქმნა). ფედერალისტური დამოკიდებულების არსია იდეა, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივმა, რეგიონულმა და ეროვნულმა ხელისუფლებებმა უნდა ითანამშრომლონ და შეავსონ ერთმანეთი. ფუნქციონალისტური დამოკიდებულება უპირატესობას ანიჭებს სუვერენიტეტის თანდათანობით გადასვლას ცალკეული სახელმწიფოებისგან თანამეგობრობის ხელში. დღესდღეობით ორივე ზემოაღნიშნული დამოკიდებულების მიმდევრები ერთ აზრზე შეთანხმდნენ – ეროვნულ და რეგიონულ ხელისუფლებებს უნდა შეუთავსდეს დამოუკიდებელი, დემოკრატიული ევროპული ინსტიტუტები,

რომლებსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ სფეროებზე, სადაც ერთობლივი მოქმედება უფრო შედეგიანი იქნება, ვიდრე ცალკეული სახელმწიფოებისა: ეს სფეროებია საერთო ბაზარი, მონეტარული პოლიტიკა, ეკონომიკური და სოციალური კავშირები, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, დასაქმების პოლიტიკა, გარემოს დაცვა, საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა, თავისუფლებისა და მართლმსაჯულების დამკვიდრება. ევროკავშირი ამ იდეების ხორცშესხმაა და მრავალსექტორიანი ინტეგრაციის განვითარებულ ფორმას წარმოადგენს, მისი კომპეტენცია ვრცელდება 15 წევრი სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, მოქალაქეთა უფლებებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ევროკავშირი თავად შეიმუშავებს კანონმდებლობას, რომელიც უშუალოდ მის მოქალაქეებზე ვრცელდება და განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებს მათ.

თხუთმეტი წევრისაგან შემდგარი ევროკავშირი ამჟამად ორი უმთავრესი ამოცანის წინაშე დგას:

- 1) შემოიერთოს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანა;
- 2) გამოიყენოს ფულადი ერთიანობის დინამიკა, ეს ფულადი ერთიანობა დამყარებულია საერთო ვალუტა – ევროზე, რომელიც უფრო დაახლოებს წევრი სახელმწიფოების ეკონომიკას.

ვერც ერთი ეს ამოცანა ვერ შესრულდება მნიშვნელოვანი ძალისხმევის გარეშე. როგორ შეძლებს 25 წევრისაგან შემდგარი ევროკავშირი მოღვაწეობას, თუ არ გაძლიერდა გადაწყვეტილებათა მიმღები მექანიზმები, თუ არ განმტკიცდა სოლიდარობის პოლიტიკა და არ გაიზარდა ერთობლივი მოქმედებისგან მიღებული სარგებელი, რაც შედეგიანიც არის და სამართლიანიც? უფრო ზოგადად, სანამ გაფართოების შედეგად იზრდება ევროკავშირის ინტერესები, როგორ უნდა იქნას შენარჩუნებული წევრი სახელმწიფოების კონსენსუსი ევროპელთა მიერ დასახულ ძირითად მიზნებთან და მათი მიღწევის საშუალებებთან დაკავშირებით? ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებმა საფუძვლიანად უნდა გადახედონ სტრუქტურულ პოლიტიკას და საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას.

ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ ევროკავშირის სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა პროგრესის გზით სიარული; იგი უნდა გახდეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ეფექტიანიც იქნება და დემოკრატიულიც, გადაწყვეტილებათა მიღებასაც შეძლებს და მოქმედებასაც, თანაც თავისი წევრების ინდივიდუალობის შენარჩუნებასაც მოახერხებს. თუ ევროკავშირი არ გააძლიერებს თავის სტრუქტურებს და არ მოახდენს გადაწყვეტილებათა მიღების რაციონალიზაციას, იგი

დავით კავთიაშვილი / გლობალიზაცია და ევროკავშირი საქართველოსთან მიმართებაში

აღმოჩნდება დაუძღურების ან პარალიზების პერსპექტივის წინაშე. ჩანაფიქრის სტადიაში მყოფი „უფრო დიდი და ძლიერი ევროპა“ ორგანიზებულ ძალად მხოლოდ მაშინ იქცევა, თუ იმგვარად აშენდება, რომ შეძლოს ერთსულოვანი მსჯელობა და მოქმედება.

ევროპული ინტეგრაციის თითქმის ნახევარსაუკუნოვანმა ისტორიამ ღრმა კვალი დააჩნია კონტინენტის განვითარებას და მისი მაცხოვრებლების ურთიერთობებს. შეიცვალა, აგრეთვე ძალთა თანაფარდობა. მხოლოდ ძალების გაერთიანებით, მხოლოდ შრომით „გაზიარებული ბედ-იღბლის“ (ეს გახლავთ ციტატა ხელშეკრულებიდან ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების შესახებ) მისაღწევად შეუძლიათ ევროპის ასაკოვან ერებს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზით სიარული და მსოფლიოში თავიანთი გავლენის შენარჩუნება.

ისევე, როგორც ყოველთვის, ევროკავშირის მეთოდი დღესაც გულისხმობს ეროვნული და საერთო ინტერესების მუდმივ გაწონასწორებას, მრავალფეროვან ეროვნულ ტრადიციათა პატივისცემასა და ცალკეულ ეროვნებათა ინდივიდუალობის შენარჩუნებას. ამ მეთოდის (ჩაფიქრებული იყო, როგორც ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ღრმად ფესვგადგმული მტრობის, პირველობის კომპლექსისა და საომარი ტრადიციების გადალახვის საშუალება) გამოყენების გზით შესაძლებელი გახდა ევროპის დემოკრატიული ერების გაერთიანება ცივი ომის პირობებში თავისუფლების შესანარჩუნებლად. აღმოსავლეთ-დასავლეთის ანტაგონიზმის განელება და კონტინენტის პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება საერთო ევროპული სულისკვეთების ტრიუმფია, ეს კი ევროპელებს, რომლებიც მომავლისკენ იხედებიან, დღეს განსაკუთრებით ესაჭიროებათ.

ევროპული ინტეგრაციის პროცესისათვის უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობას და ურთიერთშერიგებას. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპას არაერთგზის უცდია, თავს მოეხვია დანარჩენი მსოფლიოსთვის თავისი შეხედულებები ნაცვლად იმისა, რომ ეჩვენებინა მაგალითი, თუ როგორ შეიძლება პრობლემების გადაჭრა მოლაპარაკების გზით. თუმცა ევროკავშირს, ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში მისი ავტორიტეტის ზრდასთან ერთად, სულ უფრო ხშირად უხდება მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებში შუამავლისა და გამაწონასწორებელი ძალის ფუნქციის შესრულება.

ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკამ ღრმთა განმავლობაში შესაძლოა საერთო თავდაცვით პოლიტიკამდე მიგვიყვანოს. ცნება „საერთო თავდაცვა“ მიგვანიშნებს სურვილზე, შეიქმნას მაღალგანვითარებული კავშირი თავისი სტრატეგიული და მილიტარისტული ასპექტებით. ევროკავშირმა სასწრაფოდ უნდა შექმნას პოლიტიკური წყობა – მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი კონტინენტისთვის, ამ მიზნით ევროკავშირმა უნდა

შეიმუშაოს უმთავრესი წესები. მოსაფიქრებელია და თავიდან განსასაზღვრი ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) ფუნქციები. საჭიროა შეიქმნას, ევროპის კოლექტიური უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის სისტემა, რომელიც გააერთიანებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ხოლო ეს სახელმწიფოები, თავის მხრივ, მჭიდრო თანამშრომლობას დაამყარებენ ევროსაბჭოში შემავალ ქვეყნებთან, რომლებმაც ევროკავშირში გაწევრიანებაზე დიდი სურვილი გამოთქვეს.

რა არის ინტეგრაციის ძირითადი მიზანი? აშენდეს ევროპა ხალხისთვის თუ ევროპა ბიზნესმენტათვის? ევროპის თანამეგობრობის დამაარსებლებს ამოდრავებდათ სურვილი, შეექმნათ ისეთი სტრუქტურა, რომელიც შეუძლებელს გახდიდა ევროპის გახლეჩას ახალი ძმათამკვლელი ომით. მათ ძლიერი, ეფექტიანი ინსტიტუციური სტრუქტურის დაარსება უნდოდათ და ამიტომ უფრო პრაგმატული მიდგომა აირჩიეს, მიდგომა, რომელიც კონცენტრირებული იყო ქვანახშირსა და ფოლადზე, საერთო ბაზარზე, სოფლის მეურნეობასა და კონკურენციაზე. შედეგად მივიღეთ თანამეგობრობა, რომელიც ზოგიერთებს ტექნოკრატიული ეჩვენებათ იმ მხრივ, რომ მას მართავენ სახელმწიფო მოხელეები, ეკონომისტები, იურისტები და მათი მსგავსნი. მაგრამ სიმართლე ის არის, რომ გრანდიოზული ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩებოდა, რომ არა განუხრელი მხარდაჭერა თანამეგობრობის ინსტიტუტების მხრივ და მათი პოლიტიკური ნება.

დასახულ მიზანთა უმრავლესობა მიღწეულია: აღარ არსებობს საბაჟო ან საგადასახადო ბარიერები ან წესები, რომლებიც კრძალავენ ცალკეულ პირთა საქმიანობას ან მომსახურების და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას. ხალხი ყოველდღიურად იღებს სარგებელს ახლად შექმნილი საერთო ბაზრისაგან; ეს არის საქონლის ფართო ასორტიმენტის ხელმისაწვდომობა; კონკურენცია, რომლის შედეგადაც კლებულობს ფასები; პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისა და გარემოს დაცვას; უმაღლეს დონეზე ჰარმონიზებული სტანდარტები.

თანამეგობრობის პერიფერიებში მცხოვრები ხალხები სარგებლობენ სტრუქტურული ფონდებით, კერძოდ, ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდით; უამრავი სარგებლობა მოუტანა ევროპულ ფერმერებს სუბსიდირების მექანიზმებმა, რომლებსაც ათეული წლების განმავლობაში აფინანსებს ევროპის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის და საგარანტიო ფონდი; ევროკავშირის უზარმაზარი საბიუჯეტო ხარჯები ყოველდღიური საჭიროების ზომებს ხმარდება.

მაგრამ ევროპელობა არა მარტო ევროპულ მომხმარებლობას ან ევროპის ეკონომიკის ხელშეწყობას გულისხმობს, ეს ნიშნავს ევროკავშირის მოქალაქეობას. მას შემდეგ, რაც 1958 წელს ძალაში შევიდა რომის ხელშეკრულებები, თანამეგობრობა ხვეწდა თავის კანონმდებლობას, რათა შემოეღო წესები მშ-

რომელთა თავისუფალი გადაადგილების, მომსახურების გაწევის თავისუფლებისა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთათვის მუშაობის უფლების შესახებ. ევროკავშირი არ შეიწყნარებს თავისი მოქალაქის დისკრიმინაციას, როცა ეს მოქალაქე სამუშაოს მშობლიური ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებს. მეტიც, მიგრანტ მშრომელებს და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს უფლება აქვთ, მიიღონ სოციალური დახმარება, გაიარონ პროფესიული მომზადება; გარდა ამისა, ისინი ისეთივე საგადასახადო და სოციალური უფლებებით სარგებლობენ, როგორც იმ ქვეყნის მკვიდრნი.

იმის წყალობით, რომ თანამეგობრობა მუდამ ცდილობდა სხვადასხვა ქვეყნის დადგენილებათა ერთმანეთთან მიახლოებას, დღეს ყოველი წევრი სახელმწიფო აღიარებს პრაქტიკოსი ექიმების, იურისტების, მედიკოსების, ვეტერინარების, ფარმაცევტების, არქიტექტორების, სადაზღვევო ბროკერების და სხვა მშრომელთა კვალიფიკაციას, რომელიც სხვა წევრ სახელმწიფოებშია მიღებული.

რადგან მრავალი პროფესია ჯერ კიდევ ეროვნულ წესებს ემორჩილება, 1998 წლის 21 დეკემბერს წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს ამომწურავი დირექტივა, რომელმაც დააწესა უმაღლესი განათლების დიპლომების ურთიერთაღიარების სისტემა. ეს სისტემა ვრცელდება სამ ან მეტ წლიანი საუნივერსიტეტო კურსის გავლის შემდეგ გაცემულ ყველა დიპლომზე და დამყარებულია წევრი სახელმწიფოების ნდობაზე ერთმანეთის საგანმანათლებლო სისტემებისადმი. დადგა დრო კულტურული ინტეგრაციისა შემდგომი პროგრესის მისაღწევად და ერთიანი ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად, ამ პროცესში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს განათლებამ და მოსამზადებელმა პროგრამებმა.

საერთო-სახალხო ევროპის მშენებლობის პროცესმა მასტრიხტში დიდი წინსვლა განიცადა – მიღებული იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ყოველ მოქალაქეს, რომელიც ცხოვრობს არა თავის მშობლიურ წევრ სახელმწიფოში, მისცემოდა უფლება, ხმა მიეცა ან თავად ეყარა კენჭი მუნიციპალურ და საერთო ევროპულ არჩევნებში. ამსტერდამის ხელშეკრულებაში ეს პრინციპი ჩამოყალიბებულია მე-17 მუხლში: „დაწესებულია ევროკავშირის მოქალაქეობა. ევროკავშირის მოქალაქე არის წევრი სახელმწიფოს ნებისმიერი მოქალაქე. კავშირის მოქალაქეობა კი არ ცვლის, არამედ ემატება მშობლიური ქვეყნის მოქალაქეობას“. ამ ახალმა უფლებებმა გარკვეული პროტესტი გამოიწვია ეროვნულ თვითმყოფადობასა და სუვერენიტეტთან დაკავშირებით. არგუმენტი, რომ ევროპის მოქალაქეობა ავსებს და აძლიერებს წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობას, ახალია და საკმაოდ გაბედულიც. ევროპის ხალხებმა უნდა დაინახონ, თუ რა ფასეულობებსა და მისწრაფებებს გაიზიარებენ ისეთი ევროკავშირის შემადგენლობაში, რომელიც 25 წევრს გააერთიანებს – შეუძლებელია ადამიანებს ხელოვნურად მოახვიო თავს გრძნობა, რომ ერთს მთლიანობას წარმოადგენენ, საერთო ბედ-იღბალს ინაწილებენ.

საერთო-სახალხო ევროპას ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი. უკვე არსებობს ევროპული პასპორტი (მოქმედებს 1985 წლიდან), ევროპის ჰიმნი („სინარულის ოდა“ ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიიდან), დროშა, საერთო ვალუტა – ევრო. მალე დაგება დრო, როცა იარსებებს ევროპის მრავალეროვნული შემადგენლობის სამხედრო შენაერთები.

დღევანდელ დღეს ევროკავშირის ინსტიტუტების უმთავრესი ამოცანაა ევროპული ინტეგრაციის პროცესისთვის ხალხის მხარდაჭერის მოპოვება. მოქალაქეებმა უნდა გააცნობიერონ ის უფლებები და პრივილეგიები, რომლებსაც მათ საერთო ბაზარი და ევროკავშირის პოლიტიკის სხვა მიმართულებები ჰპირდება. მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო ძალა – ევროკავშირი – თანდათანობით პოლიტიკურ გოლიათად ყალიბდება.

ევროპის კონტინენტის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და გეოგრაფია საბოლოოდ შეიძლება მოწესრიგდეს. სწორედ ამიტომ ევროკავშირის კარი ღიაა ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის. ეს ნიშნავს, რომ არსებულმა და მომავალმა წევრმა სახელმწიფოებმა ორი პრობლემა უნდა გადაჭრან. პირველი პრობლემაა ის, თუ როგორ უნდა გაფართოვდეს ევროკავშირი ისე, რომ ძირი არ გამოეთხაროს გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმს ან კავშირის პოლიტიკურ ინდივიდუალობას, რადგან მისი ინსტიტუტების შექმნისას წევრი სახელმწიფოების რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე დღეს, ხოლო მეორე პრობლემაა, თუ როგორ უნდა განავითარონ ასეთი განსხვავებული ნიადაგისა და კულტურის ხალხებმა ერთად ცხოვრების სურვილი, იქნებიან თუ არა ისინი მზად თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილის დასათმობად. ევროკავშირის ინტეგრაციის ტრადიციულმა დამოკიდებულებამ, დაადასტურა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, გააერთიანა რა და მძლავრ, ერთსულოვან მთლიანობად აქცია ამჟამინდელი წევრები.

როგორი იქნება ევროპა 21-ე საუკუნეში?

25 წევრისაგან შემდგარი ევროკავშირი მომავალი ათწლეულის დასასრულისათვის რეალობად იქცევა. უკვე არსებობს პოლიტიკური, კომერციული, სავალუტო და სტრატეგიული ევროპა. დღეისათვის თანამეგობრობაში გაერთიანებული წევრები 21-ე საუკუნის ევროკავშირს მთელი კონტინენტის მამოძრავებელ ძალად განიხილავენ, მომავალი წევრებისათვის კი მთავარი ხელშეკრულებებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური მიზნების განუხრელი განხორციელება იქნება.

ჩემი დიდი სურვილია, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი. საქართველომ თავი უნდა დააღწიოს იმ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელშიც იგი აღმოჩნდა. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გეოგრაფიულად ხელსაყრელ ტერიტორიაზე მდებარეობს საქართველო, რომელიც წარმოადგენს: პან-სლავური, პან-ამერიკული, პან-ევროპული, პან-მუსულმანური

ინტერესების გზაჯვარედინს, და ამავე დროს იგი უკვე ევროსაბჭოს წევრია, ევროკავშირისთვის მისაღები უნდა იყოს დაამყაროს ჩვენთან პარტნიორული ურთიერთობა, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ დაგვირგვინდება ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებით. პარტნიორობის მიზანი უნდა იყოს:

1. გაიმართოს მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგი, რაც შესაძლებელს გახდის მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებას. იგი ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ევროკავშირისა და საქართველოს დაახლოებას, მხარს დაუჭერს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს და დააჩქარებს თანამშრომლობის ახალი ფორმების დამკვიდრებას, გამოიწვევს ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხების შესახებ პოზიციების დაახლოებას, რითაც გააძლიერებს უშიშროებასა და სტაბილურობას რეგიონში და ხელს შეუწყობს საქართველოს – დამოუკიდებელი სახელმწიფოს - მომავალ განვითარებას;

2. მხარი დაუჭირონ საქართველოს ძალისხმევას მიაღწიოს დემოკრატიის განმტკიცებას, განავითაროს ეკონომიკა და დაასრულოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ევროკავშირმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, საწარმოების განვითარების მხარდაჭერას (იგულისხმება ინვესტიციები), სოფლის მეურნეობის და საკვების საკითხებს, ენერგეტიკის საკითხებს, ტრანსპორტს, ტურიზმს, გარემოს დაცვას - ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

3. ხელი შეუწყონ მხარეებს შორის ვაჭრობას, ინვესტირებას, ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას, რაც შესაძლებელს გახდის მათ სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას, ევროკავშირმა და საქართველომ დაამყარონ ფართომასშტაბიანი ეკონომიკური თანამშრომლობა, რათა ხელი შეუწყონ ეკონომიკური რეფორმებისა და აღორძინების პროცესს და საქართველოს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას. ასეთი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას.

4. საფუძველი ჩაუყარონ საკანონმდებლო, ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ, სამოქალაქო-სამეცნიერო, ტექნოლოგიურ და კულტურულ თანამშრომლობას. ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე მხარეებმა ხელი შეუწყონ თანამშრომლობას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, რისთვისაც, გაითვალისწინებენ რესურსების არსებობასა და თავიანთი პროგრამების ადეკვატური გამოყენების შესაძლებლობას, ინტელექტუალურ, სამრეწველო და კომერციულ საკუთრებაზე უფლების დაცვის გარანტიების შესაბამის დონეზე უზრუნველყოფით. სამეცნიერო და ტექნიკურმა თანამშრომლობამ უნდა მოიცვას:

- 1) სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლა;
- 2) ტექნოლოგიური განვითარებისთვის ერთობლივი საქმიანობა;
- 3) ორივე მხრიდან სამოქალაქო-სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კვლევაში ჩაბმული მეცნიერების, მკვლევარების, ტექნიკური პერსონალის სასწავლო პრაქტიკა და მობილური პროგრამები.

5. წევრ სახელმწიფოებში არსებული კანონების, პირობებისა და წესების მიხედვით ევროკავშირმა და მისმა წევრმა ქვეყნებმა უზრუნველყონ, რომ თითოეული წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე, კანონის შესაბამისად, მომუშავე საქართველოს მოქალაქეების მიმართ არ განხორციელდეს თავიანთ მოქალაქეებთან შედარებით დისკრიმინაცია, ეროვნულ საფუძველზე, შრომითი პირობების, ანაზღაურების ან სამუშაოდან გათავისუფლების სფეროში; აგრეთვე, საქართველოში არსებული კანონების, პირობებისა და წესების თანახმად, საქართველო უზრუნველყოს, რომ მის ტერიტორიაზე კანონის შესაბამისად მომუშავე კავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების მიმართ არ განხორციელდეს, თავის მოქალაქეებთან შედარებით, დისკრიმინაცია ეროვნულ საფუძველზე შრომითი პირობების, ანაზღაურების ან სამუშაოდან გათავისუფლების სფეროში;

6. მხარეებმა საქართველოს ზოგადი განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიზნით ითანამშრომლონ სახელმწიფო და კერძო სექტორში. თანამშრომლობა კონცენტრირებული უნდა იქნეს შემდეგ სფეროებში:

- 1) საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მომზადების სისტემის, აგრეთვე სასწავლო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების და უმაღლესი განათლების დიპლომების სერტიფიცირების სისტემის მოდერნიზება;
- 2) განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებში სახელმწიფო და კერძო სექტორების აღმასრულებელი პირების და სახელმწიფო სფეროს მოხელეების სტაჟირება;
- 3) სასწავლო დაწესებულებებსა და ფირმებს შორის თანამშრომლობა;
- 4) მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, ადმინისტრატორების, ახალგაზრდა მეცნიერების, მკვლევართა და ახალგაზრდების სტაჟირება;
- 5) შესაბამის დაწესებულებებში ევროპული სწავლების ხელშეწყობა.

ევროკავშირმა და საქართველომ უნდა ითანამშრომლონ ყველა საკითხში, რომლებიც დაკავშირებულია დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასთან, ან მათ გაძლიერებასთან, მათ შორის იმ საკითხებში, რომლებიც აუცილებელია კანონიერებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის გასაძლიერებლად საერთაშორისო სამართლისა და ევროკავშირის პრინციპების შესაბამისად.



მშვიდობა სამართალზე დგას 3

There is no Peace without Justice 3

ფოტო მგელაძის ფოტო
Photo by Gjo Mgeladze

კარგი პროცესის დიზაინის პრინციპები

რონ ქრებილი
თარგმნა თინათინ ასათიანმა

ადამიანებისათვის, ჩვეულებრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება. ხშირად, გადაწყვეტილების მიღების პროცესი მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რა გადაწყვეტილება საბოლოოდ მიღებული.

წარმოიდგინეთ სიტუაცია - კოლეგების სამუშაო შეხვედრაა და შესვენების დრო მოვიდა. შეხვედრის თავმჯდომარე მონაწილეებს ნახევარსაათიან შესვენებას სთავაზობს, ასახელებს სამი ქალის გვარს, რომელთაც ჩაის მომზადებას სთხოვს. სამივე ქალი ერთი რასის, და ამავე დროს, ამ საზოგადოებაში და კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფში უმცირესობის წარმომადგენელია. შესვენებაზე ამ უმცირესობის სხვა წარმომადგენლები სადღაც კუთხეში იკრიბებიან და აგრესიულად განიხილავენ რასიზმის პრობლემას, რის შემდეგაც შეტევაზე გადადიან თავმჯდომარისა და მთელი ჯგუფის მიმართ.

წარმოიდგინეთ სიტუაცია სხვა ორგანიზაციაში. აქაც „ჩაის“ დროა. აქაც ლიდერი ჩაის მომზადებას სთხოვს უმცირესობის წარმომადგენელ სამ ქალს, მაგრამ ამ შემთხვევაში ქალები მხიარულად იწყებენ „მოვალეობის შესრულებას“. რატომ? მათი სახელები შემთხვევითი შერჩევით იყო დასახელებული. ორივე ჯგუფში ინდივიდები მათი სურვილის გაუთვალისწინებლად შეარჩიეს, მაგრამ მეორე შემთხვევაში, ეს ამბავი მისაღები აღმოჩნდა, რადგან პროცესი იყო მისაღები.

დემოკრატია სწორედ მეორე ვარიანტზეა აგებული. ნებისმიერ დემოკრატიულ არჩევნებში არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებიც მარცხდებიან. დამარცხებულთათვის, ან მათი მხარდამჭერებისათვის შედეგი არასასურველია. მიუხედავად ამისა, ისინი არ გამოხატავენ აღშფოთებას. აქ „დამარცხებულთაგან“ მოელიან, რომ ისინი განზე გადგებიან და გზას „გამარჯვებულებს“ დაუთმობენ. ეს ასეც ხდება ხოლმე, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი პროცესი და მუშაობის ნორმები ძირითადი მხარეების მიერ წინასწარ იყო შეთანხმებული.

ადამიანები აუცილებლად შეეწინააღმდეგებიან ნებისმიერ შედეგს (რაც არ უნდა ბრძნული და კარგი იყოს იგი), თუკი ეს შედეგი, მათთვის მიუღებელი პროცესითაა მიღწეული. „ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვეწინააღმდეგებით ნებისმიერ განვითარებას ჩვენს საზოგადოებაში,“ უკმაყოფილებას გამოთქვამს ლიდერი სათემო დისპუტის დროს. „ჩვენ არ მოგვწონს ისინი, ვინც გვემავს, თვითნებურად იქცევა და ცდილობს, რომ გადაგვაყლაპოს. გადაწყვეტილება

ზომ ჩვენს თემს, და, აქედან გამომდინარე, ჩვენ გვკვება.” კონფლიქტები ჯგუფში, უფრო ხშირად, ცუდი პროცესებითაა გამოწვეული, რადგან მხარეები აუცილებლად შეეწინააღმდეგებიან საუკეთესო იდეებსაც კი, თუკი ისინი იქმნება მათთვის მიუღებელი, არადადამაკმაყოფილებელი პროცესის საშუალებით. აქედან გამომდინარე, იმ ადამიანებს, ვინც სამშვიდობო პროცესებშია ჩართული კარგი/შესატყვისი პროცესების შერჩევა და მუშაობის მათზე დაფუძნება მოეთხოვება. ეს ადამიანები ამ მიმართულებით კომპეტენტურები უნდა იყვნენ. რას ნიშნავს კარგი/შესატყვისი პროცესი?

1. კარგი პროცესი მოითხოვს გულდასმით გააზრებას, კონსულტაციებსა და სპეციალურ დაგეგმვას. აჩქარება - კარგი პროცესის მტერია.

2. კარგი პროცესი მოითხოვს გარკვეული კითხვების დასმას პოტენციურ მონაწილეებთან დაკავშირებით. აი, რამდენიმე კითხვა, რომელიც დაგეხმარებათ იმის დაგეგმვაში, თუ ვინ ჩართოთ დისკუსიის პროცესში:

- ვინ არის ისეთი, ვინც თვლის, რომ ეს მოლაპარაკება/პროექტი/გადაწყვეტილება მასზე ზეგავლენას იქონიებს? (ეს ჯგუფი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ცენტრში უნდა იყოს.)

- ვის ძალუძს გადაწყვეტილების განხორციელების ბლოკირება, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ მოეწონა? (მათთან, ყოველთვის სულ ცოტა კონსულტაციაა საჭირო. ხშირად, სასურველია მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური ჩართვა.)

- ვისი რჩევა, ან დახმარება იქნებოდა ღირებული? (აქ საჭიროა კონსულტაცია.)

- ვისი დასტური იქნება საჭირო იმისათვის, რომ პროექტი განხორციელდეს (აუცილებელია მათი ინფორმირება და მათთან კონსულტაცია.)

- რა ინტერესები და მოტივაცია აქვს ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფებიდან თითოეულს?

3. კარგი პროცესი მოითხოვს ინფორმაციის ერთობლივ მოპოვებას, მოპოვებული ინფორმაციის შესწავლას ერთობლივი ძალებით და პრობლემის ერთობლივ განსაზღვრას. ეს საქმიანობა პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის, შემდგომი პროცესისათვის საძირკველის ჩაყრას ემსახურება. უმჯობესია, რომ ეს მოხდეს ყველა მხარის მონაწილეობით, რათა მათ მოუსმინონ ერთმანეთს და ერთად შეაგროვონ ინფორმაცია. ყოველივე ეს, შესაძლოა, მიუკერძოებელი მესამე მხარის მიერაც განხორციელდეს. ამ შემთხვევაში ტიპური ქმედებებია:

- “ამბის თხრობა” – თვალსაზრისის გამოთქმა და მოსმენა რიგრიგობით. ველზე გასვლა.

რონ ქრეიბილი / კარგი პროცესის დიზაინის პრინციპები

- ფასილიტირებული ინტერვიუ ძირითად მხარეებთან, სხვა მხარეების თანდასწრებით (იმ შემთხვევაში, თუ ფასილიტატორი გრძნობს, რომ დაძაბულობა დიდია და ერთობლივი შეხვედრის წარმართვა სათუთაა, შესაძლოა, ეს ცალცალკე მოხდეს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ეფექტური ფორმის გამოჩვენება მხარეებისათვის მომზადებული ანგარიშის შესატყობინებლად).

- ინფორმაციის მოძიება და ანგარიშების მომზადება ერთობლივი შემსწავლელი ჯგუფების მიერ.

- გარეშე პირების კვლევები; ინტერვიუ ექსპერტებთან.

დამხმარე ქმედებები ლიდერის, ან ფასილიტატორის მხრიდან:

- ლიდერი/ფასილიტატორი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველას ესმის, თუ რა მიზნით კეთდება ყოველივე ამ საფეხურზე, რათა გაირკვეს, თუ როგორ აღიქვამენ ძირითადი მხარეები საკითხებს/პრობლემებსა და მოთხოვნებს. მიზანი არც იმის დასაბუთებაა, თუ „რა ხდება სინამდვილეში“ და არც გადაწყვეტილებების ირგვლივ დებატების გამართვა.

- მნიშვნელოვანია მუშაობის ნორმების შემუშავება, რათა მონაწილეებმა მოუსმინონ ერთმანეთს, არ შეაწყვიტონ (თითოეულს მიეცეს აზრის ბოლომდე გამოთქმის საშუალება), რათა პასუხები ემსახურებოდეს საკითხების გარკვევას.

- მხარეებმა თავად უნდა გადაწყვიტონ ის, თუ როგორ გააცნონ ერთმანეთს თავის საკითხები/პრობლემები და მოთხოვნები.

- ნათელი და მტკიცე ფასილიტაცია იმის გარანტიაა, რომ პროცესი არ გადაიზარდოს ვაჭრობაში ან ურთიერთ შეტაკებაში.

პრობლემის ერთობლივი განსაზღვრა ნიშნავს შეთანხმებას იმის თაობაზე, თუ რა არის ის პრობლემა, რომელიც გადაჭრას საჭიროებს მანამ, სანამ დაიწყებოდეს დისკუსია გადაწყვეტილებების ირგვლივ. ამ დროს ტიპური ქმედებებია:

- საკითხების/პრობლემებისა, ან მოთხოვნების ჩამოწერა.

- იმ პრობლემების ჩამონათვალის შექმნა, რომელიც სპეციფიურია და აერთიანებს ყველა ძირეული მხარის ინტერესებს (უკმაყოფილებას, ლელვას).

- თითოეული პრობლემისათვის ერთობლივი სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომლებიც წარმოადგენენ ძირეული, პირველ რიგში ყურადღების მისაქცევი პრობლემების ჩამონათვალს.

- შესაძლო პრობლემების ჩამონათვალის შექმნა, რათა შემდეგ დაუბრუნდეთ მათ. მიუწერეთ ასო C (Cause) იმ პრობლემას, რომელსაც მიზეზად მიიჩნევთ, ხოლო ასო S (Symptom), რომელსაც - სიმპტომად. ჩვეულებრივ, მიზეზები განიხილება ხოლმე, როგორც პრობლემები, ხოლო სიმპტომები მნიშვნელობას კარგავს.

- ალტერნატიული მიდგომა: დაგეგმეთ პირიქით. მხარეებს სთხოვენ, რომ მათ განსაზღვრონ „იდეალური ურთიერთობები“, ან მათი საოცნებო საზოგადოება, ან მთავრობა ათი (ორი, ხუთი, რამდენიმე) წლის შემდეგ. თუ არსებობს შეთანხმება

სასურველი დასასრულის თაობაზე, მხარეებს შეუძლიათ დაგეგმონ უკანსვლით აწმოსაკენ. „რა უნდა მოხდეს ხუთ წელიწადში, რათა მიღწეულ იქნას ეს მიზნები ათი წლის შემდეგ?“ „რა უნდა გაკეთდეს ორ წელიწადში?“ და ა.შ.

დამხმარე ქმედებები ლიდერის, ან ფასილიტატორის მხრიდან:

- უზრუნველყავით მკაფიო ფასილიტაცია.
- გამოიყენეთ დაფა, ან დიდი ფორმატის ქაღალდი.
- გააგებინეთ მხარეებს, რომ პრობლემის დაყენება განსხვავდება მისი გადაწყვეტისაგან და შემდეგ შეჩერდით ამ ეტაპზე.

4. პროცესი კარგად წარიმართება, თუ მხარდაჭერა ყველასთვის მისაღებაა. თუ საზოგადოება უჩივის პოლიციას, დიალოგი მხარეებს შორის, რომელიც მხოლოდ პოლიციის მიერ დაფინანსდება, საზოგადოებაში ნდობას ვერ აღძრავს. პროცესი წარმატებული იქნება, თუ პროგრამა დაფინანსდება რაიმე დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ, ან პოლიციისა და ნდობით აღჭურვილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ ერთობლივად.

5. კარგ პროცესში ჩართული უნდა იყოს ძირეული მხარეები (ან მათი წარმომადგენლები). ისინი მონაწილეობენ არა მხოლოდ მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, არამედ ამ პროცესების დაგეგმვაშიც. წარმოიდგინეთ, რომ ძირეული ფრაქციის ლიდერი ხართ, რომელიც ჩართულია საზოგადოების დავაში კარზე მომდგარ კამპანიასთან დაკავშირებით. ერთ შაბათ დღეს ლეზულობთ თავაზიან მიწვევას, რომლითაც გატყობინებენ, რომ თქვენი მთავარი ოპონენტი აწყობს შეხვედრას ოთხშაბათს, თავის სახლში, რათა „თავი მოუყაროს პასუხისმგებელ პირებს/მოქალაქეებს, იმისათვის, რომ მიღებული იქნას საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი სამომავლო გადაწყვეტილებები“. წახვიდოდით?

ალბათ, სულ ცოტა, აგაღელვებდათ ასეთი მიწვევა. ჯერ ერთი, იგი არანაირად არ იყო თქვენთან შეთანხმებული. როგორც წესი, ძირეული მხარეები სკეპტიკურად ეკიდებიან ნებისმიერ პროექტს, თუ მათ სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორცაა დრო, ადგილი, მონაწილეები, ან ფინანსური მხარდაჭერა. და მეორე, თუ შეხვედრა წარმატებულად ჩატარდა, თუ იქ მივიდნენ საჭირო/მნიშვნელოვანი საზოგადოების წარმომადგენლები და კარგი დისკუსია გაიმართა, მაშინ ყოველივე ამის შედეგად თქვენი ოპონენტი მნიშვნელოვნად წაიწვეს წინ.

ახლა წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც თქვენი ოპონენტი სხვაგვარად იქცევა. იგი აცხადებს, რომ აპირებს კომისიის შექმნას გარკვეული პრობლემის განხილვის მიზნით. იგი გთავაზობთ, რომ წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრებები/წინადადებები. რა პასუხს გასცემდით? ასე აჯობებს? თქვენი ოპონენტი, ამ შემთხ-

რონ ქრეზილი / კარგი პროცესის დიზაინის პრინციპები

ვევაში, წინადადებებისათვის მაინც არის ღია. იგი საბოლოო გადაწყვეტილების მიმღების როლშია და ამასთან საბოლოო შედეგიც, წარმატების შემთხვევაში, მის სახელთან იქნება დაკავშირებული.

მხარეები, როგორც წესი, ისეთ პროცესს უფრო ენდობიან, რომელიც ფასილიტატორის ხელშეწყობით წარიმართება. მათთვის მნიშვნელოვანია, ჰქონდათ თუ არა მათთან კონსულტაცია, გრძნობენ თუ არა ისინი საკუთარ წვლილს შეხვედრის/მოლაპარაკების დიზაინის თვალსაზრისით.

პროცესის დიზაინის ნებისმიერ დონეზე მხარეებისათვის მნიშვნელოვანი როლის მინიჭება ბრძნული ნაბიჯია. მიდით მათთან და უთხარით, რომ გაინტერესებთ ისეთი ფორუმის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება, რომ ყველა მონაწილემ გამოთქვას თავისი აზრი. შემდეგ ჰკითხეთ, დაინტერესდებოდნენ თუ არა ამით, როგორი უნდა იყოს ეს ფორუმი, ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა, სად და როდის უნდა დაიგეგმოს შეხვედრა, ვინ შეკრებს ხალხს, საჭიროა თუ არა ჩაწერა და ა.შ.

ნუ შექმნით პროცესს და ნუ შეეცდებით მხარეებისათვის მის მიყიდვას. არა აქვს მნიშვნელობა, რელიგიური შეხვედრა იქნება თუ პოლიტიკური. მთავარია მხარეებმა გამოავლინონ ღიაობა და საუბრის სურვილი, რათა თანამშრომლობის პროცესი იყოს გარანტირებული (ამის გარანტი იქნება პროცესის დიზაინი და წარმართვა), ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა პროცესის კომიტეტის შექმნა. ეს ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ყველა ძირეული მხარის წარმომადგენლებისაგან, დაგეგმავს, წარადგენს და კოორდინაციას გაუწევს პროცესს. შექმნით პროცესის დიზაინი და აშენეთ კონსენსუსი მის ირგვლივ ისე, რომ იგი ყველა ძირეული მხარისათვის გასაგები იყოს და მისაღები. ამ დროს ტიპურია შემდეგი ქმედებები:

- მხარეების განსაზღვრა ისე, რომ არც ერთი მათგანი არ გამოგრჩეთ, რადგან შესაძლებელია, მათ მიღებული შეთანხმების ბლოკირება მოახდინონ.
- ინტერვიუების წარმართვა (ერთი-ერთზე) მხარეების ლიდერებთან, რათა გაირკვეს, თუ რა სახის პროცესია მათი აზრით მისაღები.
- ყველა მონაწილის ინფორმირება პროცესის თაობაზე. პროცესისათვის განრიგის შექმნა მხარეების მიზნების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ განისაზღვროს, თუ რა იქნება (აქ მნიშვნელოვანია დროის დაგეგმვა), ვინ მიიღებს მონაწილეობას (ვინ, როგორ და რამდენი), განისაზღვროს მუშაობის ნორმები და ვის მიჰყავს პროცესი (ვინაა ფასილიტატორი).
- ძირითადი მოქმედი პირების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების არაფორმალურ პროცესებში და მათგან ოფიციალურად მიღებული გადაწყვეტილებების დაცვის მოთხოვნა, თავი აარიდეთ პროცესის წარდგენას/გამოცხადებას და მონაწილეებისათვის „მიყიდვას“. შექმნით პროცესი ერთობლივად.
- ძირითადი მხარეების შეთანხმება „გადაწყვეტილების მიღების წესზე“: ვინ

მიიღებს გადაწყვეტილებას და რა წესი იქნება გამოყენებული (51% უმრავლესობა, 67% უმრავლესობა, კონსენსუსი, მოდიფიცირებული კონსენსუსი, ანონიმურობა და ა.შ.) მოიფიქრეთ, თუ როდის უნდა გადაწყვიტოთ ეს ყოველივე. ასეთი რამეები პროცესის დასაწყისში ვერ წყდება, მაგრამ რაც უფრო ადრე გაირკვევა, მით უკეთესია.

დამხმარე ქმედებები ლიდერის, ან ფასილიტატორის მხრიდან:

- ჩაატარეთ საგანმანათლებლო სამუშაო კარგ პროცესთან დაკავშირებით.
- დაბეჯითებით მოითხოვეთ კონსულტაციები ყველა ძირეულ მხარესთან პროცესის დაწყებამდე.
- დაარწმუნეთ მონაწილეები, რომ პროცესის ღიზინი და ის, თუ რამდენად მისაღებია იგი მხარეებისათვის, მნიშვნელოვანია. ეს საკითხები შემდეგ საფეხურზე გადასვლამდე უნდა გაირკვეს.
- დაუსვით მხარეებს შეკითხვები პროცესთან დაკავშირებით („შეგიძლიათ თუ არა ამ პროცესის მხარდაჭერა? ერთად ხომ არ გაგვეუმჯობესებინა იგი?“)
- უზრუნველყავით გარკვეულობა პროცესის მიზნებთან დაკავშირებით.
- მოიტანეთ იდეები/კონკრეტული შემთხვევები ანალოგიური გამოცდილებიდან.
- დარწმუნდით, რომ არსებობს დროის ადეკვატური დაგეგმვა და უზრუნველყოფა.
- მოახდინეთ პროცესის ინიცირება ერთიმეორეს მიყოლებული ინტერვიუების საშუალებით.
- შეადგინეთ და დაწერეთ პროექტი პროცესისათვის.

6. კარგი პროცესი გულისხმობს სხვადასხვა სახის შეხვედრებს ადამიანებისათვის, რომლებსაც კავშირი აქვთ პრობლემასთან და სურთ, რომ გამოხატონ თავისი აზრი, შეაფასონ ვარიანტები. ინსტიტუციონალურ შემთხვევებში, გამოიყენეთ ფართო ჯგუფური დისკუსია, კითხვარები ან გამოკითხვა, კვლევითი ჯგუფები და პირადი ინტერვიუ. პოლიტიკურ, ან სათემო შემთხვევებში, ამის გარდა, გამოიყენეთ კონფერენციები, ფორუმები, პუბლიკაციები და კვლევის მასალები. ასეთი ფორუმები დაგეხმარებათ შეფასებასა და პრობლემის გადაჭრის ვარიანტების გამომუშავებაში. გამოიმუშავეთ პრობლემების გადაწყვეტის ვარიანტები, რათა შეიქმნას პრობლემის გადაჭრის ალტერნატივების გარკვეული ჩამონათვალი. ტიპური აქტიობებია:

- ტვინის შტურმი.
- ტექნიკა დელფი – ინდივიდები ფურცელზე წერენ იდეების ჩამონათვალს, რომელიც შემდეგ დაფაზე გაიკვრება.
- ოთახს შემოივლის ფურცელი, რომელზეც თითოეული მონაწილე არსებულ ჩამონათვალს საკუთარ იდეას ამატებს.
- კონსულტაცია ექსპერტებთან, სხვათა გამოცდილება.

დამხმარე ქმედებები ლიდერის, ან ფასილიტატორის მხრიდან:

- გაუცნობიერეთ მონაწილეებს, რომ პროცესის მიზანია ვარიანტების ჩამონათვალის შექმნა და არა ერთ რომელიმე ვარიანტზე დათანხმება.
- გამოიჩინეთ სიმტკიცე და გააგრძელეთ ვარიანტების განხილვა მომდევნო (შეფასების) ეტაპამდე.
- ჩამონათვალის შექმნისას გამოიყენეთ დაფა, ან დიდი ფორმატის ქაღალდი.
- უნდა შეგეძლოთ ტვინის შტურმის ფასილიტირება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე არ იყოს იდეების გაკრიტიკება.
- გამოიჩინეთ სიმტკიცე ძველი, ჩვეული გადაწყვეტილებების გადასალახავად. რაც უფრო მეტი ვარიანტები გაჩნდება, მით უფრო ადვილი იქნება პრობლემისათვის ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების გამონახვა.

შეაფასეთ პრობლემების გადაწყვეტის ვარიანტები, რათა გულდასმით შემოწმდეს თითოეული ვარიანტის ძლიერი და სუსტი მხარეები. ტიპური ქმედებებია:

- გადახედეთ არჩევანის შესაძლო ვარიანტებს და შექმნით მოკლე ჩამონათვალი.
- თითოეული ვარიანტისათვის გააკეთეთ „პლუს/მინუსების“ ან „სარგებელი/ფასის“ ჩამონათვალი.
- თითოეული ვარიანტისათვის გააკეთეთ „მოსალოდნელი ზემოქმედების“ ჩამონათვალი.
- მხარეები აკეთებენ ვარიანტების „მიმდევრობის რანჟირს“ ყველაზე მისაღებიდან, ნაკლებ მისაღებისაკენ.
- მხარეები ერთობლივად ქმნიან ობიექტური კრიტერიუმების ჩამონათვალს.
- მოიძიეთ სხვების გამოცდილება, რომელიც ვარიანტების შეფასების საფუძვლად გამოგადგებათ.
- დაეკითხეთ ექსპერტს.

დამხმარე ქმედებები ლიდერის ან ფასილიტატორის მხრიდან:

- ხაზი გაუსვით იმას, რომ მიზანია არა რაიმე ერთ ვარიანტზე შეთანხმება, არამედ თითოეული ვარიანტის შეფასება.
- გამოიყენეთ დიდი ფორმატის ქაღალდი, ან დაფა.
- წაიყვანეთ ფასილიტირებული დისკუსია შეფასების თაობაზე.

7. პროცესი ხელს უწყობს ნდობის შენებას მხარეებს შორის, ზედმიწევნით აკურატული უკუკავშირის გზით იმ ადამიანებისათვის, ვინც ჩართულია მასში. გამოიყენეთ ღია დისკუსიები, კვლევები, არასავალდებულო კენჭისყრა, კითხვარები, შუალედური ანგარიშები მოლაპარაკებების ან დისკუსიის პროცესების დროს, იმისათვის, რომ მონაწილეები ინფორმირებული იყვნენ ტენდენციების თაობაზე (მანამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივიდოდნენ). იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეები შოკირებული არიან შედეგით/მიღებული გადაწყვეტილებით. ეს, ჩვეულებრივ, იმის ნიშანია, რომ პროცესის დიზაინერებმა ვერ შექმნეს შეს-

ატყვისი ეტაპობრივი უკუკავშირის მექანიზმები. შესაძლოა გადაწყვეტილებას იმედგაცრუებაც სდევდეს თან, მაგრამ არა შოკი, რომელიც თითქმის ყოველთვის არასწორი პროცესის შედეგია.

ხშირად მიეცით ადამიანებს იმის შესაძლებლობა, რომ გამოხატონ პროცესთან დაკავშირებით მათი გრძნობები/დამოკიდებულება. გაარკვეით მოსწონთ თუ არა მათ პროცესი და ესმით თუ არა მისი მიმდინარეობის საფეხურები. არასდროს წარმართოთ ფორმალური პროცესი ინფორმაციის მოგროვების მიზნით (მაგალითად, კითხვარები, ინტერვიუ, კრება, იმის გამოსავლენად, თუ რა უნდათ მათ). აუცილებლად შეატყობინეთ მონაწილეებს ის ინფორმაცია, რაც ამ პროცესის დროს გამოიკვეთა.

შეატყობინეთ ადამიანებს საბოლოოდ მიღწეული გადაწყვეტილების შესახებ. სთხოვეთ მათ, რომ შეაფასონ განვლილი პროცესი და შეატყობინეთ, თუ რა სახის მონიტორინგი, ან განხორციელების პროცესებია დაგეგმილი.

ამგვარი დამატებითი აქტიობის (follow-up) მიზანია დარწმუნდეთ, თუ რამდენად მისაღებია მიღწეული შეთანხმებები მონაწილეებისათვის და უზრუნველყოთ დაგეგმილის შემდგომი მსვლელობა. ტიპური ქმედებებია:

- მოიძიეთ წარმომადგენლობასთან (მონაწილეებთან) საკვანძო საკითხებზე კონსულტაციის გზები პროცესში. რაც მეტია კონსულტაციები, მით უფრო დაუჭერენ მონაწილეები მხარს გადაწყვეტილებებს, თუნდაც არც იყვნენ ამგვარი გადაწყვეტილებებით მაინცდამაინც აღფრთოვანებული.
- მნიშვნელოვანია მონაწილეებთან ანგარიშგების/უკუკავშირის (პროცესის განმავლობაში და პროცესის ბოლოს) გზების დაგეგმვა თავიდანვე.
- შეთანხმდით ერთობლივად მიღწეული შეთანხმებების მონიტორინგის მექანიზმებზე. გარდა ამისა, შეთანხმდით ხელახალი მოლაპარაკების მექანიზმებზეც იმ ფაქტორების ირგვლივ, რომელიც შესაძლოა გამოუსადეგარი აღმოჩნდეს.
- შეთანხმდით იმაზე, თუ რა საშუალებებით შეაფასებთ მოლაპარაკების შედეგებს და/ან გადაწყვეტილების მიღების რა პროცესს გამოიყენებთ.

დამხმარე ქმედებები ლიდერის, ან ფასილიტატორის მხრიდან:

- დაარწმუნეთ მხარეები იმაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ის, რომ მათ დროზე ადრე არ შეასუსტონ ძალისხმევა. უამრავი კარგი შეთანხმება ჩამლილა იმის გამო, რომ მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებმა პრობლემა გადაწყვეტილად ჩათვალეს. ახლა ის მომენტია, როდესაც ნამდვილი მუშაობა იწყება - დგება შეთანხმების შესრულებაზე ფაქიზი მუშაობის ეტაპი.
- გაუსვით ხაზი კონსულტირების/უკუკავშირის მნიშვნელობას მათთან, ვისთანაც ანგარიშვალდებული ხართ.
- გაუსვით ხაზი მონიტორინგის მექანიზმებზე შეთანხმების მნიშვნელობას.

მშვიდობა სამართალზე დგას 4

გიო მგელაძის ფოტო
Photo by Gino Mgeladze

There is no Peace without Justice 4



მასმედიის როლი კონფლიქტების ესკალაციაში და დეესკალაციაში

(პოსტ-კონფლიქტური ქვეყნების სიტუაციის მიმოხილვა)

თამარ ცინისთავი

შესავალი

როცა საზოგადოებაში ღირებულებათა სისტემა არ არის ჩამოყალიბებული, ძალიან რთულდება მშვიდობის დამკვიდრების აუცილებლობის აღიარება. ეს კი რთულდება მით უფრო პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში, სადაც კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ღირებულებათა სისტემა ძალიან არეულია მთელს საზოგადოებაში. ასეთ საზოგადოებებში უფრო მეტად დომინირებს კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარების მხარდაჭერა, ხოლო მშვიდობის მშენებლობა, მშვიდობიანი გზით კონფლიქტების მოგვარება მოსახლეობის მცირე რაოდენობისათვის თუ ხდება მისაღები.

მშვიდობის დამყარების გარეშე ძალიან რთულია საზოგადოების, ქვეყნის განვითარებისა და მით უფრო მისი მდგრადი განვითარების წარმოდგენა, რადგან ძალადობით, ომით გადაწყვეტილი პრობლემა, განსაკუთრებით კი პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში არ იძლევა ქვეყანაში სტაბილურობის დამკვიდრების საშუალებას. ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლი მასმედიას უკავია, რომელიც პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში უფრო ომზე, კონფლიქტის ესკალაციაზეა ორიენტირებული, ვიდრე მშვიდობის დამკვიდრებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მასმედიას საკმაოდ დიდი როლის შესრულება შეუძლია, როგორც მშვიდობის მშენებლობაში, ასევე კონფლიქტების გაღვივებასა და მათ ესკალაციაში. იმისათვის, რომ დავადგინოთ მედიის როლი კონფლიქტებში, აუცილებელია განვიხილოთ ორი მიმართულება მის მუშაობაში - ეს გახლავთ კონფლიქტზე და მშვიდობაზე ორიენტირებული მედიის მოღვაწეობა.

დღესდღეობით აუცილებელია მედიის როლის განსაზღვრა როგორც კონფლიქტების ესკალაციაში, ასევე მისი შესაძლო მონაწილეობა მშვიდობის დამკვიდრებაში ომისა და კონფლიქტის შედეგად გახლეჩილ საზოგადოებებში. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მედიის შესაძლო როლი მშვიდობის მშენებლობის პროცესში, აუცილებელია დაწვრილებით შევისწავლოთ მისი როლი კონფლიქტების ესკალაციაში პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში.

დღესდღეობით ჩვენ ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით, როდესაც მედია პოლიტიზირებულია და ამასთანავე დამყარებულია უმაღლესი დონის ლიდერე-

ბის (მთავრობების) სუბიექტურ რეალობასა და პოლიტიკურ ხედვაზე. აქედან გამომდინარე, ობიექტურობა და ნეიტრალურობა თითქმის მიუწვდომელი გახდა მედიისათვის, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც იგი კონფლიქტებს აშუქებს.

არის რამდენიმე საკითხი, რომელზედაც აუცილებელია ყურადღების გამახვილება და მათი შესწავლა მედიის როლის დასადგენად კონფლიქტების ესკალაციასა და დეესკალაციაში. ეს საკითხები გახლავთ - მედიის ობიექტურობა; მედიის მონაწილეობა კონფლიქტების ესკალაციასა და მტრის ხატის შექმნაში; მედიის შესაძლო მონაწილეობა მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

მასმედიის როლის განსაზღვრა კონფლიქტებში

კონფლიქტური რეგიონებიდან ინფორმაციის გადმოცემისას ჟურნალისტები, უმეტეს შემთხვევაში, გადმოსცემენ ცალმხრივ ინფორმაციას, რომელიც მათ სუბიექტურ რეალობასა და ამა თუ იმ კონფლიქტური მხარისადმი მიკერძობას ემყარება. ასეთი ინფორმაცია ხელს უწყობს მტრის ხატის ჩამოყალიბებასა და გახლეჩილ საზოგადოებებს შორის უფსკრულს აღრმავებს. ამ შემთხვევაში, ჩამოყალიბებული მტრის ხატი, ხალხის მეხსიერების ნაწილი ხდება და მისი დანგრევა საკმაოდ რთულ პროცესთანაა დაკავშირებული პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში.

ჟურნალისტები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ დაპირისპირებული მხარის ნეგატიურ დახასიათებაზე, ნაკლებად საუბრობენ დაპირისპირებული მხარის მდგომარეობაზე კონფლიქტის შემდეგ, მათი უფლებების დარღვევაზე და მათ შეხედულებაზე კონფლიქტის შესახებ. მედიის ინფორმაციით, ყოველთვის ერთი მხარეა დამნაშავე, როდესაც მეორე - მართალია, მხოლოდ ერთი მხარეა მსხვერპლი, როდესაც მეორე მხარე ამისი მიზეზი ხდება.

ასეთი ცალმხრივი ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს, ძალიან დიდ როლს თამაშობს კონფლიქტის ესკალაციაში. კონფლიქტის შედეგად გახლეჩილი საზოგადოებები, რომლებსაც მტრის ხატი აქვთ შექმნილი ერთმანეთზე, კიდევ უფრო მძაფრად რეაგირებენ ცალმხრივ, სუბიექტურ ინფორმაციაზე. შედეგი კი საკმაოდ ხანგრძლივი რეაბილიტაციის პერიოდია, რომლის გავლაც მტკივნეული ხდება კონფლიქტში მყოფი ორივე მხარისათვის. ეს ყოველივე კი არ ტოვებს არანაირ საშუალებას იმისა, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს.

როდესაც საზოგადოება კონფლიქტის წინაშე დგას, აუცილებელია ნეიტრალური და ობიექტური ინფორმაციის გავრცელება მედიის საშუალებით. ასეთი ინფორმაცია კონფლიქტში მყოფ არც ერთ მხარეს არ უნდა უჭერდეს მხარს. ამის გარდა, ინფორმაციის გადაცემისას აუცილებელია ღრმა ანალიზის

გაკეთება კონკრეტული კონფლიქტის შესახებ.

ხალხმა აუცილებელია დაინახოს, რომ ადამიანის უფლებები კონფლიქტის ორივე მხარეზე ირღვევა, რომ ორივე მხარეზეა მსხვერპლი და ასევე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც კონფლიქტის შედეგად წარმოიშვა.

საინტერესოა, რომ მედია ხშირად მხოლოდ ერთი მხარის სუბიექტურ რეალობას წარმოადგენს - აქცენტირება ხდება ამ კონკრეტულ მხარეზე ადამიანის უფლებების დარღვევასა და მსხვერპლის მდგომარეობაზე. ამავე დროს მეორე მხარის მდგომარეობა ნაკლებადაა წარმოჩენილი.

მედია თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ეთნიკურ თუ რელიგიურ კონფლიქტებს, რომელთა ინტერპრეტაცია, ახსნა ხდება ხალხებს შორის არსებული პრობლემებისა თუ ღრმა სიძულვილის არსებობით. ამავე დროს მედია ნაკლებად განიხილავს ასეთი კონფლიქტების წყაროებს და მიზეზებს - პოლიტიკურ, ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ ინტერესებს კონკრეტულ კონფლიქტებში ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე. ამ შემთხვევაში ნაკლებადაა განხილული შიდა პოლიტიკის როლი კონფლიქტებში და ასევე რეგიონალური, საერთაშორისო ფაქტორები და ინტერესები, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტის დაწყებასა და გაღრმავებას. რელიგიურობისა და ეთნიკურობის თემა, როგორც პოლიტიკური მანიპულაციის საგანი, ნაკლებად არის განხილული მედიის მიერ კონფლიქტების გაშუქებისას.

მედია ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მტრის ხატს ქმნის, რაც ისევ დაპირისპირებული მხარის ხალხთანაა გაიგივებული - ანუ მთელი ეთნიკური ჯგუფი მტერთან არის გაიგივებული. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, მტრის სახით მოიხსენიება არა პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც კონფლიქტთან პირდაპირ კავშირშია, არამედ ეთნიკური ჯგუფი, რაც აერთიანებს დამნაშავეს და უდანაშაულოს. ეს კი იწვევს მთლიანად ამ ეთნიკური ჯგუფის მიმართ ნეგატიური სტერეოტიპის ჩამოყალიბებას.

მედია არ ეყრდნობა კონფლიქტების ანალიზს, რომელიც არა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ხალხს განიხილავს როგორც მტერს, არამედ კონკრეტულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ გეოპოლიტიკურ მიზეზებს, რაც ხშირად არის კონფლიქტების წამოწყების ძირითადი წყარო.

კონფლიქტის მიზეზად მედია უმეტეს შემთხვევაში ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის, უმცირესობასა და უმრავლესობას შორის არსებულ უთანხმოებებს ასახელებს, რაც უფრო პოლიტიკური მანიპულაციის სინდრომია, ვიდრე კონფლიქტის ესკალაციის მიზეზი. ზემოთ ხსენებული უთანხმოებანი ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის პროვოცირებისათვის არის გამოყენებული, რათა მოხდეს კონფლიქტის გამოწვევა და კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფების

თამარ ციხისთავი / მასმედის როლი კონფლიქტების ესკალაციაში და დეესკალაციაში

ინტერესების გატარება.

სხვა პრობლემა, რომელიც თავს იჩენს ამ პროცესში, არის ის, რომ კონფლიქტში მყოფი მეორე მხარის მოხსენიება უკვე კარგად ჩამოყალიბებული ნეგატიური ტერმინოლოგიით ხდება, რაც, თავისთავად, ელვისებური სისწრაფით ავითარებს უარყოფით განწყობას დაპირისპირებულ მხარეში. (მაგალითად ეთნიკური ჯგუფების სახელი, რომელშიც მტერი იგულისხმება და აერთიანებს ამ ეთნიკური ჯგუფის ყველა წარმომადგენელს. ამ დროს ხდება კონფლიქტში მყოფი ერთი მხარის შეურაცხმყოფელი სიტყვებით შემკობა და მოხსენიება; მითების შექმნა მტრის სისასტიკეზე და ა.შ.)

ამ შემთხვევაში კონფლიქტის ანალიზი, რომელიც მედიის მიერ არის განვითარებული, ეყრდნობა კონფლიქტში მართალ და მტყუან მხარეებს, რაც იმის მიხედვითაა გაშუქებული, თუ დაპირისპირებული მხარეების რომელი მხრიდან ხდება ინფორმაციის მიწოდება.

ასეთი სუბიექტური ინფორმაცია თავისთავად უწყობს ხელს კონფლიქტის ესკალაციას, რაც ხშირად გადაიზრდება ხოლმე გაყინულ, მოუგვარებელ კონფლიქტად.

ასეთ შემთხვევაში, როდესაც მედია ცალმხრივ ინფორმაციას ავრცელებს, იგი ეყრდნობა კონფლიქტში მყოფი ერთი მხარის პოლიტიკურ პოზიციას, რაც პოლიტიკური ელიტის მიერ არის გამოძულებული. მაგალითად, ასეთი სიტუაცია იქმნება ყოფილ საბჭოთა კავშირის, პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში, რომლებშიც მედია ეყრდნობა ცალმხრივ, სუბიექტურ და პოლიტიზირებულ ინფორმაციას.

გასათვალისწინებელია, რომ განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში, ოფიციალური სახელმწიფო ინფორმაცია დომინირებს და მედიას ნაკლები საშუალება აქვს გაავრცელოს ის ინფორმაცია, რომელიც კონფლიქტს ორივე მხრიდან გააშუქებდა და არ იქნებოდა ცალმხრივი. მედია უმეტეს შემთხვევაში ბრმა იარაღი ხდება მთავრობების ხელში, რომლებიც მას იყენებენ კონფლიქტების შესახებ ცალმხრივი და სუბიექტური ინფორმაციის გასავრცელებლად, რაც კონფლიქტის გამწვავებასა და ესკალაციას ემსახურება.

ორმხრივი, ობიექტური ინფორმაცია, რომელიც კონფლიქტის პრევენციისათვის და ტრანსფორმაციისთვის არის აუცილებელი, დღევანდელ მედიაში პრაქტიკულად არ არის გამოყენებული.

ობიექტური და ნეიტრალური ინფორმაცია ხელს შეუწყობდა კონფლიქტური მხარეების მდგომარეობის გაშუქებას, ადამიანის უფლებების დარღვევის დაფიქსირებას ორივე მხარეზე და ასევე გამოკვეთდა მხარეებს შორის იმ საერთო ინტერესებს და საჭიროებებს, რომლებიც კონფლიქტის ტრანსფორმაციას შეუწყობდა ხელს.

მაგრამ მედია შორსაა ობიექტურობისაგან, რაც პრობლემატური ხდება მრავალი პოსტ-კონფლიქტური ქვეყნისათვის. მედიის ასეთი ტენდენციური როლი

შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სტრუქტურული ძალადობის ნაწილი, რაც პოლიტიკური ელიტის მიერ არის განვითარებული. კონფლიქტების გაშუქებისას, მედია პოლიტიკური ელიტის კონტროლის ქვეშაა, ვისი სუბიექტური რეალობაც (ამ შემთხვევაში პოლიტიკური ხედვა) წარმოდგენილია, როგორც ობიექტურობა, რაც საბოლოო ჯამში ობიექტურ ინფორმაციად ვრცელდება მრავალ პოსტ-კონფლიქტურ ქვეყანაში.

სხვა პრობლემა, რომელიც თავს იჩენს კონფლიქტების გაშუქებისას, არის სიტყვის თავისუფლება, რომელიც ზოგჯერ კონფლიქტების ესკალაციას უწყობს ხელს. ერთი მხრივ, აუცილებელია, დაცული იქნას დემოკრატიული პრინციპები და ყველას მიეცეს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება, მეორე მხრივ საჭიროა კონფლიქტების გაშუქებისას ყურადღება მიექცეს იმ ინფორმაციას, რომელიც იწვევს კონფლიქტის ესკალაციას – ასეთი ინფორმაციის გაშვება უნდა შეიზღუდოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით. ამ შემთხვევაში მედიამ ორმაგი ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ რას უწყობს ხელს კონფლიქტების შესახებ მოპოვებული ინფორმაცია – კონფლიქტების ესკალაციასა თუ დეესკალაციას. სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა მოხდეს ინფორმაციის გავრცელება მედიის მიერ. ამ შემთხვევაში სიტყვის თავისუფლება შეიზღუდება და ინფორმაციის ნაწილი არ გავრცელდება, მაგრამ თუ ეს ინფორმაცია გამოიწვევს კონფლიქტის ესკალაციას, ალბათ ღირს დაფიქრება, რა უფრო მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში - სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კონფლიქტის ესკალაციის შეჩერება. ასეთ დროს აუცილებელია შეიზღუდოს ყოველგვარი ინფორმაციის გავრცელება, რაც სასიშროებას უქმნის პოსტ-კონფლიქტური ქვეყნის უსაფრთხოებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეებზე. ეს კი ძალიან ხშირად არ კეთდება მედიის მიერ, რაც თავისთავად იწვევს კონფლიქტის ესკალაციას, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე და საშიშროებას უქმნის მთელ რიგ ქვეყნებს.

მედიამ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტის დეესკალაციას პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში. ამასთანავე მედია უნდა განთავისუფლდეს პოლიტიკური გავლენისაგან და მიმართოს მუშაობა ნეიტრალურობისაკენ, რაც თავიდან აგვაცილებს კონფლიქტების გაღრმავების ერთ-ერთ საშუალებას - ცალმხრივი და სუბიექტური ინფორმაციების გავრცელებას.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ რეალურ აუცილებლობას იმისა, რომ დაარსდეს მშვიდობაზე ორიენტირებული მედია, ომზე და კონფლიქტზე ორიენტირებულის ნაცვლად.

როდესაც კონფლიქტთან ან პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, მედიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ნაკლებად ეყრდნობა ღრმა ანა-

ლიზს, კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს და ორმხრივ ინფორმაციას.

ის, რასაც მედია გვთავაზობს, არის ცალმხრივი ინფორმაცია, რომელიც არანაირად არ ასახავს დაპირისპირებული მხარის რეალურ სიტუაციას.

კონფლიქტის დროს მედიის ძირითადი დანიშნულება უნდა იყოს კონფლიქტში მყოფი ორივე მხარის რეალური სიტუაციის ასახვა. თუ მედია მხოლოდ ერთ მხარეზეა ორიენტირებული, ეს ნიშნავს, რომ იგი მას მხარს უჭერს და სუბიექტურ ინფორმაციას აწვდის ხალხს მის შესახებ. ასეთი ქმედებით მედიას წვლილი შეაქვს კონფლიქტში და მის გაღრმავებაში. ამ შემთხვევაში სუბიექტური ინფორმაცია აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს და ბლოკირებას უკეთებს ყველანაირ სამშვიდობო ინიციატივას პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში. ასეთი შედეგები, რომლებსაც მედია აღწევს ცნობიერად თუ არაცნობიერად, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ხელი შეეწყოს მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარებას, რისი სურვილიც ყოველთვის შეიძლება გამოვლენილ იქნას დაპირისპირებულ მხარეებში.

მედია უმეტეს შემთხვევაში არ აანალიზებს იმას, თუ რა მიზეზით დაიწყო კონფლიქტი, რა როლი ჰქონდა ამ კონფლიქტში ერთი მხრივ კულტურულ, ტრადიციულ, ისტორიულ ასპექტებს და მეორე მხრივ კი პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესს, რომელიც ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეებზე შეიძლება განვიხილოთ. მედია ამგვარ ანალიზს ხშირად არ ავითარებს და, თუ ასეთი რამ ხდება, მაშინ მის მიერ გამოყენებულია კონფლიქტში მონაწილე ერთი მხარის მკვლევარების, პოლიტიკოსებისა და სპეციალისტების სუბიექტური ანალიზი, რაც ხელს უწყობს ისევ ცალმხრივი ინფორმაციის გავრცელებას.

ნეიტრალური ანალიზი, რომელიც ორივე მხარის წარმომადგენლებისა და მესამე მხარის მიერ იქნებოდა განვითარებული, პრინციპში მიუწვდომელია მედიის მუშაობისათვის.

კონფლიქტის ანალიზი, რომელიც მიეწოდება მილიონობით მსმენელს, დამყარებულია იმ იდეების ინტერპრეტაციაზე, რომლებიც კონფლიქტში მყოფი ამა თუ იმ მხარის პოლიტიკური პოზიციას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში მხოლოდ პოლიტიკური პოზიციები ფიქსირდება და არა ორივე მხარის საჭიროებები, ინტერესები და მოთხოვნები, რაც დიალოგისაკენ წაიყვანდა დაპირისპირებულ მხარეებს და კონფლიქტის მოგვარებისათვის შესაფერის პირობებს შექმნიდა.

ცალმხრივი ინფორმაციის გადაცემისას, რაც ხელს უწყობს მტრის ხატის შექმნას ხალხში, მედია არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას კონფლიქტის ესკალაციისა, ან მისი გაყინულ კონფლიქტად გადაქცევის გამო. კონფლიქტის ესკალაციაში კი ისევ ის ხალხი მონაწილეობს, რომელსაც მტრის ხატი მყარად აქვს ჩამოყალიბებული მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ასეთი ტენდენცია ხელს უწყობს მძაფრი დაპირისპირების ჩამოყალიბებას, რაც შემდგომში ხასიათდება მკვეთრი ანტაგონიზმის განვითარებით გახლეჩილ საზოგადოებებში. ამ შემთხვევაში ხალხი საკმაოდ ძნელი სამართავი ხდება პოსტ-კონფლიქტური სიტუაციის პირობებში და კონფლიქტის ძალადობრივი მოგვარების შანსი მატულობს.

ამას იწვევს კონფლიქტში მონაწილე მხოლოდ ერთი მხარის მდგომარეობასა და უფლებებზე ინფორმაციის გავრცელება, რაც გამორიცხავს კონფლიქტში მყოფი მხარეებისათვის მეორე მხარის მდგომარეობასა და უფლებების შელახვაზე ინფორმაციის მიწოდებას.

ამ შემთხვევაში აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს კონფლიქტში მყოფი ორივე მხარის საერთო უფლებებსა და ინტერესებზე, რაც მათ კონფლიქტის მოგვარებამდე მიიყვანდა.

ცალმხრივი ინფორმაციის გადაცემისას მედია საფუძველს უყრის კონკურენციის განვითარებას მხარეებს შორის (წაგება-მოგების მოდელი), რაც თავისთავად კონფლიქტის ესკალაციას უწყობს ხელს. კონკურენციისას მხარეებს შორის კონფლიქტი ღრმავდება, რაც შემდეგში გამოიხატება:

1. მხოლოდ ერთი მხარის უფლებებია აღიარებული და იდეალიზებული;
2. მიმდინარეობს მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებისა და საჭიროებების დაფიქსირება;
3. აღიარებულია ერთი მხარის ზარალი და დანაკარგი;
4. საუბარია ერთი მხარის მოგებაზე იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა შედეგები მოჰყვება ომს და რა პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემების წინაშე დადგა ხალხი ომის შემდეგ;
5. დომინირებს აზრი, რომ კონფლიქტის მოგვარება მეორე მხარის ინტერესების გაუთვალისწინებლადაც შეიძლება (ანუ ხდება მხოლოდ ერთი მხარის პოზიციის დაფიქსირება).

კონკურენცია, რაც მედიის საშუალებით არის განვითარებული, ხელს უწყობს ხალხში მტრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას კონფლიქტში მყოფი მეორე მხარის მიმართ. ამ შემთხვევაში როგორი სამშვიდობო ხელშეკრულებაც არ უნდა დაიდოს კონფლიქტში მყოფ მთავრობებს შორის, ხალხში ჩამოყალიბებული მტრის ხატი არ იძლევა კონფლიქტის მოგვარებისა და შერიგების პროცესის დაწყების საშუალებას. ამიტომ აუცილებელია, რომ მედიამ თანამშრომლობის - მოგება-მოგების მოდელი განავითაროს კონფლიქტის გაშუქებისას, რაც საშუალებას მოგვცემს:

1. ვადიართ კონფლიქტში მყოფი ორივე მხარის უფლებების დარღვევა კონფლიქტის შედეგად;

2. გამოვნახოთ საერთო ინტერესები და საჭიროებები (პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სხვა), რაც კონფლიქტის მოგვარებას შეუწყობდა ხელს;
3. ვაღიაროთ ორივე მხარის ზარალი კონფლიქტის შედეგად;
4. ვაღიაროთ, რომ კონფლიქტის შედეგად ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიგო (იგულისხმება ომის მსხვერპლთა რაოდენობა, პოლიტიკური, ეკონომიკური პრობლემები, იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემა და სხვა);
5. დავაფიქსიროთ ფაქტი, რომ კონფლიქტის მოგვარება ორივე მხარის ინტერესებშია არსებული პრობლემების მოგვარებისა და მომავალში კონფლიქტის ესკალაციის შესაჩერებლად.

მედიას დიდი როლის შესრულება შეუძლია კონფლიქტის მოგვარებაში, თუ კონფლიქტის გაშუქებისას მოგება-მოგების მოდელს დაეყრდნობა და არა მოგება-წაგების მოდელს. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება, რომ მედიამ კონფლიქტები არა იმ სახით გააშუქოს, როგორც ეს დღესდღეობით ხდება, არამედ ფოკუსირება გააკეთოს თანამშრომლობის - მოგება-მოგების მოდელზე.

მედიის ეფექტური მუშაობისათვის, რაც ხელს შეუწყობდა განღივებულ საზოგადოებაში კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესს, აუცილებელია განვიხილოთ და შევადაროთ ერთმანეთს ერთი მხრივ კონფლიქტსა და ომზე ორიენტირებული და მეორე მხრივ მშვიდობაზე ორიენტირებული მედიის მოღვაწეობა.

ომზე ორიენტირებული მედია	მშვიდობაზე ორიენტირებული მედია
1. კონფლიქტის კანცეფციას განისაზღვრავს	
კონფლიქტის ესკალაციის ასპექტებს	კონფლიქტის დეესკალაციის ასპექტებს
1. სამხედრო ლოგიკის მხარდაჭერა	1. სამხედრო ლოგიკის კითხვის ქვეშ დაყენება
2. კონფლიქტის, როგორც კონკურენციის პოტენციალის ინტერპრეტაცია	2. კონფლიქტის, როგორც კონკურენციის პოტენციალის კითხვის ქვეშ დაყენება
3. ყურადღების გამახვილება სამხედრო ღირებულებებზე	3. სამხედრო ღირებულებების კითხვის ქვეშ დაყენება
4. სამხედრო ძალების, როგორც კონფლიქტის მოგვარების ყველაზე უფრო ეფექტური საშუალების წარმოდგენა	4. მშვიდობიანი ალტერნატივების, როგორც განსაკუთრებული საჭიროების წარმოდგენა

თამარ ციხისთავი / მასმედის როლი კონფლიქტების ესკალაციასა და დეესკალაციაში

თამარ ციხისთავი / მასმედის როლი კონფლიქტების ესკალაციასა და დეესკალაციებში

2. კონფლიქტში მონაწილე მხარეების უფლებებისა და მიზნების შეფასება	
კონფლიქტის ესკალაციის ასპექტები	კონფლიქტის დეესკალაციის ასპექტები
1. ინტიგონიზირება	1. ბაღისიზება
2. შტრის უფლებებისა და მიზნების სრული უარყოფა	2. შტრის უფლებების აღიარება და მოუკერძოებელი, ობიექტური გაშუქება მისი მიზნებისა
3. საკუთარი მიზნის უფლებებისა და მიზნების იდეალიზირება	3. ობიექტური თვითკრიტიკა და საკუთარი უფლებებისა და მიზნების შეფასება
4. საერთო ინტერესებისა და შესაძლო თანამშრომლობის სრული უარყოფა	4. კრიტიკული დისტიანცია კონფლიქტში მყოფ ორივე მხარესთან - აქცენტის გაკეთება მათ საერთო ინტერესებზე, ამის საწინააღმდეგეთ შოძრაობისა და სამშვიდობო ინიციატივების შიარ დაჭერა.

3. კონფლიქტში მონაწილე მხარეების ქმედებების შეფასება	
კონფლიქტის ესკალაციის ასპექტები	კონფლიქტის დეესკალაციის ასპექტები
1. კონფრონტაცია (დაპირისპირება)	1. თანამშრომლობა
2. საკუთარი მიზნის ქმედებების გამართლება და საკუთარი სისწორისათვის საზღვასა	2. საკუთარი ქმედებების კრიტიკული შეფასება
3. შტრის ქმედებების გამტყუნება	3. მეორე მხარის ქმედებების მოუკერძოებელი, ობიექტური შეფასება
4. კონფლიქტით გამოწვეული აღშფოთების გაღატანა და აინისპირებული მხარის თითოეულ წარმომადგენელზე - მილიანად ეთნიკურ უკუშეხება	4. აღშფოთების გაღატანა ობიექტურ, მოუკერძოებელი, ობიექტური მხარის ქმედებების კრიტიკული და ობიექტური შეფასება, ორივე მხარეზე გამოწვეული ზიანის გაშუქება და იმ მომენტის შეფასება, რომელსაც ორივე მხარე მიიღებდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის.

4. კონსტრუქციის მართვლის კონფლაქტში	
კონფლაქტის ესკალაციის ასპექტები	კონფლაქტის დეესკალაციის ასპექტები
1. დისტრუქციული უბიძგობა	1. კონსტრუქციული უბიძგობა
2. შტრის მიმართ შუქარის უარყოფა	2. შტრის მიმართ შუქარის აღიარება
3. საკუთარი გამარჯვების მიმართ სდობის გამოხატვა	3. გამარჯვების ფასის აღიარება
4. შუქარის მოლოდინი	4. შუქარის მოლოდინის შეშინება
5. უსდობლობის გაღვივება შტრის და შესაძლე მხარის მიმართ, რთმეორე ცდილობს შუამდგომლობა კონფლაქტში ზყოფ მხარეებს შორის.	5. ინფორმაციის შეწოდება შერეების ბერსბეაქტივებზე.

5. ხილადური იფრტიფიკაცია და ხარხვრება	
კონფლაქტის ესკალაციის ასპექტები	კონფლაქტის დეესკალაციის ასპექტები
1. კონფრონტიციული სციმადური გაღდებულება	1. თანამშრომადური სციმადური გაღდებულება
2. წახადისება იფრტიფიკაციისა - საკუთარი მხარის მსხვერმდის იფრტიფიკაცია და წახადისება, რთგორც ღირსეულისა და დამსახურებულის, მეორე მხარის მსხვერმდისა და - რთგორც უღირსისა	2. თრიფე მხარეზე მსხვერმდის აღიარება, რთგორც თმის შედუგად თანისწორად დამადრული ხადისისა
3. საკუთარი ხადისის იფრტირება ღირსეულთან, მეორე მხარის ხადისის იფრტირება უღირსთან უსეში მთხსუნება მათა ვინც გამოფის ინიციაციით, რთმ მშეიდობიანი ვწით მთგვარდეს კონფლაქტით	3. ნერიტადური მთხსუნება კონფლაქტში ზყოფი თრიფე მხარის ხადისისა და აქციენტის გაკეთება მათზე ვინც გამოფის ინიციაციით, რთმ მშეიდობიანი ვწით მთგვარდეს კონფლაქტით
4. საკუთარი ეღიტის დადებიოად მთხსუნება და მეორე მხარის ეღიტის გამოცხადება უარყოფით მოფდენად, ამადე დროს ეღიტის იმ ნაწილის გამოცხადება უარყოფით მოფდენად, რთმეორე ცდილობს მშეიდობიანი ვწით კონფლაქტის მოგვარებას.	4. ნერიტადური პოზიციის გამოფდენა თრიფე მხარის ეღიტის მიმართ, აქციენტის გაკეთება ეღიტის იმ ნაწილზე, რთმეორე ცდილობს მშეიდობიანი ვწით კონფლაქტის მოგვარებას.

თამარ ციხისთავი / მასმედის როლი კონფლიქტების ესკალაციისა და დეესკალაციისში

აუცილებელია, რომ მედიამ აქცენტი გააკეთოს კონფლიქტის ანალიზზე, რაც მოიცავს:

1. კონფლიქტის ანალიზს, რომელიც დაეყრდნობა არა მხოლოდ ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის უთანხმოებებსა და ეროვნებათშორისი სიძულვილის პერსპექტივას, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების მიმოხილვას კონფლიქტში;
2. რეგიონალურ ინტერესებს და მის როლს შიდა კონფლიქტებში;
3. შიდა პოლიტიკის როლს კონფლიქტის დაწყებასა და ესკალაციაში (იგულისხმება ქვეყნის შიდა პოლიტიკის ანალიზი, რომელიც გამოავლენს კონფლიქტის დაწყების მიზეზებს).

მშვიდობაზე ორიენტირებული მედიის დაარსება აუცილებელია პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში კონფლიქტის ესკალაციის შესაჩერებლად და ასევე მისი ტრანსფორმაციისათვის. ამ შემთხვევაში აუცილებელია, გაკეთდეს იმის ანალიზი, თუ ინფორმაციის რომელი ასპექტები იწვევს კონფლიქტის ესკალაციას, და რომელი დეესკალაციას. ეს კი, სამწუხაროდ, დღესდღეობით არ არის სათანადოდ შესწავლილი და განვითარებული, თუმცა ზემოთმოყვანილი შედარება ესკალაციისა და დეესკალაციის გამომწვევი ასპექტების შესახებ ალბათ ამ ეტაპზე საჭიროა, რომ გათვალისწინებულ იქნას.

მედია, რომელიც კონფლიქტის ესკალაციაზეა ორიენტირებული, წარმატებით შეიძლება შევადაროთ ასევე სტრუქტურულ (არაპირდაპირ) ძალადობას, რომელიც ბევრი პოლიტიკური სისტემის საფუძველია.

თუ პირდაპირი ძალადობისას ადგილი აქვს ადამიანების ფიზიკურ განადგურებას და მათთვის ზიანის მიყენებას, არაპირდაპირი (სტრუქტურული) ძალადობისას ადამიანების ძირითადი უფლებები უხეშად ირღვევა. საერთო ჯამში არაპირდაპირი, სტრუქტურული ძალადობა ხელს უწყობს ხალხის თანდათანობით განადგურებას - ანუ სტრუქტურული ძალადობისას ადგილი აქვს ადამიანთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა უფლებების უხეშ დარღვევას, რაც მათ გაუსაძლის მდგომარეობაში აყენებს და თანდათან ანადგურებს. ამისი ნათელი მაგალითია მრავალი პოსტ-საბჭოთა, პოსტ-კონფლიქტური ქვეყანა, რომლებშიც ადამიანის უფლებების შელახვის უკიდურესი ფორმებია გამოვლენილი.

ომზე და კონფლიქტზე ორიენტირებული მედია კი სტრუქტურული ძალადობის ნაწილი ხდება, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ხალხზე და მათთვის ქმნის მტრის ხატს ცალმხრივი ინფორმაციის მიწოდებით. მტრის ხატი კი ავითარებს შუღლს დაპირისპირებულ მხარეებს შორის, საშუალებას არ ტოვებს

თამარ ცხისთავაძე / მასმედის როლი კონფლიქტების ესკალაციაში და დეესკალაციაში

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის და მშვიდობის მშენებლობისათვის. ამის გამო პოსტ-კონფლიქტური საზოგადოებები მუდმივ კონფლიქტებშია ჩართული, რაც თავისთავად არ იძლევა ადამიანის უფლებების დაცვისა და ქვეყანაში მშვიდობის, მდგრადი განვითარების დამკვიდრების საშუალებას.

ომზე ორიენტირებული მედიის მიერ კონფლიქტების გაშუქება არანაირ საშუალებას არ იძლევა იმისა, რომ ხალხში მოხდეს სამშვიდობო ინიციატივის განვითარება და კონფლიქტის კონსტრუქციული მოგვარების მცდელობა. ხალხი, ამ შემთხვევაში იმ ცალმხრივ და სუბიექტურ ინფორმაციაზე აკეთებს აქცენტს, რაც მედიის მიერ არის შეთავაზებული.

ამ შემთხვევაში ომზე ორიენტირებული მედია, როგორც სტრუქტურული ძალადობის ნაწილი, არჩევანს არ უტოვებს პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებას, რომ მას ალტერნატიული, ანუ სამშვიდობო დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეს დაპირისპირებული მხარის მიმართ და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე იფიქროს.

მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კონფლიქტების შესახებ საკმაოდ პოლიტიზირებულია, რაც მედიის მუშაობას დამოკიდებულს ხდის პოლიტიკურ ელიტაზე. ამ ვითარებაში კი ხალხს არ ეძლევა იმისი საშუალება, რომ ორმხრივი, დამოუკიდებელი ინფორმაცია მიიღოს, რაც საშუალებას მისცემდა აქცენტი გაეკეთებინა:


1. კონფლიქტში მყოფი მხარეების საერთო ინტერესების გამოვლენაზე კონფლიქტის მოგვარებისათვის;
2. კონფლიქტში მყოფი ორივე მხარის მდგომარეობის გათვალისწინებაზე;
3. ნიადაგის შექმნაზე მხარეებს შორის კონსტრუქციული დიალოგისა და პრობლემაზე ერთობლივი მუშაობისათვის.

მშვიდობიანი განწყობის შექმნის მაგივრად ცალმხრივი ინფორმაცია ხალხზე უარყოფითად მოქმედებს და იწვევს ნეგატიური სტერეოტიპების ჩამოყალიბებას. პოსტ-კონფლიქტური საზოგადოება იწყებს კონფლიქტში მონაწილე ჯგუფების გაიგივებას დაპირისპირებული მხარის მთელ მოსახლეობასთან და მთელ ეთნიკურ ჯგუფს იხსენიებს, როგორც მტერს. ასეთი განზოგადება აიგივებს კონფლიქტში მონაწილე კონკრეტულ ჯგუფებს მთლიან მოსახლეობასთან და ყველა ერთიანად მოიხსენიება, როგორც მტერი.

კონფლიქტის მოგვარებისას კი აუცილებელია ორ მხარეს შორის წარმოშობილი უთანხმოებების, მიზეზების გარკვევა და შექმნილი პრობლემების მოგვარება. მტრის ხატის შექმნა, განზოგადებები და კონკურენცია კი კონფლიქტის მოგვარებას ვერაფრით შეუწყობს ხელს - პირიქით, ეს ყველაფერი

უფრო გააღრმავებს კონფლიქტს და შერიგების პროცესს შეუშლის ხელს.

კონფლიქტი, ომი, რომელიც იწვევს საზოგადოების გახლეჩას, გადაიზრდება ხოლმე მტრობაში, რასაც ისევ კონფლიქტისაკენ მიყვავართ.



ამ შემთხვევაში წრე იკვრება, რომელიც არ იძლევა კონფლიქტის შეჩერებისა და, მით უმეტეს მისი მშვიდობიანი მოგვარების საშუალებას.

ამ პროცესში აუცილებელია მოსალოდნელი კონფლიქტის პრევენცია, რაშიც მშვიდობაზე ორიენტირებული მედიის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის აქტიურ მონაწილეობასთან ერთად მშვიდობაზე ორიენტირებული მედიის მუშაობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მშვიდობის დასამყარებლად გახლეჩილ საზოგადოებებში.

საზოგადოების საწყისი, საშუალო და უმაღლესი დონეების ერთიანი ამოქმედება, რაც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისაკენ იქნება მიმართული, შესაძლებელს გახდის გახლეჩილი საზოგადოებების გამთლიანებას, კონფლიქტის პრევენციას და მყარი მშვიდობის დამყარებას.

ყოველივე ამის მისაღწევად აუცილებელია სპეციალური პოლიტიკის გამომუშავება, რაც კონფლიქტის შვიდობიანი გზით მოგვარებისაკენ იქნება მიმართული და რაც შექმნის საზოგადოების ყოველ დონეზე სპეციალურ ინფრასტრუქტურას მშვიდობის მშენებლობისათვის.

მშვიდობაზე ორიენტირებულ მედიას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია ამ პროცესში, რაც მოიცავს ომის შედეგად გახლეჩილი საზოგადოებების გამთლიანებასა და მშვიდობის დამყარებას პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში.

თამარ ციხისთავი / მასმედის როლი კონფლიქტების ესკალაციაში და დეესკალაციაში

მშვიდობა სამართალზე დგას 5

გიო მგელაძის ფოტო
Photo by Gjo Mgeladze

There is no Peace without Justice 5



არაძალადობა

პო ვან ჟიონი
თარგმნა შორენა ლორთქიფანიძემ

ომისა და ძალადობრივი რევოლუციის ისტორია ცხადყოფს ადამიანთა გამუდმებულ მცდელობას - შეეცვალათ საზოგადოება. თუმცა ძალადობა საზოგადოებაში დრამატული ცვლილებების შეტანისა და საზოგადოებებს შორის უსამართლო ურთიერთობების შემცირების ერთადერთი გზა არ არის. სოციალური უსამართლობისა და რეპრესიული პოლიტიკური სისტემების წინააღმდეგ ომის გამოცხადების სტრატეგიად არაძალადობა ძალადობის საპირწონედ აღიქმება. ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება არაძალადობრივი ქმედების ძირითადი მიზანია. ამ თვალსაზრისით, არაძალადობა სიტყვა-სიტყვით იარაღის აღების, მკვლელობისა და ადამიანისათვის ჭრილობის მიყენების მეთოდზე უარის თქმას გულისხმობს. ძალადობის ინსტიტუტი სოციალური უკმაყოფილებასა და ასერტულობას იწვევს. ძალადობის ინსტიტუტი ყოველდღიური ღირებულებების უარყოფის ფასად უჩვეულო ქმედებების გამართლებას პოულობს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში არაძალადობის დანერგვა თანამშრომლობისა და ნდობის გაღვივებას იწვევს, სწორედ, იგი იკავებს კონკურენციისა და ასერტულობის ადგილს. არაძალადობრივი საზოგადოების ქვაკუთხედი თითოეული ადამიანის მოთხოვნის გათვალისწინებაა. იმის გამო, რომ არაძალადობის მოტივაცია სასურველი და მზრუნველი სამყაროს შექმნის სურვილისაგან გამომდინარეობს, ყველა ძალისხმევა ჩაგვრის ინსტიტუტის გაუქმებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

არაძალადობის მნიშვნელობა

სიტყვა „არაძალადობა“ მე-20 საუკუნის პირმშოა. ამ ტერმინს მე-17 - მე-19 საუკუნეებში „დამორჩილებასთან“, „პასიურობასთან“ აიგივებდნენ. განსხვავებით „დამორჩილებისაგან“, ტერმინი „არაძალადობა“ სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის ან ძალადობის სხვა მიზეზების აღმოფხვრას არა ძალადობით, არამედ სხვა გზებით—არაძალადობრივი გზებით, ცდილობს. არაძალადობა სინდისის თავისუფლებისათვის შეუპოვარი ბრძოლით, ან არსებულ ხელისუფლებასთან საერთო ენის პოვნის სურვილით, აღინიშნება. მჩაგვრელი თავისუფლებას ნებით არასოდეს ანიჭებს, თავისუფლება დაჩაგრულმა უნდა მოითხოვოს. სოციალური წესრიგის ძიებისას არაძალადობრივ რევოლუციურ

პო ვან ჟიონი / არაძალადობა

ბრძოლაში თავისუფლება „მორალური ძალაა“.

არაძალადობრივი ქმედება გარდაიქმნება სიმამაცედ, ღირსებად და ასერტულობად. ბრძოლის მოქმედ ფორმაში არაძალადობრივი ბრძოლა არასამხედრო, დეცენტრალისტური და ერთობლივი ბრძოლაა, თუმცა რევოლუციური. არაძალადობა პიროვნების ინტეგრირებულობასა და ავტონომიას პატივს სცემს და იცავს. არაძალადობრივი ენერგია დემოკრატიული იმპულსებით არის გაჟღენთილი, ეს უკანასკნელი კი ტრანსფორმაციული პროცესის მამოძრავებელია. მაგალითად, ნაკლებ ცენტრალისტური რევოლუციის საფუძველი სამხედრო სამსახურზე უარის თქმაა, ან გადასახადების გადაუხდელობა სამხედრო სამსახურის მიმართ პროტესტის გამოხატვის მიზნით.

არაძალადობა ეწინააღმდეგება რეპრესიულ სოციალურ ინსტიტუტებს და იმგვარ ქმედებს, რომლებიც ადამიანებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტკივილს აყენებს. ძალადობის წამალი ძალადობა და შურისგება არ არის. ფიზიკური ძალადობის მიუღებლობა მორალურ ან უტილიტარულ საფუძველს ეყრდნობა, ან ორივეს ერთად. არაძალადობრივი ბრძოლის მიზანი მეორე მხარეზე გამარჯვების მოპოვება კი არ არის, არამედ ორმხრივად სასარგებლო დასასრულის მიღწევაა. ოპონენტს უნდა დავეხმაროთ იპოვოს სამართლიანობა. კონფლიქტების გადაწყვეტის არაძალადობრივი საშუალებების გამოყენების შედეგი ყოველგვარი ძალადობის გარეშე მიღწეული შერიგებაა.

არაძალადობა სოციალური ორგანიზაციის საფუძველად შეიძლება განვიხილოთ. ეს მოსაზრება ეფუძნება შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, უთანასწორობის ყველა ფორმას კვებავს ძალადობა. არაძალადობრივ პრინციპებზე აღმოცენებული საზოგადოება ომის, სოციალური და ეკონომიკური ძალადობის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ, სოციალური იერარქიებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ დამცავ მექანიზმებს გვთავაზობს. ძალადობის ორგანიზაცია, თავის მხრივ, არადემოკრატიული და არაეგალიტარულია. ძალადობა სტრუქტურის რეალურად ტრანსფორმაციის გარანტიას არ გვაძლევს. როგორც საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციებმა გვაჩვენა, სოციალური ცვლილებების განხორციელებამ ძალადობის გზით მეტი ძალადობა და ადამიანური ტრაგედია მოიტანა.

ცვლილებების განხორციელების ეფექტიან საშუალებად არ შეიძლება მივიჩნიოთ ღია ფიზიკური ძალადობა. მას შემდეგ, რაც საშუალებები და მიზნები სამართლიანი და არაწინააღმდეგობრივი გახდა, უსამართლო საშუალებებით სამართლიანი მიზნების რეალიზება შეუძლებელი გახდა. ომისა და მასობრივი ძალადობის გამანადგურებელი გავლენა პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს. ძალადობა არაადამიანურსა და სასტიკს ხდის არა მარტო აღმსრულებლებს, არამედ მსხვერპლსაც. არაძალადობის დამცველები აცხადებენ, რომ შეთანხმების მიღწევის ალბათობა არაძალადობრივი მეთოდების გამოყენებით გაცილებით

მაღალია, ვიდრე ძალადობის გამოყენების შეთხვევაში. არაძალადობა ნებისმიერი ვითარებიდან ადამიანურობას, ეგალიტარიზმსა და კომუნიკაციურ პოლიტიკას ქმნის.

არაძალადობის ტრადიცია

არაძალადობის ტრადიცია და მისი გამოყენება რელიგიურ პაციფიზმში იღებს სათავეს, ამის მაგალითებია, ანარქიზმი ლევ ტოლსტოისთან და „განდის ბრძოლა“. არაძალადობა მრავალი რელიგიური ტრადიციის ღერძია: ბუდიზმი და ადრეული ქრისტიანიზმი. ბევრ საზოგადოებას სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის მდიდარი არაძალადობრივი ტრადიციები გააჩნია. ამერიკის ისტორია ცნობილია ამგვარი ფაქტებით: კოლონიური ამერიკის წინააღმდეგ არაძალადობრივი ოპოზიცია, სამოქალაქო ომის წინა პერიოდში აბოლიციონისტები და მშვიდობისათვის მებრძოლი ჯვაროსნები და ანარქისტები ინდუსტრიულ ეპოქაში. არაძალადობრივი ქმედებები 30-იანი წლების მჯდომარე გაფიცვებისა და ორ მსოფლიო ომს შორის ომის მოწინააღმდეგეთა პროტესტებს თან სდევდა.

ყოველგვარი მკვლელობა, კერძოდ კი, ომი, უსამართლობაა რელიგიური პაციფიზმის გავრცელებული ტრადიციიდან გამომდინარე. კვაკერები, ბრეტრენები, ამიშის მიმდევრები, მემონიტები და სხვა მშვიდობის მოქადაგე ეკლესიები მკვლელობას უსამართლობად მიიჩნევენ. რელიგიური სექტების უმეტესობას სწამს, რომ იარაღის ტარებას კრძალავს სახარება. ყველა ადამიანი თანაბარია, შესაბამისად, არავის აქვს უფლება, შეიწიროს სხვისი სიცოცხლე. ომი კოლექტიური გააზრებისა და კონსენსუსის საშუალებით უნდა მოწესრიგდეს, ამგვარი ანტიავტორიტარული მოსაზრებების დამცველნი არიან ისინი. სამხედრო სამსახურის უარყოფა სინდისის თავისუფლების უფლების გამოვლინებაა. ამ სექტების უმრავლესობა პიროვნული ზნეობისა და გადარჩენის სწრაფვით არის ნასაზრდოები და მსოფლიო პოლიტიკასთან კომპრომისზე არ მიდის.

სამართლიანი სოციალური წესრიგის შექმნასა და ხელშეწყობას მსოფლიოსაგან განცალკევებით ბევრი ეკლესია შეეცადა. ამგვარი ეკლესიები სამოქალაქო ხელისუფლებას ძალადობრივ სახელმწიფო მთავრობასთან აიგივებდნენ. ისინი მთავრობაში მონაწილეობას კრძალავდნენ. თანამდებობის დაკავებით, ან ხმის მიცემით ადამიანები სხვა ადამიანებს ტკივილს აყენებენ.

არაძალადობის თანამედროვე ფილოსოფიური ტრადიცია ლევ ტოლსტოიდან მოდის. ის წინ აღუდგა ომს, სახელმწიფოს ორგანიზებულ ძალადობას და ეკონომიკურ ჩაგვრას, ეს უკანასკნელი ეკონომიკურ დაქვემდებარებაში გამოი-

ხატებოდა. საზოგადოების უმცირესი ნაწილი ფლობდა მიწას და სამრეწველო წარმოებას, ხოლო უდიდესი ნაწილი, მუშებისა და გლეხების სახით, მასზე იყო დაქვემდებარებული. ტოლსტოის აზრით, თუ ექსპლოატირებული ადამიანები თავიანთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ტირან მმართველებთან თანამშრომლობაზე უარს იტყობდნენ, კოლონიალიზმი და სხვა სახელმწიფო იერარქიები დაემხოვდა; იგივე ბედი ელოდა ომს, თუ ადამიანები მასობრივად შეეწინააღმდეგებოდნენ შეიარაღებულ ძალებში სამსახურს. პაციფისტური შეხედულებების მქონე ადამიანების მრავალ გაერთიანებას სწამს, რომ ომებში მონაწილეობაზე უარის თქმა ძალადობას თავიდან აგვაცილებს. იქმნება ზნეობრივი ვალდებულება, წინ აღუდგეთ ომს არაძალადობრივი საშუალებებით, ეს კი, ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების წინაპირობაა. სამხედრო სამსახურზე ტოტალური უარის თქმა ყოველგვარი სამხედრო ინსტიტუტის, როგორც საზოგადოების ლეგიტიმური საფუძვლისა და ადამიანთა შორის ურთიერთობებში ფიზიკური ძალადობის ორგანიზაციულ პრინციპად აღიარების უარყოფიდან გამომდინარეობს.

ცვლილებების განხორციელების მიზნით, არაძალადობის სტრატეგიის განვითარება 20-იან-40-იან წლებში მაკათმა განდიმ გამოიყენა, მისი ძირითადი ფოკუსი ბრიტანეთისაგან გამოყოფა იყო. ინდოეთის ეროვნული თვითკმარობის პოტენციული საოჯახო მეურნეობების განვითარებაში იყო, მაკათმა განდი ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებულ ქსოვასა და ქარგვას მიიჩნევდა ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან წყაროდ. ბრიტანული საფეიქრო პროდუქციის ბოიკოტების მიზანი ბრიტანეთისათვის ინდოეთის კოლონიალიზმისაგან მიღებული სარგებლის ხელიდან გამოცლა იყო. განდი თავისი ქვეყნის გათავისუფლებისა და ასევე მარგინალური ჯგუფების, ღარიბი გლეხების, მუშებისა და უდაბლესი კასტების უფლებებისათვის იბრძოდა.

განდის კამპანიამ უამრავი ადამიანის ყურადღება მიიქცია. ეს იყო სამოქალაქო დაუმორჩილებლობა „მარილის აქტებისადმი“, რომლის თანახმადაც მარილი მხოლოდ მთავრობისაგან უნდა შეესყიდა მოსახლეობას. განდი დააპატიმრეს არაძალადობრივი დაუმორჩილებლობისათვის, მისმა დაკავებამ 500 000 ადამიანი გამოიყვანა ქუჩაში, ისინი მზად იყვნენ შეერთებოდნენ განდის ციხეში. ბრიტანელი კოლონიალისტების წინაშე დადგა საკითხი უდიდესი კოლონიის ოკუპაციის გაგრძელების ალბათობის შესახებ.

არაძალადობა სამოქალაქო გაფიცვებისა და ლოკალური კონფლიქტების დროს გამოიყენება. ამის თვალსაჩინო მაგალითია რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ გამოსვლები რესტორნებში, საპირფარეშოებში, ტრანსპორტში, სპორტულ შეჯიბრებებზე, სამხრეთ ამერიკის სკოლებში, პარკებსა და ეკლესიებში 50-60-იან წლებში. 1955 წლის დეკემბერში როზა პარკის მიერ საზოგადოებრივ ტრანსპორტში თეთრების გვერდით ადგილის დაკავებაზე გამოწვეულმა პრო-

ტესტმა მონტეკომერის ავტობუსის ბოიკოტი გამოიწვია. თავისუფლებისათვის მებრძოლებმა უარი განაცხადეს ემგზავრათ ავტობუსებით, რომელშიც შავებს ჩასხდომის უფლება არ ჰქონდათ. ბოიკოტები, გამოსვლები და მჯდომარე არაძალადობრივი აქციები 100-ზე მეტ ქალაქს მოედო, რასაც წარმატებული შედეგი მოჰყვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველასათვის თანაბრად მისაწვდომი გახდა. არაძალადობა ძალე ინტეგრაციისა და სხვა სამოქალაქო უფლებების სფეროს გასცილდა და სოციალური სამართლიანობის სფერო მოიცვა.

1957 წელს შეიქმნა სამხრეთის ქრისტიანული ლიდერობის კონფერენცია, რომელსაც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება ამერიკელ აფრიკელთა სამოქალაქო უფლებებისათვის გამოსვლების ორგანიზებაში. ამ მოძრაობის ლიდერმა მარტინ ლუთერ ქინგმა მიიღო არაძალადობის განდისეული ფილოსოფია სიყვარულისა და შენდობის ქრისტიანულ ღირებულებებთან ერთად. ის ქადაგებდა, რომ ძალადობას ძალადობა წარმოქმნის, მხოლოდ სიყვარული და არა სიძულვილი შეძლებს ძალადობის აღმოფხვრას, სიბნელე ვერ დაამარცხებს სიბნელეს.

არათანამშრომლობისა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მეთოდები გამოიყენეს დასავლურმა მშვიდობისათვის მებრძოლმა მოძრაობებმა, ამით ისინი სამხედრო პოლიტიკას, განსაკუთრებით კი ატომური იარაღის გამოცდასა და ატომური ბაზების არსებობას აპროტესტებდნენ. ატომური იარაღის შექმნიდან მოყოლებული განდის მიერ 30-იან წლებში თავდაცვის არაძალადობრივი მეთოდით განხორციელების იდეამ აუცილებელი ხასიათი მიიღო. ომის გამართლებას გაცნობიერებული უარის თქმის იდეა დაუპირისპირდა. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ომის გადასახადებზე უარის თქმის ნაწილია.

პო ვან ჟიონი / არაძალადობა

არაძალადობის თეორია ძალის შესახებ

არაძალადობრივი ქმედების თეორიებში, ძალა ექსკლუზიურობით არ სარგებლობს. მართულები უარყოფენ მას და ამით დაუმორჩილებლობას გამოხატავენ. არაკოალიციურობის ძალა განსხვავდება ძალის ფართოდ მიღებული ცნებისაგან, რომელიც ძალას წარმოადგენს, როგორც შედარებით ფიქსირებულს, ხანგრძლივსა (თუ მარადიული არ არის) და თვითშევისებადს. ძალის ცნება შეესაბამება პოტენციურ მტერზე ფიზიკური ძალადობის განხორციელებას. ძალის ეს ტიპი, რომელსაც უკანასკნელად შევეხეთ, შეიძლება გაკონტროლდეს უფრო ძლიერი ფიზიკური შესაძლებლობებით და ის მოცემულია შეკავებისა და ძალათა ბალანსის თეორიებში.

არაძალადობის თეორიაში ძალა გაბნეული და არაინტეგრირებულია. სახელმწიფო ხელისუფლება გამომდინარეობს მათგან, ვინც იერარქიის სათავე-

ში დგას, მაგრამ ისეთი ადამიანური და მატერიალური რესურსები, როგორცაა პროფესიონალიზმი, ცოდნა და ხელისუფლება მმართველებისათვის მიუღებელია. დამორჩილება არ არის აუცილებელი, მაგრამ სრულიად ნებაყოფლობითია. ურთიერთობების კონტექსტში ძალა ინდივიდის საკუთრებას არ წარმოადგენს, ის ეკუთვნის ინდივიდთა ჯგუფს და მანამ არსებობს, სანამ მისი მფლობელი ამის საჭიროებას გრძნობს. ძალა ქრება მაშინ, როდესაც ის ჯგუფი წყვეტს არსებობას, რომელსაც იგი ეკუთვნის. ძალის წყაროა არა იარაღი, არამედ თანხმობა და დათმობა.

ძალის დროებითობას განსაზღვრავს რესურსების შევსებაზე დამოკიდებულება. „სახელმწიფო ინსტიტუტების ძალას ადამიანთა მხარდაჭერა განსაზღვრავს, ეს მხარდაჭერა კი იმ თანხმობის უწყვეტობაა, რაც კანონებს აამოქმედებს.“ პოლიტიკური ძალის დასაბამია ხალხისა და სოციალური ინსტიტუტების თანამშრომლობა. ადამიანები რამდენიმე მიზეზის გამო ხდებიან მორჩილები: ეჩვევიან მორჩილებას, აქეთ დასჯის შიში, გრძნობენ მორალურ ვალდებულებებს, ამოძრავებთ გარკვეული ინტერესი, ახდენენ საკუთარი თავის მმართველთან ფსიქოლოგიურ იდენტიფიცირებას, არიან ინდიფერენტულები და განიცდიან თვითრწმენის ნაკლებობას. ყველა მთავრობა თანხმობაზეა დაფუძნებული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხის აღიარება აუცილებელია, ხშირად მთავრობა მზად არ არის უარყოფისათვის პასუხი აგოს.

ურთიერთდაქვემდებარება ძალისა და ზეწოლის წყაროა, არაძალადობის უმთავრეს პრინციპს თანამშრომლობის უარყოფა წარმოადგენს. მჩაგვრელის ძალის შესუსტებას მასთან კავშირების გაწყვეტა მიუთითებს. როდესაც ადამიანები კარგავენ შიშს სოციალური კონტროლის ტრადიციული საშუალებების მიმართ, შიშის გამოყენება მმართველს ხელს აღარ აძლევს. სახელმწიფო ვერ აიძულებს მოქალაქეს მისი ღირებულებების მიხედვით მოიქცეს. შეთანხმება მაშინ ირღვევა, როდესაც მოცემულ მმართველობაზე დამორჩილებას აპროტესტებს ინდივიდთა ჯგუფი. უარყოფა უნდობლობას, ტანჯვას ან სიკვდილს იწვევს, კონკრეტულ პოლიტიკაზე შეთანხმება სუბიექტებთან აღარ ხერხდება. არაძალადობრივი ქმედებები წარმოსახვასა და მოქნილობას მოითხოვს, რათა საჭიროების შემთხვევაში გაუმკლავდეს მოულოდნელ ვითარებას და შეინარჩუნოს გავლენა. ზოგჯერ რაღაც კონტრაქტამდე მისვლა აუცილებელია. სიმამაცე მიზნის სიღრმისეულ გაგებასა და არაძალადობის აღიარებაშია, რადგანაც ამ ყველაფრისათვის შესაძლოა ვიღაცას თავისი სიცოცხლის შეწირვაც კი მოუხდეს.

თუ მმართველის ძალა უნდა გაკონტროლდეს დახმარებითა და მორჩილებით, არათანამშრომლობის გავრცელება და შენარჩუნება, თუნდაც ჩაგვრის სახით, აუცილებელია. თუ ადამიანები იბრძოლებენ რისკის სიღრმის მიუხედავად, ისინი მიზნის განხორციელებას მიუახლოვდებიან. თუ თანამშრომლობა და მორჩილება

არ არსებობს, მაშინ ძალის წყარო იზღუდება. ადამიანების პოლიტიკური და სოციალური ძალის მობილიზება საერთო მონაწილეობით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, ძალა იძულებულია იმოქმედოს არა „ადამიანის უბრალო შესაძლებლობიდან გამომდინარე, არამედ იმოქმედოს შეთანხმებულად“. არაძალდობრივი ბრძოლის დროს, რაც მეტია მხარდაჭერაზე უარის თქმა, მით მეტია წარმატების შანსი.

მორალური და პოლიტიკური პრინციპები

არ არსებობს ძალადობის გამართლება. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არაზნებრივია, არამედ იმიტომ, რომ ის მეტ ძალადობას იწვევს. ყოვლისმომცველი შეუიარაღებელი ბრძოლა მილიტარიზებული რევოლუციის თვითგამანადგურებელი ხასიათის ტრანსფორმაციის იმედს იძლევა. დამძობილება, ურთიერთობა და განათლება ოპონენტის ნეიტრალიზებაში გვეხმარება. არაძალადობა არც პასიური უმოქმედობაა და არც რუტინული ტაქტიკა. კონკრეტული საერთო საქმისათვის ბრძოლა მოიცავს აქტიურ მცდელობას კონფლიქტში საკუთარი პოზიცია აქტიურად დავიცვათ, პოზიცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული ურთიერთობებიდან გამომდინარეობს.

მეტოქე მტერსა და დამნაშავეს არ გულისხმობს. განდის კონცეფციებიდან გამომდინარე, არაძალადობრივი ქმედება მიზნად არ ისახავს ვინმეს განადგურებას ან ტკივილის მიყენებას. არაძალადობა ადამიანის თვისებებზე აკეთებს აქცენტს პიროვნების საკითხისაგან განცალკევებით. კონფლიქტის დინამიკის შედეგანობა და ადამიანთა ურთიერთობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ძალადობრივი კონფლიქტისაგან. არაძალადობა კონცენტრირებას აკეთებს ოპონენტთან ურთიერთობაზე, რომელმაც დაუშვა შეცდომა და არ უცდია ჩვენი განადგურება ან ჩვენთვის ტკივილის მოყენება. არაძალადობის პრინციპის უმთავრესი ამოცანაა მოწინააღმდეგის პიროვნების დაკარგვის გარეშე მისი ქმედებების ცვლილება. სიძულვილი და სიბრაზე სისტემების წინააღმდეგ უნდა მივმართოთ და არა ადამიანებს დავუპირისპიროთ.

ჭეშმარიტებას სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ოპონენტები. კონფლიქტი იძლევა შესაძლებლობას უფრო მაღალი ჭეშმარიტება დავინახოთ, რაც სამართლიანობასა და ინტეგრირებას შეიძლება ნიშნავდეს. ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილებები მიიღწევა ადამიანის მოთხოვნილებების ჭეშმარიტი რეალიზებიდან გამომდინარე. არაძალადობრივი კამპანიის მამოძრავებელია დიალოგი, რომლის არსს ოპონენტში სასურველი ცვლილების მიღწევა წარმოადგენს. არაძალადობრივი აჯანყება ასუსტებს მოწინააღმდეგე მხარის საბრძოლო

სულს და გადამწყვეტად მოქმედებს. ის ცდილობს გამოხატოს სიყვარული და მხარდაჭერა მოწინააღმდეგის მიმართ, იმავე დროს კი, უარყოფს ბოროტებას, რომელიც ოპონენტში იღებს სათავეს.

განდის ფილოსოფიის მიხედვით, ჭეშმარიტების მიღწევის საშუალებაა ადამიანების მიმართ გამოვლენილი სიყვარული და შემწყნარებლობა. ქაოსსა და ბატონობის სურვილს სიყვარულის მარცხი ახლავს თან. ნგრევისა და ტკივილის თავიდან ასაცილებლად, სიყვარულით უნდა დავეხმაროთ სხვებს ზრდასა და განვითარებაში. ადამიანში სულიერი ერთიანობის სიღრმისეული და შინაგანი ერთიანობის რეალიზების შედეგია არაძალადობის უმთავრესი არსი. ადამიანის ქმედება უწყვეტი პროცესია, რომელშიც მიზნები და საშუალებები გამოკვეთილია დროებითად და არა ზნეობრივად.

სიყვარულის ტრანსცენდენტური მნიშვნელობა გულისხმობს „საკუთარი თავის გაიგივებას სხვა ცოცხალ არსებებთან“, რაც ეწინააღმდეგება ეგოიზმს, სიძულვილსა და სხვებისათვის ზიანის მიყენებას (პარეკი). ჰოლისტიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ადამიანებსა და სხვა ცოცხალ არსებებზე განხორციელებული ძალადობა ერთი და იგივეა, რადგან ძალადობის ინსტრუმენტალური ლოგიკა არ ცნობს სიცოცხლის ფორმებს შორის განსხვავებას. თუ ყველას სიცოცხლე ერთნაირად წმინდა და მნიშვნელოვანია, ადამიანებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ძალადობის ყოველნაირი ფორმის აღსაკვეთად. არაძალადობრივი სიყვარულის ცნება გულისხმობს სიცოცხლის პატივისცემას, მოწინააღმდეგის ადამიანობის დაფასებას და სხვა ადამიანის მიმართ სიმპათიისა და სიკეთის გამოძივლავებას სრული სიმტკიცით.

ღირსება და ძალა ადამიანის ზრდისა და ცვლილების შინაგანი რწმენიდან გამომდინარეობს. განდი არაძალადობრივ ქმედებას უბრალოდ პოლიტიკური ტექნიკად ან ტაქტიკად არ აღიქვამდა. სანსკრიტში სიტყვა აჰიმსა ხშირად გამოიყენება არა მარტო ნეგატიური მნიშვნელობით, რაც დაშავებას გულისხმობს, არამედ მას პოზიტიური დატვირთვაც გააჩნია და ყველას მიმართ თავისუფალ სიყვარულს ნიშნავს. დაძლეული ძალადობის ცნებას შეესაბამება სიტყვა „სატიაგრაჰა“, რომელიც ითარგმნება შემდეგნაირად: ჭეშმარიტების დაუოკებელი ძებნა და ჭეშმარიტების პოვნის სურვილი (განდი, ახალგაზრდა ინდოეთი, 1925 წლის 19 მარტი). ის ხსნის ინდივიდებისა და საზოგადოების ტრანსფორმაციის პროცესს თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში.

ჭეშმარიტების ძებნის პრინციპი განსხვავდება პასიური თანხმობისაგან. ჭეშმარიტება არაძალადობრივი ბრძოლის საშუალებაა. არაძალადობა ადამიანის ღირსებასა და პატივისცემას იცავს თვითტანჯვის მიღებით. ტანჯვის აღიარების სურვილი გვიჩვენებს მიზნის მიღწევის ჟინს. თუ ერთი მზად არის ტანჯვისათვის, მისი თანხმობის შესაძლებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. “მამაცობისა და

სერიოზული ფიქრის ატრიბუტები თვითტანჯვის იმპერატივია.” ბოუზი, 1987, გვ. 33). ეს უნდა ნიშნავდეს ტკივილის სურვილს, პლანეტის ტრანსფორმირების პასუხისმგებლობის აღებას და უსამართლო იმპერიაში ღირსების, რელიგიისა და კულტურული ტრადიციების გადარჩენას.

სიყვარულისა და ჭეშმარიტების არაძალადობრივი პრინციპების და-ნერგვა უწყვეტი გამოცდით, ექსპერიმენტირებითა და პერიოდული შეცდომებით გამოხატავს თვითგვემის სურვილს; ცვლილებები მუდმივ ძალისხმევას საჭიროებს (განდი, 1951). არაძალადობა შიშისაგან არ წარმოიქმნება, არამედ სიძამაცი-საგან. ამიტომ, არაძალადობა შეიძლება აღვწეროთ, როგორც შეურაცხყოფელი და ძლიერი, მაგრამ პასიური და სუსტი. ის არ არის ხელსაყრელი კომპრომისი, რომელიც მხდალობას ეფუძნება. „უმტკიცეს მოთხოვნას“ მორალური იდეები გვიყენებს, მათი გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესია საერთო ადამიანური ტენდენციის გადალახვა, რომელიც უშვებს შეზღუდვებს, რომელსაც თავს გვა-ხვევს სოციალური წყობა და ცხოვრების ყოველდღიური წესი. ზნეობრივი ცხოვრება გარკვეულ მსხვერპლშეწირვას მოითხოვს ჩვენგან (პარეტი, 1989, გვ. 129). ამბოხებულები, რომლებიც არაძალადობის პრინციპებით მოქმედებენ, და-პატიმრებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების გარკვეულ მეთოდებს მიმართავენ, თუმცა შურისძიების გარეშე. სიძამაცე და ნებაყოფლობითი ტკივილის განცდა მათი აზრით, მათ საერთო საქმეს ესაჭიროება.

სოციალური ცხოვრების არაძალადობრივი პრინციპები

თანამედროვე არაძალადობა სოციალურ განზომილებაში განიხილება. ამ უკანასკნელში ძალადობა სოციალური ერთობის გრძნობას კლავს. ძალა-დობა ყოფიერებას ფიზიკური გადარჩენით ზღუდავს. საზოგადოების სტრუქ-ტურა იქმნება ერთობაში მუდმივად ცვალებადი ურთიერთობის საფუძველზე. საზოგადოებრივი წყობა ეძებს შინაგანი ერთიანობის აღდგენის საშუალებებს (ბოუზი, 1987, გვ. 19). ორგანიზებული ძალადობის უარყოფა დაკავშირებულია არა მარტო მოკლევადიან პიროვნულ და პოლიტიკურ შეთანხმებასთან, არამედ სოციალური ტრანსფორმაციის ხანგრძლივ ძიებასთან. არაძალადობა გვაძლევს იმის ფართო განმარტებას, თუ არის ძალადობის მიზეზი, რა წარმოშობს მას. ის თავის თავზე იღებს სოციალური სტრუქტურის ალტერნატივის შექმნის ინიციატივასა და პრივილეგიას.

ძალადობის სოციალურ პრინციპს საფუძველი ჩაუყარეს ლევ ტოლ-სტოიმ და სხვა პაციფისტმა ფილოსოფოსებმა, მათ უარყვეს სახელმწიფო თავისი ცენტრალიზებული და იერარქიული სტრუქტურებით. სოციალური

ჰარმონია არ მიიღება წესრიგითა და სახელმწიფოს ინსტიტუციონალურ ძალადობაზე დაფუძნებული უსაფრთხოებით. შიში გაბნეულია და ვერ იქცევა მუდმივი ერთიანობისა და სიძლიერის საფუძვლად“ (სიბლი, 1963, გვ. 69-70). იძულებით დისციპლინაზე და შესაძლებლობებზე დაყრდნობით, სახელმწიფოები ერთმანეთისათვის საფრთხეს წარმოადგენენ, ასევე გარკვეულ ზეწოლას ახდენენ მათზე, ვინც დომინანტურ იდეოლოგიასა და ძალის სტრუქტურას არ აღიარებს. თუმცა შესაძლებელია ძალადობის შემცირება და უგულებელყოფაც კი, სახელმწიფო ახალი ძალადობის ფორმებს ქმნის. ხელოვნური საზღვრებითა და აკრი მიწის დაცვის მიზნით ის მკვლევლობისათვის გამართლებას პოულობს. პოლიტიკოსები, ვაჭრები და ოფიცრები გლეხებს ომისაკენ მოუწოდებენ, იმეტებენ სიკვდილისათვის, ან პატრიოტიზმის სახელით სხვების მოსაკლავად (ტოლსტოი, 1967). შესაძლოა ადამიანი ძალადობისაკენ არ იყოს მიმართული, თუმცა სახელმწიფო ძალადობაზე თვალის დახუჭვით ისინი არაძალადობის პრინციპის მხარდამჭერნი აღარ არიან. ისინი ზნეობრივ ტვირთს სხვებს აკისრებენ (პარეტი, 1989, გვ. 128). მრავალ პაციფისტს წამს, რომ ძალადობის ციკლი ასაზრდოებს და ახანგრძლივებს სისტემებს, რომლებიც, თავის მხრივ, სექსიზმისა და ავტორიტარიზმის განვითარებას უწყობს ხელს.

განდის პერსპექტივიდან გამომდინარე, არაძალადობის საბოლოო მიზნად მიჩნეულია ძალადობრივი ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების აღმოფხვრა. ძალადობა, თავის მხრივ, სტრუქტურულია, რადგან ის გამოხატულია ეკონომიკური ექსპლოატაციისა და პოლიტიკური იძულების ინსტიტუციონალიზებულ ფორმებში. ინდუსტრიული ცივილიზაცია „ნასაზრდოვებია ძალადობით“ (ნაიდუ, 1996), გვ. 238). მასობრივი ინდუსტრიალიზაციისაგან წარმოქმნილი მატერიალიზმი კრძალავს ადამიანური ცხოვრების მორალურ და სულიერ განვითარებას, ასაზრდოებს რა, ინდივიდუალურ სიძუნწესა და სახელმწიფოს აგრესიას. თვითკმარი ძირეული მოსახლეობის ეკონომიკა მჩაგვრელისათვის გადალახავს ეკონომიკური ცხოვრების მარგინალიზაციას. განაწილებისა და ზრუნვის დანერგვა ჭარბი სიმდიდრის ხელახალი გადანაწილების გზით წახალისდება.

არაძალადობრივი საზოგადოების რეალიზაცია ყველას სასიკეთოდაა მიმართული. არაძალადობრივი სოციალური მიზნები იმ საზოგადოებაში არის მიღწევადი, სადაც არ არსებობს სახელმწიფო, სადაც პოლიტიკური და სამართლებრივი მთავრობა გაუქმებულია და სადაც ურთიერთობებს ადამიანებს შორის ზნეობრივი ხელისუფლება მართავს. თითოეული მცირე ერთობა ავტონომიურობითა და თვითმმართველობით სარგებლობს და დაკავშირებულია სხვებთან არაიერარქიული ქსელის მეშვეობით. არაძალადობრივი საზოგადოების დემოკრატიული იდეალი თვითკმარ და ეგალიტარულ პრინციპებზეა ამოზრდილი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არაძალადობის პრინციპი საზოგადოების გარდაქმნას ითვალისწინებს. თუმცა, ეს არ არის ვიწროდ განსაზღვრული მიზნების სტრატეგია. არაძალადობრივი საზოგადოების მიზანია ადამიანის მოთხოვნების დაკმაყოფილება თავისუფლების კონცეფციიდან გამომდინარე. საკუთარი თავის, როგორც ავტონომიური პიროვნების, რეალიზება, ევალუატარული სოციალური სტრუქტურით გაძლიერებული ანარქისტული და დეცენტრალიზებული ერთობის წიაღშია შესაძლებელი.

პრინციპად ქცეული არაძალადობა სტრუქტურული ტრანსფორმაციის დოქტრინას შეესაბამება. როგორც ცხოვრებისა და სიცოცხლის ფილოსოფიის საერთო მიდგომა, არაძალადობა ომისა და ექსპლოატაციის ინსტიტუტებს ებრძვის. არაძალადობის პრინციპული დამცველები უარს აცხადებენ ითანამშრომლონ ადამიანური სიცოცხლის მოძულე სისტემასთან. არაძალადობა, როგორც ცხოვრების გზა, მოიცავს ადამიანური ყოფიერების ასპექტს, რომელიც მოიაზრებს განათლებას, მეურნეობას, ენერგეტიკულ სისტემებსა და ეკონომიკას. არაძალადობრივი ცხოვრების პრინციპი მოთავსებულია ერთობის წევრების მიერ გაზიარებულ სულიერი რწმენების ჩარჩოში. ამგვარი ერთობა გადაწყვეტილებას იღებს კონსენსუსის საფუძველზე მონაწილეობრივი დემოკრატიის საშუალებით. გარდა ამისა, თითოეული საზოგადოება საკუთარ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს თვითკმარი წყობილების საფუძველზე (ოსტერგარდ, 1987). ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და უსაფრთხოების მიღწევა დემილიტარიზაციისა და თანასწორობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დახმარებით არის შესაძლებელი.

ეკონომიკური სამართლიანობა სოციალური ცხოვრების არაძალადობრივი დისციპლინის ნაწილია. ძალადობის გარეშე განვითარება ქვემოდან მომდინარეობს და არა ზემოდან (სახელმწიფოდან). კოლონიზაცია ეკონომიკურ ექსპლოატაციას ემთხვევა. კოლონიზებული ქვეყნების ადგილობრივი ეკონომიკები ან განადგურდა ან სერიოზული დანაკლისი განიცადა. ამ ვითარებაში, თვითმმართველობის მიღწევა შეუძლებელია. განდის სწამდა, რომ ინდოეთის დამოუკიდებლობა ტრადიციული, თვითკმარი ეკონომიკის განვითარებით იქნებოდა შესაძლებელი.

არაძალადობა პოლიტიკური ძალების ცვლილების შესაძლებლობას იძლევა. არაძალადობრივი მოძრაობების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ერთობლივი სოციალური გეგმისა და ალტერნატიული ხედვის განვითარებაა (ჰეიჯი, 1997). მაგალითად, ატომური იარაღის წინააღმდეგ სამშვიდობო მოძრაობა არაიერარქიული სოციალური ურთიერთობებითა და დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურებით ატომური და ჩვეულებრივი სტრატეგიების შეცვლას გამოიწვევს.

არაძალადობა ავითარებს კონფლიქტების გადაწყვეტის გზებს, ქმნის რა საზოგადოებებს შორის სოლიდარობას. იმისათვის, რომ ადამიანების რწმენები შეეცვალოს და მოუწოდოს საყოველთაო ფასეულობებისაკენ, საჭიროა არაძალადობა გასცდეს პოლიტიკური სარგებლის მიღწევის უბრალო მიზანს. არაძალადობას, როგორც ცხოვრების სტილს, მნიშვნელოვანი ადამიანური დანიშნულება აქვს, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო და ნაციონალურ დონეზე გავრცელებულ მილიტარიზმს.

ტექნიკური მიდგომა

არაძალადობის განსხვავებულ სკოლებს შორის დაპირისპირებაა, რაც ძირითადად შემდეგ სფეროებს მოიცავს: ცხოვრების სტილი სახეცვლილი ფასეულობებით და გარკვეული მიზნების შესრულების ტექნიკა. პროტესტის ან აჯანყების დროს არაძალადობრივი საშუალებების გამოყენება სუფთა ტაქტიკური მიზნებისათვის შეიძლება შეირჩეს, რისი მიზანიც იქნება ადამიანური მსხვერპლის თავიდან აცილება. უტილიტარული ინტერპრეტაციის მიხედვით, პიროვნული ცხოვრების სტილს არაძალადობა არ უნდა წარმოადგენდეს. პაციფისტური ტრადიციებისა და მათი სტრუქტურული მნიშვნელობისაგან განცალკევებით დგას ტექნიკური მიდგომა. აზროვნების აღნიშნულ ჩარჩოში, მას შემდეგ, რაც საშუალებები პრაგმატული მიზნებისათვის შეირჩა, ისინი შესაძლოა გამოეყოს მიზნებისაგან. მოქმედება ეყრდნობა ოპერაციულ სიზუსტეს და არა პოლიტიკურ კონსტრუქტს. არაძალადობრივ ბრძოლაში სტრატეგიებსა და ტაქტიკას იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სხვა ტიპის კონფლიქტებში, მათ შორის სამხედრო კონფლიქტში.

იმ შემთხვევაში, თუ არაძალადობრივი ქმედება ბრძოლის იარაღად მიიჩნევა, მოქმედების კონცენტრირება უნდა მოხდეს ძალების შეთანხმებასთან, ბრძოლის წარმოებასა და ტაქტიკასთან დაკავშირებით. ამგვარი ქმედება მამაც და დისციპლინირებულ ჯარისკაცებს მოითხოვს, რომლებიც მზად არიან თავი გაწირონ. სტრატეგიული გათვლის შედეგად უნდა განიჭვრიტოს საწინააღმდეგო პროცესი, ამის შემდეგ კი, საეჭვო მიზნების მიღწევა ოპონენტის მიერ ჩატარებული გათვლების ხარჯზე უნდა განხორციელდეს (აკერმანი და კრუეგლერი, 1994, გვ. 7). არ არის აუცილებელი, არაძალადობრივი ბრძოლა რწმენათა სისტემას უკავშირდებოდეს. შარპის მიხედვით (1973), არაძალადობრივი კამპანიის ლიდერთა უმეტესობა არ არის პაციფისტი; ისინი იყენებენ არაძალადობრივ ქმედებას პრაქტიკული მიზნების განსახორციელებლად, ძირითადად ტექნიკური თვალსაზრისით; მათი მორალური შეხედულებები პაციფიზმისაგან განსხვავდება.

არაძალადობის ტექნიკური საშუალებები, როგორცაა აჯანყება და ბოიკოტი, გამოყენების თვალსაზრისით, რეკომენდებულია როგორც მდიდრების, ასევე ღარიბებისათვის. ძალისმიერი ურთიერთობების გამოსწორება შესაძლებელია არაძალადობრივი ზომების სისტემატური გამოყენებით. ეს უკანასკნელი შესაძლებელს ხდის მოწინააღმდეგეზე დაფუძნებულ მხარდაჭერას. არაძალადობრივი საშუალებები შეესატყვისება სტრატეგიულ ანალიზს, ეს უკანასკნელი მაკიაველის, კლაუზევიცისა და რეალპოლიტიკის სხვა ავტორების შრომებში ჩამოყალიბდა. „კონფლიქტის გარემოში არაძალადობრივი სანქციები ტაქტიკური სამხედრო მანევრის ფუნქციური ეკვივალენტია. მათი ერთადერთი სპეციფიკური მახასიათებელი ერთ-ერთი მხარის მიერ ადამიანური მსხვერპლის გამო კონფლიქტზე უარის თქმა, გამოთვლას ცვლის (კრუეგლერი, 1992, გვ. 22). არაძალადობრივი საშუალებები სტრატეგიის ინსტრუმენტად არის მიჩნეული, რომლის მიზანია შეძცირებული დანახარჯებით სამიზნეების გამოყოფა.

არაძალადობრივი ქმედებები იარაღის გარეშე ომის წარმართვის ტექნიკას წარმოადგენს (შარფი, 1973). ოპონენტის ნეგატიურად განხილვა კონფლიქტის გადაწყვეტას აყოენებს და ხშირად შეუძლებელს ხდის (ბოუზი, 1996, გვ. 115).

არაძალადობრივი პირდაპირი ქმედება ისევე მზადდება, როგორც ძალადობრივი სტრატეგიის, ტაქტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით (აკერმანი და კრუეგლერი, 1994; კრუეგლერი, 1992). საბრძოლო ტექნიკების გამოყენებამდე, არაძალადობრივი კონფლიქტის დაგეგმვა ხდება ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა დონეზე. მიდგომები მაკრო დონეზე კონფლიქტის გრძელვადიან ხედვას უკავშირდება. სტრატეგიული გადაწყვეტილებები ეყრდნობა ლოგიკას, რომელიც განსაზღვრავს ოპონენტთან ბრძოლისას პირდაპირი ქმედების განხორციელებასა და ბრძოლის საშუალებებს.

სტრატეგიულ დონეზე გაკეთებული არჩევანი განიხილება მიღწეული კომპრომისის პირობებში, ბრძოლის ლეგიტიმიზაცია და გამარჯვების გათვლილი გზა. მისაღები დარეგულირების პარამეტრები სტრატეგიული დაგეგმარების საწყის ეტაპზე განისაზღვრება. ქმედების იძულებითი მიზნები გაშუქებული და ნეიტრალიზებულია მისაღები ხარჯების გათვლით. უფრო კონკრეტულად, არაძალადობრივი მეთოდების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება გამომდინარეობს დანახარჯებსა და შესაძლო მიზნების განხორციელებას შორის წონასწორობისაგან. მოცემული კონფლიქტის ანალიზზე დაყრდნობით, მინიმუმი დანახარჯებით მიზნების განხორციელების არჩევა ხდება. სტრატეგიული არჩევანის გაკეთება პროგნოზირებული შედეგებიდან გამომდინარე მოხდა. ასე ხდება „ძალადობრივი, არაძალადობრივი და შერეული კონფლიქტების დროს.“ (კრუეგლერი, 1992, გვ. 21).

გადაწყვეტილებები სტრატეგიულ დონეზე, რომლის საშუალებითაც

ხდება კოორდინირება, მიზნების საჭიროებიდან გამომდინარე, საბოლოოდ უნდა გარდაიქმნას ეფექტიან საშუალებებად. არაძალადობრივი ქმედება, როგორც სანქცია, ცდილობს სასურველ ძალთა ბალანსის სასარგებლოდ გააკეთოს არჩევანი (აკერძანი და კრუეგლერი, 1994, გვ. 4). პოლიტიკური და სოციალური მხარდაჭერის წარმატებული მობილიზაცია ოპონენტის წინააღმდეგ სერიოზულ ზეწოლას ახორციელებს. არაძალადობრივი კონფლიქტის ოპორაციული გეგმა, ისეთივე მექანიზმები, როგორცაა კონცერსია, აკომოდაცია, კოერსია და დისინტეგრაცია, უნდა დაუკავშიროთ სტრატეგიულ მიზნებს, საბრძოლო ძალების ორგანიზება, სანქციების მატერიალური რესურსები და მეთოდები (აჯანყებები, ბოიკოტი, პროტესტები და ა.შ.).

სანქციები და რესურსები იმგვარად უნდა განთავსდეს, რომ ოპონენტმა შესაბამისი პასუხი მიიღოს შემოსავლის პრინციპების მიხედვით. მას შემდეგ, რაც აჯანყების იზოლირებული და სპონტანური შემთხვევები ნაკლებ ეფექტურია ჩვეულებრივი ამბოხისაგან განსხვავებით მნიშვნელოვანი ძვრის მიღწევისათვის, ამბოხების ორგანიზება ნებისმიერ ბრძოლაში კრიტიკულია (ლეიქი, 1987, გვ. 66). კერძოდ, ოპონენტის წინააღმდეგ გამარჯვების კამპანიის დაგეგმვა ყურადღებით უნდა იქნას გააზრებული და განხორციელებული. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია პოლიტიკური არჩევანი იმისა, თუ როგორ მოვახდინოთ საზოგადოებრივი რესურსების მობილიზება ბრძოლისათვის და ასევე განვსაზღვროთ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა და ძალაუფლება.

მთავარი მოქმედი პირები ერთმანეთში ცვლიან საშუალებებს იმ მიზნით, რომ მოახდინონ ოპონენტის სტრატეგიის პარალიზება. ერთმანეთის განადგურების მიზნით ისინი ცდილობენ ხელმძღვანელობისა და აჯანყების მაქსიმალურ გაერთიანებას, დაზვერვისა და კომუნიკაციების გაძლიერებას, სანქციების არჩევანში მოქნილობის შენარჩუნებას. თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების წონასწორობა გათვლილია მოწინააღმდეგის შედარებით სიძლიერესა და სისუსტეზე. სანქციების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გაბნეულობა ანულირებულია კრიტიკული ბრძოლის დროს. მიზნები კონსოლიდირებული უნდა იყოს.

ჯგუფის რესურსები და ქმედებები უნდა განვალაგოთ ოპონენტის წინააღმდეგ იმგვარად, რომ ძალთა ბალანსში ცვლილება გამოიწვიოს. სამხედრო სფეროდან ვირჩევთ „კონცენტრირებისა“ და „სტრატეგიული უკანდახევის“ სტრატეგიას. პირველი ძალების კონცენტრირების საშუალებას გვაძლევს, რაც მტრის განადგურებას განაპირობებს. არაძალადობრივ ბრძოლაში გადატანილი იგივე ვითარება პოლიტიკური ძალების კონცენტრირებაში გამოიხატება, რაც მტრის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ასუსტებს. სტრატეგიული უკანდახევა (სამხედრო სტრატეგიაში ხანგრძლივი ისტორია აქვს) არაძალადობრივ

ბრძოლაში მნიშვნელოვან დანახარჯებს უტოლდება. მეორე მხრივ, ცვალებადი სტრატეგია დამარცხების რისკს ზრდის (კრუეგლერი, 1992, გვ. 25).

ტაქტიკური გადაწყვეტილებები მართავს მოქმედებას ოპონენტთან პირდაპირი ურთიერთობების დროს. პირდაპირი ქმედების ცალკეული ტექნიკა, როგორცაა მარშები, დემონსტრაციები, აჯანყებები, მჯდომარე აქციები და ბოიკოტები, გრძელვადიან პერიოდზე გათვლილ კამპანიას წარმოადგენს. გადაწყვეტილებები მომარაგების დონეზე დაკავშირებულია ოპერაციის განხორციელებასთან, რაც წარმატებას განაპირობებს. შესაძლებლობების განვითარება მოიცავს არაძალადობრივი აქტორებისა და ლიდერების ტრენინგს, პროპაგანდის შექმნას და კომუნიკაციების განვითარებას. არაძალადობრივი საჩქციების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნას სატრანსპორტო სისტემების გამოყენება ტაქტიკური ძალების გაბნევისა და კონცენტრაციის მიზნით. მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის საკითხები მოკავშირეებთან სტრუქტურული კავშირის გამყარებისათვის არსებობს (მიწოდება, თავშესაფარი, გარე საშუალებების მიღება) და რესურსების მომარაგება ხანგრძლივი პერიოდისათვის (კრუეგლერი, 1992, გვ. 28-29).

არაძალადობრივი პირდაპირი ქმედება

საჯარო არაძალადობრივი ტექნიკა მოიცავს მარშებს, ბროშურების გავრცელებას, პიკეტირებას, შიმშილობას, ბოიკოტს, სამთავრობო შენობების ოკუპირებას, მასობრივ დაპატიმრებებს, გადასახადების გადახდაზე უარის თქმას და სხვა სახის ქმედებებს. არაძალადობრივი ბრძოლის კატეგორიზება შემდეგნაირად ხდება, პრაქტიკა იცნობს, როგორც სიმბოლური სახის ქმედებებს, რაც პროტესტის შემცველია, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური არათანამშრომლობის იმგვარ ფორმებს, რომელთაც პარალიზება შეუძლია, ასევე ზშირია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ინტერვენციის შემთხვევები. არაძალადობრივი პროტესტები და გამოსვლები პროტესტის, უკმაყოფილების ან მოთხოვნის გამოხატვის მიზნით ხდება, რასაც შესაძლოა ჰქონდეს სიმბოლური ან სხვა დატვირთვა. სიმბოლიზმის წყაროა სიტყვა, მუსიკა, თეატრი, შეკრებები და სხვა სახის გაერთიანებები. არაძალადობის სიმბოლური ტექნიკები წარმოადგენილია შეკრებების, პიკეტებისა და მარშების სახით.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა უფრო ძლიერი საზომია, ვიდრე სიმბოლური პროტესტები და კომუნიკაციის შეწყვეტა. თანამშრომლობასა და ურთიერთობაზე უარის თქმის მეთოდები სისტემის ოპორაციულობას საფრთხეს უქმნის.

პო ვან ყიონი / არაძალადობა

პროტესტის, თანამშრომლობაზე უარის თქმისა და სხვა არაძალადობრივი სპეციფიკური მეთოდების მაგალითები მრავლად მოიპოვება როგორც დასავლურ, ასევე არადასავლურ საზოგადოებებში. მრავალი ადამიანი კონფლიქტის გარეშე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას და წინააღმდეგობას ამათუ იმ საკითხთან დაკავშირებით. 1923 წელს გერმანელი მუშები უარს აცხადებდნენ ეწარმოებინათ ქვანახშირი რურში ფრანგებისა და ბელგიელების ოკუპაციის დროს. 1950-იან წლებში საბჭოთა კავშირის შრომით ბანაკებში დაფიქსირდა არაძალადობრივი აჯანყების სხვა მაგალითები; ასევე აღსანიშნავია ნორვეგიელი მასწავლებლებისა და სხვა პროფესიების წარმომადგენლების გამოსვლა ფაშისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ და დანიელებს შორის თანამშრომლობა დანიელი ებრაელების გადარჩენის მიზნით. ტიბეტელების აჯანყება 50-იან წლებში ჩინეთის მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ, პალესტინელების ინტიფადა 1987-1990 წლებში, ბირმაში დემოკრატიული მოძრაობა სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ (1988-1998), აღმოსავლეთ ევროპაში გამოსვლები სოციალისტური რეჟიმის დამხობის წინააღმდეგ 80-იანი წლების ბოლოს. ლათინურ და ცენტრალურ ამერიკაში მიწის რეფორმასთან დაკავშირებით გამათავისუფლებელი თეოლოგიით გააჟღენთილი გამოსვლები. ამგვარი მოძრაობები, რომლებსაც ძირითადად საზოგადოების ქვედა ფენები ხელმძღვანელობდნენ, ყოველგვარი სისტემატური ტრეინინგ პროგრამებისა და ქარიზმატული ლიდერების გარეშე ეწყობოდა (მაკმანუსი და შლაბახი, 1991). ეკონომიკური ბოიკოტები და საზოგადოებრივი ზეწოლა მულტინაციონალური კორპორაციების მწავრელი პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, მათ რიცხვს მიეკუთვნება ნესტლეს წინააღმდეგ ბოიკოტი 1970-იანი და 80-იანი წლების დასაწყისში.

პო ვან ჟიონი / არაძალადობა

არაძალადობრივი მეთოდების გამართლება

არაძალადობა, გარდა იმისა, რომ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ გალაშქრების ეფექტიანი საშუალებაა, ასევე ომის მორალურ და პოლიტიკურ ალტერნატივას წარმოადგენს. ადამიანების ცხოვრებისა და მათი ცხოვრების სტილის დაცვა თვითგამანადგურებელი ძალადობრივი მეთოდებით არ უნდა იქნას მიღწეული. სუსტთა არაძალადობა პრაგმატულ საფუძველს ეყრდნობა, ასევე აღსანიშნავია, რომ ძალადობრივი ბრძოლის საშუალებები ხშირად მიუწვდომელია, არარაციონალურია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს მრავალრიცხოვან და ჩვენზე ძლიერ ადამიანთა ჯგუფთან. თუმცა, არაძალადობის საჭიროება ხარჯების მიხედვით განისაზღვრება.

საშუალებები, რომელიც ზიზღსა და შეუწყნარებლობას იწვევს, სოცი-

ალური სამართლიანობის მიზნების უგულვებლყოფას იწვევს. ცივილიზებული ღირებულებების დაცვა შეუთავსებელია განადგურების არაადამიანურ საშუალებებთან. თუ თავისუფლებისათვის ბრძოლა სამხედრო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება, რომელშიც დაცულია იერარქია და უპირობო მორჩილება, მათი პრინციპები ახალი პოლიტიკური რეჟიმის დასაბამი ხდება. რათა შევამციროთ შეიღარებული ძალების, საიდუმლო პოლიციისა და ბიუროკრატის რაოდენობა, საჭიროა ძალადობის წინააღმდეგ გამოსვლა. ეს გაზრდის პოლიტიკური ოპონენტების ჩაძირვის ცდუნებას მთავარი მიზნების მიღწევის შემდეგ. სახელმწიფო ძალაუფლების იძულებითი მანქანა ბოლშევიკურ რუსეთსა და კომუნისტურ ჩინეთში ძალადობრივი რევოლუციების შედეგად შეიქმნა. როდესაც წარმატება ძალადობის საშუალებით მიიღწევა, შესაბამისად, მოპოვებულის შენარჩუნების მიზნით, ძალადობის დანერგვა ხდება ხელისუფლებაში.

ეფექტიანობა, პოლიტიკური პირობები, კონფლიქტის ვარიაციებს ხსნის (ვოგელი და ბონდი, 1997, გვ. 366). არაძალადობამ ზომიერი ოპონენტების წინააღმდეგ შეიძლება იმუშაოს იმ ქვეყნებში, სადაც აღინიშნება სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების გარკვეული დონე. თუმცა, პრინციპული არაძალადობა უნივერსალურად მისაღები არ არის, განსაკუთრებით კი უხეში და დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ (სტალინური რუსეთი და მაოისტური ჩინეთი). განდის ბრძოლა წარმატებული იყო, რადგან მტერი ბრიტანეთი იყო. დამოუკიდებელი ინდოეთი მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობდა, თვით ბრიტანელებშიც კი. მეორე მსოფლიო ომის დროს სამოქალაქო აჯანყება გერმანული ოკუპაციის წინააღმდეგ იმ ქვეყნებში წარმოებდა, სადაც ნაციისტური რეჟიმი ნაკლებად გავლენიანი იყო.

არაძალადობრივი აჯანყება შესაძლოა, ზოგჯერ არ იყოს ეფექტიანი, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულებმა შესაძლოა დაამხონ რეჟიმი, ან რასობრივი და ეკონომიკური ჩაგვრის სისტემის ნგრევა მოახერხონ. მდგრადი არაძალადობრივი გამოსვლა უკიდურესი პოლიტიკური ზეწოლის წინააღმდეგ მოითხოვს ჰეროიზმის შეუძლებელ დონეს. ფრანც ფანონის ნაშრომები ამ თვალსაზრისს ავითარებს, ფანონი შავკანიანი ფსიქიატრი იყო, რომლის გაიგივებაც მოხდა ანტიკოლონიალურ ბრძოლასთან (1965). ღარიბ, ჩაგრულ საზოგადოებებში, ძალადობა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, იგი ბავშვების შიმშილსა და მდიდრების გამანადგურებელ შემოტევაშია ფესვგადგმული.” ძალადობრივი ჩაგვრის პირობებში არაძალადობრივი ცვლილებები, მოლაპარაკებების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები და გრადუალიზმი არ წარმოადგენს მომავალში სამართლიანობის მიღწევის გზას (კიიფი და რობერტსი, 1991). ამ მიზნისათვის, არაძალადობრივი ქმედება შესაძლოა გადაიზარდოს ძალადობაში ნებისმიერ დროს, რადგანაც არაძალადობას შედეგი არ აქვს. მესამე სამყაროს დამოუკიდებელი მოძრაობები არაძალადობრივი პროტესტის ფორმას ხშირად კარგავს

და გადაიქცევა იატაკქვეშა კონფლიქტად.

ძნელია იმის მტკიცება, რომ არაძალადობრივი კამპანია ბოლომდე სახე-შეუცვლელი დარჩეს. ძალადობა სიბრაზისა და ფრუსტრაციის მიმართ გამოვლენილი ბუნებრივი რეაქციაა, ამავე დროს ის წარმოადგენს შიშზე რეაგირებისა და მისი უარყოფის თავისებურ გზას. ძალადობა მეტრძოლს წარმოვვიდგენს სიმაძაციტა და სიამაყით. იშვიათად არის შესაძლებელი ადამიანების გაწვრთნა არაძალადობისათვის იმგვარად, რომ ისინი ბოლომდე არაძალადობის პრინციპების გამტარებლები დარჩნენ. ძნელია განვასხვაოთ შეურაცხყოფისაგან გამოწვეული ზიზღი შეურაცხყოფელთა ზიზღისაგან.

ინტენსიური ბრძოლის დროს ძალადობის გამოყენება ხშირად აკრძალულია. ადამიანთა ერთი ნაწილი წინააღმდეგობას გამოთქვამს ძალადობრივი კონფლიქტის გარკვეული ტიპის მიმართ. სხვები კი ძალადობაში პიროვნულად არ მონაწილეობენ, თუმცა ისინი უარს ამბობენ გამოიყენონ ძალადობა უსამართლობისა და აგრესიული ომის წინააღმდეგ.

ზოგიერთი რაციონალურად მიუთითებს, რომ არაძალადობა, რომელიც დამოკიდებული ხდება ოპონენტზე და კომპრომისზე, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისათვის რეალურ რადიკალურ გამოწვევას არ წარმოადგენს. მარტინ ლუთერ კინგ უმცროსი დემოკრატიული პარტიისა და ამერიკის პოლიტიკური ელიტის გავლით ცდილობდა ემოქმედა. კინგს ბრალს სდებდა უფრო მეტრძოლი ფრთა აფრიკელი ამერიკელებისა, იმაში რომ ის არსებულ ელიტაზე ძალიან დამოკიდებული იყო.

არაძალადობის დამცველები კინგის კრიტიციზმს იმით პასუხობენ, რომ აცხადებენ, ძალადობრივი აჯანყება ნაკლებ ნაყოფიერია. კარგად შეიარაღებული რეჟიმი გაცილებით იოლად დაამარცხებს პარტიზანებს და ძალადობრივ აჯანყებას, ვიდრე გაფიცვა ან მასობრივი არათანამშრომლობა (კარტერი, 1990, გვ. 213). ძალადობრივი ბრძოლის შედეგი გაცილებით მეტ დანაკარგს მოიცავს. ძალადობის შეკავება უფრო ადვილად შეიძლება გაგამართლოთ, ვიდრე ორგანიზებული არაძალადობრივი გამოსვლები.

არაძალადობის სტრატეგიის დამცველები აცხადებენ, რომ არაძალადობის საშუალებით ხდება რეპრესიის ახალი ფორმების შექმნის თავიდან აცილება, მისი მეშვეობით გაცილებით ადვილად მიიღწევა სოციალური ცვლილებები საზოგადოებაში. არაძალადობრივი ბრძოლა საგარეო დაცვის მიზნით შეიარაღებული ძალების გამოყენებას კრძალავს, ხოლო პოლიციას იყენებს შიდა წესრიგის განხორციელებისათვის. უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ტრანსფორმაციული არაძალადობა ზრდის პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების დეცენტრალიზების შესახებ ახალ იდეებს.

მშვიდობა სამართალზე დგას 6

There is no Peace without Justice 6

გიო მგელაძის ფოტო
Photo by Gino Mageladze



შექპირის ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებები „ჰამლეტის“ მიხედვით და პარალელები რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“

რენესანსი და არეოპაგიტიკა

ლია გუგუნავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

იმისათვის, რათა “ჰამლეტსა” და “ვეფხისტყაოსანში” გამოთქმულ ფილოსოფიურ – რელიგიურ შეხედულებებს შორის პარალელები გავავლოთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიმაჩნია რენესანსის ეპოქაში ვეძიოთ ორი დიდი ჰუმანისტის მსოფლმხედველობას შორის ნათესაური კავშირი.

ხშირად თვლიან, რომ აღორძინებამ უარყო ღმერთი და ადამიანი დააყენა მის ადგილას. ან კიდევ, ისეთ დასკვნამდე მიდიან, თითქოს ჰუმანიზმი მთლიანად რენესანსის კუთვნილებაა და აქამდე ის არ არსებობდა.

რენესანსის მკვლევარნი ებრძვიან ასეთ მცდარ შეხედულებებს და ასაბუთებენ, რომ ევროპული რენესანსი ქრისტიანობის ბაზაზეა შექმნილი.

კონრადი თავის ნარკვევში “დასავლეთი და აღმოსავლეთი” რენესანსის დახასიათებისას მეტად საყურადღებო ფაქტებზე მიგვითითებს. იგი ამტკიცებს, რომ რენესანსის საუკეთესო მოაზროვნეები ებრძოდნენ არა რელიგიას, როგორც ასეთს, არა რომელიმე განსაზღვრულ ფილოსოფიას, არამედ დოგმატიზმს როგორც რელიგიაში, ისე ფილოსოფიაში”.

კონრადის აზრით, რენესანსის ეპოქაში ნათელი გახდა, რასთან იყო ბრძოლა საჭირო, პიროვნება რისგან უნდა განთავისუფლებულიყო. ცხადია, “საშუალო საუკუნეების დოგმების უღლისაგან”. სწორედ ამ დოგმატიზმის წინააღმდეგ აჯანყდა ადამიანის თავისუფალი აზროვნება.

ამრიგად, კონრადი თვლის, რომ მოწინავე ადამიანებს ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად გამოყენებული ჰქონდათ გონებისადმი, თავისუფალი აზროვნებისადმი მიმართვა. რენესანსის ჰუმანიზმს სხვა ეპოქის ჰუმანიზმისაგან იმით განასხვავებენ, რომ აქ ადამიანმა შეიგნო თავისი ღირსება, დარწმუნდა თავის ძალაში, თავისი თავი დააყენა ღმერთის ადგილას. მაგრამ ღმერთის ადგილას ადამიანის დაყენებას შემდეგ კომენტარს ურთავს: “არ უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვები ”თავისი თავი დააყენა ღმერთის ადგილას“ იმას ნიშნავდეს, რომ რენესანსის მოღვაწეები თავგამოდებით უარყოფდნენ ღმერთს, უღმერთოებად იქცნენ. ჰუ-

მანისტების უმრავლესობა წრფელი მოწრმუნენიც კი იყვნენ... ჰუმანიზმი თავისი ისტორიული გზის ყოველ საფეხურზე ყოველთვის მოითხოვდა გონებისა და გრძნობის განსაზღვრულ დისციპლინებს, ინტელექტუალურ და მორალურ დისციპლინებს... რენესანსის ჰუმანიზმმა დაიწყო თავისი დისციპლინის შექმნა, რომელსაც აგებდა ანთროპოლოგიურ შეხედულებებზე”.

რენესანსის მეორე მკვლევარი ლოსევი ამტკიცებდა, რომ აღორძინების ხანის ადამიანი ღრმა იდეურობით და სულიერი კეთილშობილებით გამოირჩევა. რენესანსი ცდილობდა მიწიერი ადამიანი და მისი მიწიერი არსებობა გაემართლებინა და უკვდავეყო ადამიანის პიროვნება. მაგრამ – “მიწიერი” აქ სხვა მნიშვნელობას იძენს. “ცოტას თუ ესმის, რომ აღორძინების ხანის “მიწიერი” ისეთი მოვლენა იყო, რომელიც ადამიანის ყოველგვარი საჭიროებისაგან შორს იდგა... აღორძინების მიერ ადამიანის პირველ პლანზე წამოწევა მოკლებული იყო ყოველგვარ კონფესიონალიზმს. აღორძინების ადამიანისთვის მნიშვნელოვანი იყო ერთი რამ: განემტკიცებინა თავისი დამოუკიდებლობა, მხოლოდ ისე, რომ არ განედევნა კეთილშობილური იდეურობა. აღორძინების ადამიანს უნდოდა დარჩენილიყო სულიერ არსებად”¹.

ამრიგად, რენესანსისათვის მისაღები იყო დოგმებისაგან თავისუფალი რელიგია, რომელიც ადამიანის მოთხოვნებთან იქნებოდა შეფარდებული. ამიტომაც იყო, რომ აღორძინების მსოფლმხედველობა ადვილად შეეთვისა გაქრისტიანებულ ნეოპლატონიზმს ანუ არეოპაგეტიკას.

ლოსევი რენესანსის ნეოპლატონიზმს /არეოპაგეტიკას/ შემდეგნაირ ახსნას აძლევს: “რენესანსის ეპოქაში ნეოპლატონიზმი მარტო ჰუმანისტური მოვლენა არ იყო; ის ყოველთვის იძენდა მკაცრ მეცნიერულ და ფილოსოფიურ ფორმებს, ან მხატვრულ და პოეტურ ხატოვნებას. იგი ხშირად ატარებდა თავშესაქცევ, შეიძლება ითქვას, მხიარულ ხასიათსაც კი. ნეოპლატონური ესთეტიკა, ჰუმანისტურად გადამუშავებული, ყველა შემთხვევაში რჩება რენესანსული აზროვნების ძირითად მიმართულებად, რენესანსის ძირითად ტენდენციად თავიდან ბოლომდე”.

რენესანსის ნეოპლატონიზმი ანთროპოცენტრისტულია ე.ი. ადამიანია მსოფლიოს ცენტრი. ადამიანის პრობლემა შუა საუკუნეებშიც იდგა, მაგრამ გასხვავება იმაშია, რომ რენესანსული ფილოსოფიური გაგებით, ღმერთიცა და ადამიანიც შემოქმედებად არიან წარმოდგენილი. “მაშინდელი თეოლოგები ამბობდნენ, რომ ადამიანი შექმნილია “ღმერთის ხატად და მსგავსად” თუ ასეა, მაშინ ცხადია, ადამიანის პიროვნების პრობლემა განსაზღვრულ ხარისხში შუა საუკუნეებში თამაშობდა ერთ-ერთ ცენტრალურ როლს... ჩვენი აზრით, სწორი არიან რენესანსის ის მკვლევარები, რომლებიც ხაზს უსვამენ რენესანსულ

¹ ა.ფ.ლოსევი, აღორძინების ესთეტიკა, მ.1978 (რუსულ ენაზე)

არ ითვლებოდა, და არც შეიძლება ჩათვლილიყო, რადგანაც ღიონისეს წიგნებში არ არის არც ერთი პუნქტი, რომლის საფუძველი და დასაყრდენი საღმრთო წერილში არ იყოს მოძებნილი და ნაჩვენები, თვით ისეთი პუნქტიც კი, რომელიც ადამიანის “გაღმერთებას” გულისხმობს. “მე ვთქვი: ღმერთი სამე ხართ” /ფსალ. 816, იოან. 10,34/”.²

ლოსევი თვლის, რომ, რადგანაც ნუცუბიძე ცდილობს არეოპაგიტიკა ქრისტიანულ ერესად გამოაცხადოს, “გაღმერთებას” არასწორ ახსნას აძლევს, თითქოს შესაძლებელია ადამიანი ლოცვის შედეგად ღმერთად იქცეს თავისი არსებით. “აქ შ.ი. ნუცუბიძე ქრისტიანულ რწმენას არ ითვალისწინებს, რომ კაცობრიობის ათასწლოვანი ისტორიის მთელ მანძილზე მხოლოდ ერთი კაცი იყო, რომელიც ერთსადაიმავე დროს ადამიანიც იყო და ღმერთიც თავისი სუბსტანციით. ეს ადამიანი ქრისტეა. სხვა დანარჩენ ადამიანებს, ეკლესიის უცილობელი რწმენით, შეეძლოთ ღმერთად ქცევა მხოლოდ მაღლით და არავითარ შემთხვევაში თავისი ბუნებით”.³

ქართულ რენესანსში ადამიანის გაღმერთების გაგება, ლოსევის აზრით, ეყრდნობა ქრისტიანულ რწმენას: “XII ს. ქართულ რენესანსში არაფერია წარმართული ან ბერძნული. იგი ეყრდნობა ჭეშმარიტ შემოქმედზე ათასწლოვან საეკლესიო რწმენას, რომელმაც არაფრისაგან შექმნა ყველა არსებული და მასში ოფიციალურ ეკლესიის მოძღვრებასთან ბრძოლის მსგავსიც კი არაფერია, მით უმეტეს, მატერიალიზმზე ლაპარაკიც ზედმეტია”.

ლოსევი რენესანსული ეპოქისათვის არეოპაგიტიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. “ქართული რენესანსის საფუძველში ძეგს ნეოპლატონიზმი... საქართველოში ის ქრისტიანულ-თეისტურად იყო გადამუშავებული... არეოპაგიტიკის წარმომადგენლები ეხმარებოდნენ ეკლესიას, დოგმატური მოძღვრება გაეცოცხლებინათ და გაეღრმავებინათ... ქართული აღორძინების მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ მასში არის ხსნის უფრო მიწიერი და უფრო ადამიანური გზები... ის, ვინც ჩაღრმავებულა არეოპაგიტულ ტრაქტატში “ღვთაებრივ სახელებზე”, არ შეიძლება არ გააოცოს მისმა ფილოსოფიური აზროვნების გაქანებამ – იმ მიმართულებით, თუ როგორ არის ადამიანური და მიწიერი გამართლებული. ქართველი მკვლევარები სცდებიან, როცა ამაში პანთეიზმს ხედავენ... არეოპაგიტიკა რომ მეტად საინტერესო იყო რენესანსისთვის, ამაში სადავო არაფერია. ქართული რენესანსის მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ქართველი მოაზროვნეები ევროპაში ნეოპლატონური და არეოპასტური რენესანსის წამომწყებლად

² ზ.გამსახურდია, “ვეფხისტყაოსანი”, ინგლისურ ენაზე, გვ.46-47
 კ.კეკელიძე, რუსთაველი და აღმოავლური რენესანსი. წიგნში ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ. 1957
³ ლოსევი, დასახელებული ნაშრომი

ლია გუგუნივა / შექსპირის ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებები „ჰამლეტის“ მიხედვით და პარალელური რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“

აკაკი გაწერელიას შოთა რუსთაველის შემოქმედება ქრისტიანულად მიაჩნია, რომელიც გამდიდრებულია არეოპაგიტული იდეებით. “რუსთაველის რელიგიური მრწამსი გამდიდრებულია თეოლოგიური ლიტერატურიდან მიღებული ცოდნით და მისი მხატვრულად გამოყენებით... რუსთაველის ქრისტიანობა გამდიდრებულია უმთავრესად არეოპაგიტული მოძღვრებით. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ქრისტოლოგიის შემავალი და ორგანული, განუყრელი ნაწილი გახდა უკვე VII საუკუნიდან. ვეფხისტყაოსნის ავტორი ისევე აზროვნებს, როგორც იმდროინდელი ყველა ქართველი პოეტი... და მთელი ქრისტიანული მსოფლიო”.

რენესანსის ეპოქაში ადამიანი რომ ცდილობდა ღმერთთან დაახლოებას, გაიოზ იმედაშვილი შემდეგნაირად განმარტავს ამ ფაქტს: “ქრისტიანობამ რელიგიათა სისტემაში მოიტანა ახალი იდეა – ადამიანისათვის ღმერთის დაახლოება, ღმერთის გაადამიანება, რასაც მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურის, აზროვნების, მწერლობის იდეათა განვითარებისათვის, უპირატესად ჰუმანისტური იდეალების წამოყენებაში. მისგან გამოვიდა მრავალი ახალი თემა და მოტივი ხელოვნებასა და ლიტერატურაში და, ამ თვალსაზრისით, რენესანსი ქრისტიანული სამყაროს მოვლენაა, რომლის შიგნითაც იდეათა ფორმირების ხანგრძლივ პროცესში ადამიანის ნებისა და აზრის უფლება გამოიკვეთება”.⁶

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ჰუმანისტი მწერლები არ იზღუდებოდნენ რელიგიური დოგმებით.

რუსთაველზე შეგვიძლია კორნელი კეკელიძის მოსაზრება მოვიშველიოთ: “როდესაც ჩვენ რუსთაველის ქრისტიანობის შესახებ ვლაპარაკობთ, უნდა შემდეგი გარემოება გვახსოვდეს: რუსთაველი მთლიანად ემყარება ქრისტიანობის პირველწყაროს, ბიბლიას, “საღმრთო წერილს”... ამ მხრივ ის წარმომადგენელია ე.წ. “ბიბლიური” ქრისტიანობისა და თეოლოგიისა... მისთვის უცხოა დოგმატურ-ეკლესიური ქრისტიანობა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიო კრებათა და შემდეგი დროის სქოლასტურ-მისტიკურ გონებრივ აკრობატობაზე. მისთვის უცხოა მთელი ის ბალასტი, რომელიც ქრისტიანობას შეეზარდა შემდეგ, საუკუნეთა განმავლობაში... ამიტომაც ის მოწინავე ადამიანი და პროგრესულად მოაზროვნეა რელიგიურ სფეროშიც”.⁷

ჩვენთვის ინტერესმოკლებული არ არის განვმარტოთ, რით განსხვავდება ქრისტიანული თეიზმი პანთეიზმისა და წარმართული ნეოპლატონიზმისაგან.

ქრისტიანული გაგებით, ღმერთი არის პიროვნება. მაგრამ იგი ადამიანური პიროვნებისაგან განსხვავდება. ღმერთი უზენაესი პიროვნებაა, „ყოველად სრულყოფილი პიროვნება, არქეტიპი ყოველგვარი პიროვნული ყოფისა. ამით

6 გაიოზ იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968

7 კორნელი კეკელიძე, “ვეფხისტყაოსანი”, ავტორის მსოფლმხედველობა, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1941, 179-209

თეიზში უპირისპირდება პანთეიზმს, რომლისთვისაც ღმერთი გაიგივებულია ყოვლადობასთან... იგი არ არის პიროვნული, არ გააჩნია თავისუფალი ნება; პანთეისტური შესაქმე უპიროვნო, მარადიულ-აუცილებელი პროცესია, ხოლო ქრისტიანული შესაქმე თავისუფალი, შემოქმედებითი აქტია პიროვნული ღმერთისა... ღვთაების ცოცხალი მონაწილეობა... ის პუნქტია, რომელშიც მკვეთრად გამოირჩევიან ერთმანეთისაგან თეისტური და პანთეისტური თვალსაზრისები. ამიტომ პანთეიზმისათვის ძირეულად უცხო ძე ღმერთის ისტორიულ პლანში მონაწილეობის და განკაცების იდეა... ძე არის შუამდგომელი მამასა და კაცობრიობას შორის, საკუთრივ მისგან მომდინარეობს განგება, წყალობა და მადლი”. ნეოპლატონიზმისათვის ღმერთი არ არის შემოქმედი. მისთვის “განსაკუთრებით უცხოა ქრისტიანულ თეისტური თვალსაზრისი ღვთის განგებაზე... უცხოა აგრეთვე ოპტიმისტური შეხედულება შეწევნაზე, წყალობაზე და მადლზე”.⁸

ნეოპლატონიზმისათვის სამყარო არ არის შექმნილი. იგი ემანირებულია ზეყოფიერი “ერთიდან”. შესაქმე გულისხმობს სამყაროს შექმნას ღვთის მიერ, ხოლო ემანაცია /გამოდენა/ ნიშნავს ნაკლებად სრულყოფილი ყოფის გამოსვლას სრულყოფილი პრინციპიდან, რომელიც უცვლელია. ქრისტიანული გაგებით, ღმერთი არსებით ერთია, მაგრამ მას აქვს სამი პირი. ქრისტიანული კრეაციონალიზმისათვის დამახასიათებელია პიროვნული ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა თავისუფალი ნებით, რომელშიც მონაწილეობს სამება.⁹

კიდევ ერთ განსხვავებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. დიონისე არეოპაგელი ხმარობს ტერმინს “საღმრთო მობერვას”. იგულისხმება სულიწმინდის მობერვა. “რამეთუ ზემთაგონებათა იგი სურნელებისა არსებაი ცეცხლებრივთა მათ და წმინდათა გონებათა მიმართ თანად განჩინებით აღძვრის მოყუარე არს და საღმრთოთა მათ მობერვათა მათთა ყოვლად ნეტარებითა განყოფისაითა მიანიჭებს”.¹⁰

ზვიად გამსახურდია სულიწმინდასთან დაკავშირებით შემდეგნაირად ასაბუთებს განსხვავებას ქრისტიანულსა და პანთეისტურ თვალსაზრისებს შორის. “ღმერთის როგორც სულის, სულიწმინდის ხმარება რუსთაველის მიერ საბოლოოდ გვიდასტურებს მის თეიზმს... ჰეგელი თავის ლექციებში ფილოსოფიის ისტორიის შესახებ სპინოზაზე საუბრისას ხაზგასმით... აღნიშნავს, რომ ღმერთის როგორც სულის გაგება უცხოა პანთეიზმისათვის, და რომ ეს არის ძირითადი განმასხვავებელი პუნქტი პანთეიზმსა და ქრისტიანულ მოძღვრებას შორის”.¹¹

რენესანსის პერიოდში არეოპაგეტიკული იდეები რომ აისახა ქართულ მწერლობაში, ამას რუსთაველის შემოქმედება ცხადყოფს.

⁸ ზვიად გამსახურდია, დასახელებული ნაშრომი

⁹ ზვიად გამსახურდია, დასახელებული ნაშრომი

¹⁰ პეტრე იბერი, შრომები. თბ., გვ. 190

¹¹ ზვიად გამსახურდია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 97

რუსთაველი იხსენიებს დიონისე არეოპაგელს.

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიენოს განაცხადებს:
 ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
 ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
 თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს. /1492/

შალვა ნუცუბიძე ამის გამო წერს: “რუსთაველმა საკვირველი სიმოკლით და ამავე დროს განსაცვიფრებელი სიზუსტითა და სავსეობით გადმოსცა თავისი პოემის ერთ-ერთ სტროფში /1492/ პეტრე იბერის მთელი სიბრძნე, როგორც იგი დაცულია დღემდე ეფრემ მცირეს ქართულ თარგმანში” და შემდეგ დასძინს: „ადამიანი რომ შემოქმედების ცენტრად იქცა, ამაში დიონისე არეოპაგელს დიდი წვლილი მიუძღვის.“ მალე გაიარკვა, რომ აზროვნების და შემოქმედების ცენტრი ადამიანი იყო. ესე იგი ადამიანი იყო საზომი ყოველთა ღირებულებათა, არსებულთა...

“ვის საზღვარსა დაუსაზღვრავს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად.
 იგი გახდის წამის ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად”.

ეს გზა მსოფლიოს წყობისა არეოპაგეტის ავტორმა გამოიყენა დებულები-სათვის, რომ მიზეზთა სისტემა უნდა გაგებულ იქნას, როგორც ადამიანის გაღმერთებისათვის... ასე შეიქმნა სწავლა იერარქიული ხასიათისათვის მთლიანი ქვეყნისა... მის შემქმნელს ფსევდო-დიონისეს /პეტრე იბერს/ ამ საქმის უკვდავ-საყოფად აზროვნების ისტორიაში “იერარქიის დოქტორი” ეწოდა... მაშასადამე, ყველაფერი არის ადამიანი და ადამიანისთვის.

... მნიშვნელოვანია ფსევდო-დიონისეს გავლენა რუსთაველის მსოფლ და ადამიანის გაგებაზე – წერს ვ.ჟირმუნსკი... მაგრამ რენესანსი ადამიანის განთავისუფლებაა ფეოდალური ვითარებიდანო. ავტორმა არ იცის, რომ ფსევდო-დიონისე /პეტრე იბერი/, თავისი ლოზუნგით ადამიანის გაღმერთებაზე” პირველია, რომელიც ადამიანის არა მარტო განთავისუფლებაზე, არამედ მის – ამაღლებაზე “ღმერთამდე” ლაპარაკობს”.¹²

გიორგი ნადირაძე ეთიკური კატეგორიებით ასაბუთებს ღმერთის ტრანსცენდენტურობას. იგი რუსთაველის პოემაში ხედავს ამის აშკარა საბუთს. აქ წარმოდგენილი უზენაესი ძალა უმაღლესი სათნოების განსახიერებაა, სიკეთის შემოქმედი და ა.შ. ხოლო სოფელი, პირიქით, ცრუ, მუხთალი და მიუნდობელი. განა პანთეისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე წარმოსადგენი იქნებოდა უზენაესი ძალისა და სოფლის ესოდენ მკვეთრად გამოხატული ეთიკური და-პირისპირება... პოეტი და მისი გმირები თავის სიცოცხლისმიერ ოპტიმისტურ რწმენას ამყარებენ არა მარტო თავისი სულისა და მკლავის ენერგიაზე, არამედ უზენაესი ძალის სათნოებაზეც”.¹³

¹² შალვა ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, თბ. 1969

ლოია გუგუნიავა / შექსპირის ფილოსოფიური-რელიგიური შეხედულებები „ჰამლეტი“ მიხედვით და პარალელები რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“

სოფლის სიმუხთლეზე გამარჯვებაში ღმერთი ეხმარება ადამიანს. მაგრამ ღმერთი მხოლოდ მებრძოლებს ეხმარება. “ცხოვრებიდან გაქცევას, მიწიერ სიხარულზე ხელის აღებას რუსთაველი თვლის უგუნურებად... მან ეს მაღალი რეალისტური და ოპტიმისტური სიბრძნე დაასაბუთა არა მარტო ადამიანის ბუნებით, არამედ ნოვატორული თეოლოგიური პრინციპებითაც. ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლაში გამარჯვება თვითონ უზენაესი ძალის ნება-სურვილია”.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასკეტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ ნიშნავს ქრისტიანული რელიგიის უარყოფას. პირიქით, ეს ქრისტიანული რწმენის ჰუმანისტური გაგებაა. ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ რუსთაველს “გრანდიოზული მასშტაბის ბრძოლა დაუწყია ქრისტიანული ასკეტიზმის წინააღმდეგ... არა რელიგიის საზღვრებს გარეთ, არამედ რელიგიის შიგნით, ახალი ქრისტიანული თვალსაზრისის წამოყენებით. რუსთაველისთვის ეს ნიშნავს ქრისტიანობის სწორ ინტერპრეტაციას, იმავე ქრისტიანული რწმენის პოზიციებზე დგომას”.

რენესანსული გაგებით, სოფელი თავისთავად ღვთაებრივია და არ შეიძლება, ღვთაებასთან ჰარმონიულად არ იყოს შერწყმული. „გამოვლენილი სამყარო... ღვთაებრივია... ეს არის თავისი დროისათვის უდიდესი მნიშვნელობის დებულება... სამყაროს მოდელი მთლიანად, ჰარმონიულად ისახება, სოფელი და ზესთასოფელი, მტრულად ვერაფრით ვეღარ მოიაზრება... „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა”. ეს არის რენესანსული მხერით დანახული სოფელი, ღვთაებრივი ნათელით გაშუქებული, სადაც ადამიანიც ამ ნათელის მატარებელია და მისი მოუცილებელი მონაწილე. ხოლო მეოთხე სტროფში “მისგან /ღმერთისგან/ არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერთა”-ავტორი წარმოგვიდგენს აბსოლუტურად ქრისტიანულ-არეოპაგიტულ მოდელს. მიწიერი იერარქია ზეციურის შესატყვისია /ესეც ადასტურებს ზესთასოფლის ჰარმონიულ მიმართებას/... პოემის ავტორს სოფელი და ზესთასოფელი განუყოფელ ჰარმონიულ მთლიანობად ესახება... ადამიანისათვის ამალღებული, წმინდა სიყვარული ამავე დროს ხორციელ სწრაფვასაც ნიშნავს... ეს გაგება არეოპაგიტული გააზრების ილუსტრაციას წარმოადგენს და სავსებით შეესატყვისება “ვეფხისტყაოსნის” უმთავრეს აზრს – სოფლის და ზესთასოფლის ჰარმონიას.

სოფლისა და ზესთასოფლის მიმართების ამგვარი გაგება რუსთაველის მსოფლხედველობის საფუძველთა საფუძველია”.¹⁴

რენესანსის ადამიანს რომ ჰარმონიულად ესახებოდა მთელი სამყარო, ეს ბუნებრივიც იყო. მას სწამდა, რომ იგი ღმერთმა თავის მსგავსად შექმნა. რწმენა ჰქონდა როგორც შემქმნელის, ისე საკუთარი ძალების მიმართ. ეს გაადამიანებული ადამიანი ისწრაფოდა თავისუფლებისა და შემოქმედებისაკენ. აღორძინების

¹³ გიორგი ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958

¹⁴ რევაზ თვარაძე, დასახელებული ნაშრომი

ეპოქაში დაფუძნდა ყოველმხრივ განვითარებული და თავისუფალი პიროვნების იდეა. აღორძინების ჰუმანიზმმა განადიდა პიროვნება. ადამიანი გამოირჩეოდა მთლიანობითა და მრავალფეროვნებით და მან ბოლომდე შეინარჩუნა ეს რწმენა, მაშინაც კი როდესაც ჰუმანიზმმა კრახი განიცადა.

რენესანსის მიწურულში ჰუმანისტურად აღჭურვილი ადამიანები ტრაგიკულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. პრინციპი ადამიანი ყველა საგნის სამოსია”, ე.ი. ანთროპოლოგიური ჰუმანიზმი, იქცა პრაქტიკულ დევიზად - ყველაფერი დასაშვებია.¹⁵

რენესანსის ჰუმანიზმის კრახმა განაპირობა სწორედ ჰამლეტის სულში მომხდარი ძვრები. “შექსპირმა დიდი ძალით ასახა ის სულიერი გატეხილობა, რითაც თავდება რენესანსული ჰუმანიზმი... მაგრამ იმავე შექსპირმა გვიჩვენა ამ კრიზისიდან გამოსავალი გზა. ეს გამოსავალია ადამიანში დაკარგული ჰარმონიის აღდგენა”.¹⁶

სწორედ ჰარმონიის აღდგენის განზრახვა ედო საფუძვლად მის სიტყვებს: “დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა!” /1,5/, რომელიც ჰამლეტმა მთელ საუკუნეს სტყორცნა.

მარცელუსის მეტაფორა “Something is rotten in the state of Denmark” / რაღაც დაღბა დანიის სახელმწიფოში/ სიმბოლურად ჟღერს. სიტყვა “ლობაში” ნაგულსხმევია სამყაროს წესრიგის დარღვევა. “სამყაროს, სახელმწიფოს და ინდივიდის წესრიგი დარღვეულია, ქაოსური გრამატიკა ასახავს მისი /ჰამლეტის/ ფიქრების უნივერსალურ ქაოსს”.¹⁷

მარცელუსის სიტყვებს მოსდევს ჰორაციოს რეპლიკა: “Heaven will direct it” /ზეცა გვიჩვენებს გზას/ ე.ი. ღმერთია ადამიანის მსხნელი. ჰორაციო გამოთქვამს იმედს, რომ ღმერთი უშველით.

მართალია “ზღვა უბედურებამ” ჰამლეტში ჰარმონია დაარღვია, მაგრამ ადამიანის იდეალი მასში არ შეცვლილა. ჰუმანისტურმა რწმენამ უშველა ტრაგიკულ გმირს, რომ სულიერად არ დაეცა და მიუხედავად უშველებელი მისიისა, იგი ქედმოუხრელად ებრძოდა ცხოვრების უკუღმართობებს. რენესანსული სულით და აზრებით აღჭურვილ ჰამლეტს სხვანაირად არ შეეძლო მოქცევა. ჰამლეტს სწამდა, რომ “ღვთისმაგვარი ჭკუა” ღმერთმა იმისთვის მიანიჭა ადამიანს, რომ იმოქმედოს კაცობრიობის სასიკეთოდ.

თუ რამდენად შეესატყვისება ორი გენიალური მწერლის შეხედულებები რენესანსის ფილოსოფიურ-რელიგიურ აზროვნებას და თუ მათ შორის ანალოგიები მოიძებნება, ამაში ამ ძეგლთა ტექსტობრივი ანალიზი დაგვარწმუნებს.

¹⁵ ნ.ი. კონრადი, დასახელებული ნაშრომი

¹⁶ იქვე

¹⁷ თეოდორ სპენსერი, შექსპირი და ადამიანის ბუნება, კემბრიჯის უნივერსიტეტი, 1945, გვ. 106-107. (ინგლისურ ენაზე)

მშვიდობა სამართალზე დგას 7

გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

There is no Peace without Justice 7

Politische Aspekte Integration der (Schwarzmeerwirtschaftsregion) SMWR

Bidzina Giorgobiani

Integration und Entwicklung der SMWR

Die 90er Jahre sind durch ökonomisch bedeutsame Entwicklungsprozesse gekennzeichnet: die Transformation der sozialistischen Volkswirtschaften der Länder Mittel- und Osteuropas und die zunehmende Integration der Wettbewerbswirtschaften der Länder Westeuropas. Anfang der neunziger Jahre ist ein kooperativer Zusammenschluss der Staaten von Mittel- und Osteuropa entstanden. Gemessen an der ökonomisch-politischen Bedeutung lassen sich diese wie folgt gruppieren:

- die zentraleuropäischen Freihandelszone (CEFTA),
- die baltische Freihandelszone,
- die Gemeinschaft Unabhängiger Staaten (GUS),
- die Zentraleuropäische Initiative (ZEI),
- die Schwarzmeer- Wirtschaftsregion (SMWR).

Nach dem Zerfall des sowjetischen Mosaiks soll ein neue Großraum entstehen, in dem aus wirtschaftliche Komplementarität die Voraussetzung für Regional-politische Zusammenarbeit nacheinander erwächst. Einer von hervorzuheben ist der SMWR (gegründet 1992). Worauf ist fast Zen Jahre abgelaufen. Heute kann man schon Ergebnissen der Zusammenarbeit resümieren.

Politische Integration geht deutlich darüber hinaus- sie ist nach unserem Verständnis dadurch charakterisiert, dass es zwischen einer Reihe von Ländern gemeinsame Institutionen gibt. Jedoch in Gründungs-dokument in der SMWR lag der Schwerpunkt zunächst auf ökonomischer Integration aber schon heute viele Bereichen existieren innerhalb der SMWR bereits gemeinsame politische Institutionen

z.B. die Parlamentarische Versammlung der SMWR und der SMWR –Rat der Vorsitz des Rates wechselt halbjährlich zwischen den Mitgliedsstaaten als Früchte des des Institutionalisierungsprozess der SMWR können die Gründung der Schwarzmeerwirtschaftsbank in Thessaloniki (Griechenland) und des SMWR- Sekretariat in Istanbul (Türkei) angeführt

werden. Diese Institutionen werden zusehends ausgebaut. Die Frage ist nur:

- Worin besteht die besondere Bedeutung die politische Integration und Aufbau des zwischenstaatlichen Institutionen für den Wachstumsprozess in der einzelnen Wirtschaftssubjekten SMWR?
- Worin unterscheiden sich Entwicklungen wie innerhalb der SMWR und die generelle Internationalisierung ökonomischer Zusammenhänge bzw. Globalisierung?

In der neueren Literatur gibt es einige Ansätze, die eine Antwort zumindest andeuten. So haben *Sachs/Warner*¹ (1995a/b) in einer Studie mit 117 Länder untersucht, welche Rolle die Kriterien *economic openness* und die Garantie privater Eigentumsrechte für die durchschnittliche Höhe der Wachstumsrate zwischen 19970 und 1989 spielten. Es zeigte sich, dass eine Untergruppe von 35 Länder, die bezüglich beider Kriterien über einen längeren Zeitraum eine positive *performance* aufweisen, eine wesentlich höhere Wachstumsrate realisierte als Länder, die zumindest eines der beiden Kriterien verletzen.

Aus den Ergebnissen von *Sachs/Warner* lässt sich eine einfache Hypothese ableiten:

Die spezifische Rolle politischer Integration liegt darin, dass Länder durch die Etablierung gemeinsamer Institutionen eine umfassende Absicherung privaten Eigentumsrechte bieten können und damit ideale Voraussetzungen schaffen für die Entfaltung jener Wachstumspotential, die Güterhandel und Faktormobilität grundsätzlich beinhalten.

Der Wirtschaftspolitische Integration in der Rahmen SMWR vorstellbar ist nur unter Berücksichtigung erwachsende Tendenz Internationalisierung der Weltwirtschaft. SMWR stellt an Ansatz mit weniger Wirtschaftsleistungen aber als Anteil laufendes Globalisierungsprozesses dar. in diesen sinne ist Bedeutung der SMWR für einzelnen Wirtschaftssubjekten unverwechselbar, besonders für den Kleinste Staaten der SMWR (wie z.B. Albanien, Armenien, Azerbaidshan, Moldawien, Georgien). Damit Sie haben Direktverbindungen mit Neuem politische Weltordnung und Weltweit laufende Wirtschaftsglobalisierungsprozess.

Angesicht die politischen Konflikte zwischen einiger der Mitgliedstaaten soll über aktive Wirtschaftsbeziehungen auch eine politische Stabilisierung in der Region erreichen werden. Im entgegengesetzten Fall die weitere regionale Zusammenarbeit in SMWR ist auf meine Ansicht zwei

verschiedener Szenarien vorstellbar:

Ein erstes Szenario lässt sich auf die Kurzformel „Weiter wie bisher“ bringen. Danach würde bei Fortbesten der gegenwärtigen Rahmenbedingungen die regionale Kooperation zwar weitgehend auf dem aktuellen Niveau verharren.

Ein zweites Szenario „Mehrere Schritte zurück“ impliziert eine empfindliche Reduzierung der regionalen Kooperation für den Fall, das vorerst vorübergehend Stilllegen Konflikte, z.B. zwischen der Aserbaidschan und Armenien oder Russland und Georgien., aufbrechen oder eventuelle neue wirtschaftliche und politische Krisenerscheinungen den Kooperationspolitischen Handlungsspielraum einengen. Alle Oben genannte Sachverhalten sind für den Teilnehmerstaaten Bewusstsein. Wie lautet SMWR- Vizedirektor *Ecmel Barutcu*:

Haupthindernis für eine erfolgreiche ökonomisch- politische Zusammenarbeit ist gegenwärtig der Aspekt der Sicherheitspolitik und der Konfliktlösung. Das Verhältnis vieler an der SMWR beteiligter Staaten ist gespannt, selbst bewaffnete Konflikte sind in der Region nicht selten. Daher bedeutet schon allein die Tatsache, dass sich durch die SMWR die Konfliktparteien an einen setzen, einen Schritt in eine konfliktfreie Zukunft. Auch eine Zunahme ökonomischer Zusammenarbeit, die mit der Steigerung Wohlstandes in der Region verbunden ist, wird dazu führen, dass die Sinnlosigkeit dieser Konflikte, bei denen es sich oftmals um Verteilungskonflikte handelt, zu Tage tritt und Frieden und Sicherheit in der Region gewährleistet werden kann².

Tatsächlich die politischen Verhältnisse in der Region instabil sind. Abwesenheit effektiver Ablösungsinstrumente und Institutionen erschaffen die politische Instabilität in der SMWR Staaten. Jedoch sind die 6 Mitgliedsländer der SMWR, gleichzeitig beteiligte GUS aber wie betont *Heinz Timmermann*:

„Seit Frühjahr 1997 haben sich die Erosionsprozesse in der GUS dramatisch beschleunigt. Zentrale Ursachen hierfür sind: Die GUS ist weder eine Werte- oder Interessengemeinschaft noch existiert eine äußere oder innere Bedrohung, die von allen Mitgliedstaaten als gemeinsame Gefahr empfunden würde. Angesichts des Scheiterns der bisherigen Integrationspolitik Russlands gibt es in Moskau Anzeichen für eine Verlagerung des Schwerpunkts bei der Einflussnahme im GUS-Raum auf die

Wirtschaftsbeziehungen. Die GUS-Staaten ihrerseits kehren ver-

stärkt ihre spezifischen nationalen Interessen hervor und bilden teilweise regionale Allianzen ohne Beteiligung Russlands. Die Länder der GUS werden zu einer Zone des freien Wettbewerbs ausländischer Partner, in der auch die Europäer verstärkt aktiv werden sollten“³.

Bereits Ostwirtschaftsexperten Die Wirtschaftliche Effekte der Zehnjährige Zusammenarbeit in Rahmen GUS bildet für Ehemaligen Sowjetländern auch Hoffnungslos⁴. Die politische und ökonomische Reintegrationstendenz existiert innerhalb der GUS zwischen Russland und Weißrussland sowie zwischen Russland und einiger Zentralasiatische Staaten aber kaum ein gemeinsamer Wirtschaftsraum entwickelt. Die Ursache solches Erfolglosigkeit ist selbst Ziel „Reintegration“. Wie betont *Zagorski*,

„Im Kontext der ehemaligen Sowjetunion setz die Reintegration vor allem voraus, dass alte administrative Kommandosystem wiederaufersteht, allerdings in einen neuer, zwischenstaatlichen Form, die unweigerlich zu einer Renaissance der russischen Hegemonie und zu einer Politik des „Sammelns des Landes“ beitragen würde.“⁵ Oben genannten Erosionsprozesse in der GUS besonderes sichtbar geworden nach dem Aufbau „Projekt des Jahrhunderts“ bzw. Transportierung das Aserbaidische Erdöl durch den „Kaukasischen Korridor“ nach Türkische Ölhafen – *Ceyhan*.

Die Kaukasische Region des SMWR, genauer gesagt die Ost-West-Verkehrswege nördlich und südlich des Gebirgszugs, stellen die Verbindungslinie zwischen dem Kaspischen und dem Schwarzen Meer, und damit den Zugang zu den Weltmeeren dar. Über sie verlaufen einige Reuten von Pipelineprojekten für den Export kaspischer und der Zentralasiatische Energierohstoffe nach Europa wie die am stärksten unter strategischen Gesichtspunkten diskutierte Route für eine Hauptexport-Ölpipe von Baku (Azerbaidische) durch Georgien in den türkischen Mittelmeerhafen *Ceyhan*.

Die weitreichenden Visionen und Planungen regionalen Vernetzung zwischen der Südkaukasische Länder der Türkei und der Westliche Welt, nicht von allem Mitglieder der SMWR einfach Annehmbar ist. Ein Kommentator aus dem Kaukasus selber bezeichnete diese Region als einen „geopolitischen Vulkan“, auf dem sich internationale Pipelineprojekte mit internen Konfliktzonen und Erdölpolitik mit Konfliktmanagement überkreuzen und sich konträre Interessenechsen herausbilden.“⁶

Trotz größerer geographischer Einteilung der USA ist reichlich

prominent in der SMWR, Im Zuge zunehmender westlicher Wirtschaftstätigkeiten in der Schwarzmeer und kaspischen Region sind seit 1997 insbesondere in der amerikanischen Politik neue Akzente deutlich geworden. andere Seite stet das Interesse beteiligte der SMWR Russland. Russland setzt die geostrategische Bedeutung des Schwarzmeer schon allein deshalb als sehr hoch an, weil in seiner Wahrnehmung Region zum Hauptobjekt amerikanische Einflussnahme im postsowjetische Raum geworden ist. 1997- 2000 intensivierte die US- Regierung ihre Kontakte zu andere beteiligte Staaten SMWR, Aserbaidshan und Georgien. Von 801 Mio. Dollar Finanzhilfen, die Washington im Oktober 1998 für GUS-Staaten bis zum September 2000 vorgesehen hat, entfallen 228 Mio. auf die drei südkaukasische Staaten. Für einige russische Kommentatoren insbesondere s.g. „Patriotische Kräfte“ und andere Rechtsradikalen, fällt neben dem wachsenden amerikanischen Einfluss im Schwarzmeer Raum und die Rolle der Türkei ins Gewicht, als „Bedrohung aus dem Süden“ dargestellt wird.

Aus meine Ansicht das ist Übertreibung des Amerikanisches Ziel in postsowjetische Raum. Was „Bedrohung aus dem Süden“ von Türkische Seite anbelangt das geht auch über seine Kraft. Selbst Türkei definiert Ziel des Wirtschaftliche Zusammenarbeit und politische Integration In der SMWR als Funktionale Instrument politische Stabilisierung in der Region.

Jedoch vor allem der beteiligten der SMWR, der auf die Russischen Interessen und den hohen russische Einfluss in der mehrere SMWR Staaten Rücksicht nehmen muss, aber gleichzeitig wollte weder politische Aussagen zu Balkan, zum armenisch- aserbaidshanischen Konflikt um die „Nagorni Karabach“, Russisch- Georgischen Konflikt um die Westgeorgische Provinz Abchasien oder Bewaffnete Separatisten in Moldawien die sich allein auf die hilflose Länder beziehen und entgegen der Militärische bedroht lassen. Aus meine Ansicht wachsende Geostrategische Interesse aus der Seite USA und EU In der Schwarzmeerregion, als politische Gleichgewicht gegenüber Russisch- Türkische Historische Hegemonie in diesem Raum Werden Kann und durch Internationalisierung Potentielle Konflikten nach Multilaterale Wirtschaftsbeziehungen verwandelt. In diesen sinne möchte ich kurz zum Positives Roll der Künftige Zusammenarbeit in der rahmen SMWR zwischen den Türkei und Griechenland anhalten. Wie es allgemein bekannt ist Beide Ländern suchten nach dem zweite Weltkrieg Unterstützung bei westlichen Mächten: die Truman-doktrin, die ihnen im

März 1947 amerikanische Hilfe gegen Kommunistische Bedrohung war auch beide gleichermaßen gemünzt, über beider NATO- Beitritt wurde selben Tag beschlossen⁷ mit damaligen Jugoslawien geschlossen, und beide haben sich in den frühen sechziger Jahren mit der Europäischen Gemeinschaft assoziiert. Anfang 1981 Griechenland in die Europäische Gemeinschaft Angenommen wurde. Griechenland ist aber ein Problem für die türkische Außenpolitik weil bis zu heute das „Zypernproblem“ ist Unentschlossene politische Konflikte zwischen den EU- Mitglied Griechenland und Beitrittskandidat Türkei. Auch in der gegebenen fall kann die Intensivierung Wirtschaftspolitische Zusammenarbeit innerhalb der SMWR wesentlich Positive Roll Spielen.

Nach dem wachsende Einfluss westlichen Mächten und die Wirtschaftspolitische Interesse, erscheinen sich politische Beziehungen zwischen der SMWR Länder

In anderem Licht. Auf der einen Seite ist die SMWR abhängig vom Erfolg konfliktlösender Bemühungen, kann jedoch, falls sie erforderlich fortschreitet, viel zur Stabilität in der Region und Gesamteuropa beitragen.

Schließlich muss zumindest hypothetisch ins Kalkül gezogen werden. Die Wirtschaftspolitische Zusammenarbeit zwischen den SMWR Staaten ist gute Voraussetzung, eingekapselte Konflikte über aktive Wirtschaftspolitische Beziehungen erreicht werden und ein Neue Start für tieflegende wirtschaft mehrere Postsowjetische Länder zu geben.

Literaturverzeichnis

⁸ *Sachs/Warner*⁹ (1995)

² *Ökonomik Forum*, September, 1994.

³ Timmermann.H, *Aktuelle Analyse des BIOst* Nr. 20/1998. 20. Mai 1998.

⁴ Götz. R, *Aktuelle Analyse des BIOst* Nr. 23/1999.

⁵ Zagorski. A. *Die Entwicklungstendenzen der GUS Von der Differenzierung zur Konsolidierung?*. *BIOst* Nr 24. 1994

⁶ Gasan Kuliev, *Centralnaja Azija i Kavkaz*, N-3. 1999

⁷ 22. Oktober 1951, Beitritt am 18. Februar 1952); beide haben Vertrag über Freundschaft und Zusammenarbeit („Balkan-Pakt“, im Februar 1953.)

მშვიდობა სამართალზე დგას 8

გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

There is no Peace without Justice 8

ეთნოსიმბოლიზმი

შორენა ლორთქიფანიძე
საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი

არის თუ არა ერი და ნაციონალიზმი თანამედროვე მოვლენა? რა განაპირობებს ადამიანთა მზადყოფნას დაუფიქრებლად გასწირონ თავი თავისი ქვეყნისათვის? რატომ ახდენენ ადამიანები საკუთარი თავის იდენტიფიცირებას საკუთარ „ერთან“? არის თუ არა ეროვნული ხასიათი და ნაციონალიზმი უნივერსალური მოვლენები? ან პირიქით, შესაძლოა ერი სრულიად თანამედროვე მოვლენაა, და შესაბამისად, თანამედროვე სოციალური პირობების შედეგად ჩამოყალიბდა? რას გულისხმობს ერისა და ეროვნული თვითმყოფადობის კონცეფციები? ამ შეკითხვებით იწყება ენთონი სმიტის კლასიკური ნაშრომი 'ერების ეთნიკური წარმომავლობა', აღნიშნულმა წინგმა სრულიად ახალი ხედვა ჩამოაყალიბა ნაციონალიზმის თეორიაში. საფუძველი ჩაუყარა ეთნოსიმბოლიზმს. ეს უკანასკნელი დაუპირისპირდა ნაციონალიზმის მოდერნისტულ და პრიმორდიალურ თეორიებს. ენთონი სმიტი საერთო წარმოშობის სიმბოლოებსა და მითებს მიიჩნევს არსებითად „ეთნიკური ჯგუფის განსაზღვრებისას“. მაშინ, როდესაც ზემოთ აღნიშნული ორი თეორია, ერისა და ნაციონალიზმის განსხვავებულ გაგებას გვთავაზობს.

პირველ რიგში, საინტერესო იქნება მიმოვიხილოთ ნაციონალიზმის მოდერნისტული და პრიმორდიალური თეორიები. შემდეგ, გავეცნოთ ეთნოსიმბოლიზმის საფუძვლებს და მათ დატვირთვას სმიტის მიდგომების მიხედვით. ეს ყოველივე დაგვეხმარება თანამედროვე მსოფლიოში შექმნილი ვითარების უკეთ გაგებაში.

ერების წარმოშობის მოცემულ თეორიებს შორის ზუსტი ზღვრის დადგენა რთულია, თუმცა, მიდგომებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოიყოფა. გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც, ერთი მხრივ, განხნილია საზღვრები, თავისუფლად მოძრაობს ინფორმაცია, ადამიანები და პროდუქცია, კონფლიქტების უმთავრეს წყაროდ ერებისა და „ეთნიკური ერთობების“ ნაციონალისტური მისწრაფებები გვევლინება.

ნაციონალიზმის მოდერნისტული და პრიმორდიალური თეორიები

სიტყვა მოდერნიზმის განმარტებიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ აღნიშნული თეორია, აქცენტს აკეთებს ერების წარმოშობის მოდერნისტულ ასპექტებზე. მოდერნისტულ თეორიაში ორ მიმართულებას გამოყოფენ.

მოდერნისტების ერთი ნაწილი აცხადებს, რომ თანამედროვე ერების ყოვლისმომცველობის ახსნა თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკური საფუძ-

შორენა ლორთქიფანიძე / ეთნოსოლოგიაში

ვლების საშუალებით არის შესაძლებელი. ისინი ამტკიცებენ, რომ მე-16 საუკუნის შემდეგ, როდესაც ევროპის ძლიერმა სახელმწიფოებმა შეძლეს ადრეული საბაზრო კაპიტალიზმის განვითარებით პერიფერიებისა და ნახევრად-პერიფერიების ხარჯზე ძლიერი ადმინისტრაციული აპარატი შეექმნათ. სწორედ, მაშინ ჩაეყარა საფუძველი ადრეულ იმპერიალიზმს. ბრიტანეთმა, ესპანეთმა, საფრანგეთმა და პოლანდიამ მსოფლიოს სხვა რეგიონებთან დაქვემდებარების მთელი სისტემა შექმნეს. ეკონომიკურმა განვითარებამ განაპირობა დასავლეთ ევროპაში ერების წარმოშობის პროცესის დაჩქარება. ეკონომიკური განვითარება, ერების ჩამოყალიბების საწინდარია.

მოდერნიზაციის მეორე სკოლის მიმდევრები საკუთარ ანალიზში ერების წარმოშობის პროცესს უფრო პოლიტიკურ შეფერვას აძლევენ. აღნიშნული მიმდინარეობის მიხედვით, ეთნიკურობა „ინსტრუმენტალური“ ფენომენია. ბენედიქტ ანდერსენისა და ერნსტ გელნერის შრომები მოდერნიზმის ყველაზე საინტერესო და სიღრმისეულ ასპექტებს ეხება. ანდერსენი ერების ჩამოყალიბებასა და ეთნიკურობის ფენომენის გაჩენას ბეჭდური სიტყვის განვითარებას უკავშირებს, მას შემოაქვს ტერმინი „ბეჭდური კაპიტალიზმი“. რელიგიის გავლენის შემცირებამ და ლათინური ენის შეცვლამ ევროპის ცალკეულ სახელმწიფოთა ენებით, ერების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. კომუნიკაციისა და მწიგნობრობის განვითარებამ ევროპის ცალკეულ ენებზე, მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია. გელნერი ის ავტორია, რომელიც აცხადებს, რომ ერები და ნაციონალიზმი წმინდა თანამედროვე (მოდერნული) ფენომენია და ის ზრდაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში წარმოიქმნა. პოლიტიკური ასპექტი, მაინც ერების მოდერნიზაციული თეორიის მაინც ეკონომიკური მიდგომიდან გამომდინარეობს. ევროპის მხოლოდ იმ ერებმა მოახერხეს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევა, რომელთაც ევროპისა და მსოფლიოს ეკონომიკაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრეს.

რაც შეეხება პრიმორდიალისტურ თეორიას. სიტყვა Primordial ლათინური წარმოშობისაა და „პირველყოფილს“, „პირველადს“ ნიშნავს. აღნიშნული თეორიის მიხედვით პირველადი კავშირები ემყარება საერთო ენას, რელიგიას, რასას, ეთნიკურობასა და ცალკეულ ტერიტორიაზე მიჯაჭვულობას. ეთნიკურობის განცდა უნსოვარი დროიდან არსებობს, იმ ეპოქიდან, როდესაც ადამიანთა ერთობები ჩამოყალიბდა. ამ არგუმენტის სოციოლოგიური ვერსიის თანახმად, ეთნიკურობა ნათესაური კავშირების გაგრძელებაა. ნათესაობა გადარჩენისთვის ბრძოლაში კოლექტიური მიზნების მიღწევის საშუალებას იძლევა. ენა, რელიგია, რასა, ეთნიკურობა და ტერიტორია ადამიანთა გაერთიანებების მათგან განსხვავებული პრინციპებია. ამ თვალსაზრისით, ადამიანთა შორის ერთ ეთნოსზე მიკუთვნებულობის გრძობა პრიმორდიალურია. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ნაციონალიზმი პრიმორდიალურია, პირიქით, „თანამედროვე პირობების ცვლილებაში“, ის გააქრო. პრიმორდიალიზმის რადიკალურ მიმართულებას პერენიალიზმი წარმოადგენს, რომელიც აცხადებს, რომ ერები და ნაციონალიზმი მუდმივად არსებობდა.

ეთნოსი, მითები და სიმბოლოები

მოდერნისტები რადიკალურ ზღვარს აწესებენ პრე-მოდერნისტულ გაერთიანებებსა და მათ გრძნობებს, თანამედროვე ერებსა და ნაციონალიზმს შორის. პერენიალისტები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ერი და ნაციონალიზმი პრე-მოდერნული კავშირებისა და სენტიმენტების განახლებული ვერსიაა. ეთონი სმიტი კი, ახალ იდეას ავითარებს, იგი ეთნოსს ანუ ეთნიკურ ერთობას სიმბოლურ დატვირთვას აძლევს. სმიტი ეთნოსს უწოდებს ძველი ეპოქის სენტიმენტებსა და კოლექტიური კულტურის მქონე ერთობებს. „ფორმის“, „იდენტურობისა“, სიმბოლოსა“ და „კომუნიკაციების“ კონცეფციების განმარტება ეთნოსის ანალიზისას პირველხარისხოვანია.

- ეთნოსის ჩამოყალიბება ხდება შემდეგ საფეხვლებზე;
- ეთნოსის კოლექტიური სახელი;
- საერთო მითი წარმოშობის შესახებ;
- გამორჩეული საერთო კულტურა;
- ცალკეულ ტერიტორიასთან საკუთარი თავის იდენტიფიცირება;
- სოლიდარობის გრძნობა.

საერთო სახელი. ისტორიულ ჭრილში, კოლექტიური სახელი, ეთნოსის განმასხვავებელი ნიშანია. სახელის დარქმევა პიროვნების არსის იდენტიფიცირების ექვივალენტურია. ისტორიას არ ახსოვს უსახელო ეთნიკური გაერთიანებები. ეთნიკური მიკუთვნებულობის გრძნობის გაჩენა, სახელის აღებიდან იწყება. საერთო სახელი ბევრის მთქმელია. მოვიყვანოთ ერთი მეტად საინტერესო მაგალითი, იუგოსლავიაში ბოსნიელმა მუსლიმებმა გადაწყვიტეს დაერქვათ სახელი „მუსლიმი“, როგორც ეთნიკურობის განმსაზღვრელი. ამ შემთხვევაში ეთნიკური ჯგუფის იდენტიფიცირება მოხდა მათი რელიგიური მრწამსის მიხედვით.

კოლექტიური სახელი, ეთნიკური ერთობების ნიშანი და ემბლემაა, რითაც ისინი ახდენენ საკუთარი „არსის“ გამოხატვას და რითაც სხვებისაგან გამოიჩევიან.

წარმოშობის საერთო მითი. როდესაც წარმოშობაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ საერთო მემკვიდრეობასა და ფესვებს, მათ მნიშვნელობას საერთო მეხსიერების ჩამოყალიბებაში. ეს უკანასკნელი ეთნოსის არსს ხსნის. მითები კულტურას ქმნის, მითებისა და ლეგენდების პერსონაჟების მრწამსი გარკვეული ეთნოსის ღირებულებებს ქმნის, ღირებულებები, შეხედულებები, ტრადიციები, ჩვეულებები კი, საერთო კულტურას წარმოშობს და აყალიბებს.

მიწა ის ცნებაა, რომელსაც ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს ერის თვითმყოფადობის განსაზღვრისას. კაცობრიობის ისტორია, მიწებისათვის ბრძოლის ისტორიაა. ამის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მიწა სამშობლოა და თავისთავად მას მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. ეს ფაქტორები სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია და საბოლოოდ სოლიდარობის გრძნობას ბადეს ეთნოსის წევრებს შორის.

ერების დასახასიათებლად სიმბოლურ მიდგომას ვიყენებთ, შესაბამისად ვახდენთ ისტორიულ ჭრილში ერების განხილვას, მათი ჩამოყალიბების პროცესის შესწავლას, სიმბოლურ მახასიათებლებზე დაყრდნობით. აშკარაა, ერი არც ისე თანამედროვე ფენომენია, როგორც მას მოდერნისტები წარმოაჩენენ. ეს, რომ ასე იყოს, მისი გადარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ენთონი სმიტს შემდეგი არგუმენტები მოჰყავს:

- ეთნოსი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ მახასიათებლებს ატარებს, ერის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. ერის ჩამოყალიბება ხანგრძლივი და დინამიკური პროცესია. მობილიზაციისა და შეერთების, ცალკეულ ტერიტორიაზე დამკვიდრების, პოლიტიკური მნიშვნელობის შექმნისა და ავტოკრატიულობის მიღწევა, ხანგრძლივი პროცესია. ასე, რომ თანამედროვე ერზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ მისი 'ანტიკურობა'¹, როგორც მას თეორიის ავტორი უწოდებს.
- იმისათვის, რომ გადარჩეს, ერს სჭირდება ეთნიკური ბირთვი. თუ ის არ არსებობს, უნდა შეიქმნას, ანუ მოხდეს შესაბამისი და დამჯერებელი წარსულის აღმოჩენა, რომელსაც გაეცნობა და რომელიც წარედგინება ერის თითოეულ წარმომადგენელს და 'უცხოებს'. პირველი ეთნიკური ერები, ძლიერი, ურთიერთდაკავშირებული ეთნიკური ბირთვის ირგვლივ ჩამოყალიბდა. მათ მიერ შექმნილ სახელმწიფოებს შეეძლოთ მეზობელი ეთნოსების შეერთება და საკუთარი კულტურის თავს მოხვევა. დასავლეთ ევროპაში საერთო ისტორიული მითოლოგიის მქონე ტერიტორიული ერის რეალიზება მოხდა. იმავე მოდელის საფუძველზე, ერი, სახელმწიფოების ფორმირების მცდელობა იყო აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. ამ ქვეყნებში, ერისა და სახელმწიფოს შექმნის პროცესი, გაცილებით მეტ სირთულესთან იყო დაკავშირებული. რაც შეეხება აფრიკას, მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოში ჩამოყალიბდა დომინანტური ეთნოსი, რომელმაც სახელმწიფოს შენება საკუთარ თავზე აიღო (ზიმბაბვე, კენია). (საქართველოს მაგალითზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ).
- ერს სჭირდება სამშობლო. ამაში იგულისხმება არა უბრალოდ მიწა, არამედ ისტორიული მიწა, სადაც ცხოვრობდნენ წინაპრები. ისტორიულ ძეგლებს, ბრძოლების ადგილებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული თვალსაზრისით. ის ადვილებს და კვებავს ეროვნულობის გრძნობას, ინარჩუნებს ერის საერთო მეხსიერებას, ამ ყველაფერს კი, დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს შენების პროცესში.
- მე შენ ეს და ეს ვთამაშობთ პოკერს (პოკერი, როგორც საერთაშორისო თამაში ისე თუ აირჩია, იმიტომ რომ მსოფლიოში ბურას ბევრი არავინ თამაშობს. ის კი, სწორედ ოციოდ წუთის წინ მიაბობდა, როგორ წააგეს მან და ამ სამიდან ერთ-ერთმა ბურაში თვრამეტი ათასი ვილაცებთან). დარიგდა. მე ვარ თბილისში, შენ ხარ მოსკოვში, ეს არი პარიზში, ეს კიდე სადღაცას (მეოთხე უცებ სახსენებელი ქალაქი, ვთქვათ ნიუ-იორკი, ენაზე აღარ მოადგა). დარიგდა. და ვთამაშობთ. მე შემოვდივარ ჩიპს, მერე შენ შემოდიხარ, მერე კარტებს ვცვლით. ვთამაშობთ, კაროჩე...

- მერე თავანი? - იკითხა ერთ-ერთმა.

- რა თავანი? - გაუკვირდა ჩემ მეგობარს.

- თავანი როგორ ჩააქთ?

მთლად სულელი გამოდგა. მაგას რა მიხვედრა უნდოდა. თავისი მასტერ-კარდის ბარათის ნომერს და წაგებულ თანხას საჭირო ადგილზე ჩაბეჭდავენ და მიდიი... თანხას ჩაბეჭდვა არც უნდა, თვითონ მოჭრის საჭირო პროგრამა. ეს უკვე მე მოვიფიქრე.

ეს ამბავი დიდად არ მოეწონათ, ესე იგი, თუ ბანკში ფული არა გაქვს, ვერ ითამაშებო.

ამან ჩემი მეგობარიც დააფიქრა. მერე კი თქვა:

- იასნია, თუ მაგ დონეზე თამაშობ, ბანკშიც ფული გაქ...

- ფუფლო აღარ ყოფილა. რო უნდოდეს, მაინც არ გამოუვა, დაასკვნეს იმათ. - მილიანერები ყოფილან. ეგ მარტო ფაშისტებს შეუღლიათ.

- იმენა სერიოზულ იგროკებს, - განუმარტა ჩემმა მეგობარმა.

ამ ლაპარაკიდან მაინც ვერ გაიგებდი მოეწონათ თუ არა ინტერნეტი. მე ვცადე ელექტროფოსტის ამბავი ამეხსნა.

გაირკვა, რომ ფოსტა არ ჭირდებოდათ, მარამ მაინც მიხვდნენ, რომ ეს ყველაფერი ელექტრონით ხდება.

- ესე იგი, შუქი თუ არ არი, ეგეც არ არი.

მობილური ამჯობინეს, შუქი თუ არ არი ერთხანს მაინც მუშაობს და უკვე რეზბალნიცაზეც არი მობილურებიო. ინტერნეტი კი აბა როდის იქნებოდა რეზბალნიცაზე?

მთლიანად რომ მოვთვალთ, კარგი, გულთბილი საღამო გავატარეთ. უკვე

ბნელდებოდა, როდესაც თავიანთ გახუნებულ მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ, მე კიდევ საზამთროს კანები ჩავალაგე პარკში და მეზობლის ღორებს გადავუტანე.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩემმა ცოლმა ყოვლად მოხერხებულად დაიძვრინა თავი კაი ბიჭების მიღებისგან. როდესაც ამ ჩემმა მეგობარმა დარეკა მის ტელეფონზე, ჩემმა ცოლმა უთხრა, სახლიდან შორს ვარ, დაქალის აგარაკზე, მაგრამ ჩემი ქმარი სახლშია და სიამოვნებით დაგიხვდებათო. ამის შემდეგ, მართლაც წაასხა ბავშვები თავის დაქალთან და მეც არ მივძალეებივარ, აბა, ქალისთვის რა საინტერესოა, როცა ოცდარვაჯერ ეტყვიან, ჩემო დაიკოლო და თანაც, ქურდების ცხოვრების შესახებ უამბობენ.

ეს ამბავი იყო და ღამით ისევ არ დარეკა ამ ჩემმა მეგობარმა კარგმა ბიჭმა ჩემი ცოლის ტელეფონზე? მისახვედრი ქათინაურების და თბილი მოკითხვის შემდეგ, ცხადია, მე მომიტხოვა.

კარგად შემთვრალი იყო, უფრო მეტად, ვიდრე აქედან გავისტუმრე ანაც, რაიმე სხვა დაემატებინა, იმიტომ, რომ ხმა და სიტყვები თავის ნებაზე მიეშვა, რაც კაი ბიჭებში არცთუ გავრცელებული რამ არის.

საერთოდ კი, ის გამოირჩეოდა კაი ბიჭებისგან. კაი ბიჭი რომ არ ყოფილიყო, მართლა კარგი ბიჭი იქნებოდა, იმდენად წესიერი და ერთგული კაი ბიჭი იყო. კაი ბიჭობის აუცილებელ კანონად რომ მძიმე მარხვა შემოეღოთ, ერთხელაც არ გასტენდა, რომელიმე შახსეი-ვახსეი რომ შექნილიყო საჭირო, იმასაც მოიმოქმედებდა. ჩიოდა ხოლმე, რომ კაი ბიჭობა უკვე სხვანაირად ესმით და გარშემო ყველაფერი იცვლება, ანუ ცუდისკენ მიექანება.

ჭკუაში დაჯდომოდა ინტერნეტის საკითხი, ბიჭო, აი, ეხლა რო წარმოვიდგინე, მაგარი რამე უნდა იყოსო. მოკლედ, ეგებ როგორმე მართლა გამარკვიო რა არი, მარტო სათამაშოდ და ტოტალიზატორისთვის ხო არ მოიგონებდნენ ამხელა რაღაცასო. როგორც მივხვდი, წარმოედგინა, რომ მთელი მსოფლიო ბოჭკოვანი კაბელებითაა დატოტვილი და ისიც წარმოედგინა, რომ ეს კაბელები ისეთივე რამაა, როგორც სისხლძარღვები ადამიანის სხეულზე. ისე, კაცს რო ტყავი გააძრო და უყურო, მითხრა. ეტყობა, თვალწინ სულ ამ კაბელებში გამოხვეული დედამიწა ედგა და ხედავდა მილიონობით ერთმანეთში გადაბლანდულ კაბელს. ამ ლაპარაკზე მივხვდი, არაყისთვის რა დაემატებინა და ამ საუბარში ჩავეყვი, რადგან არ მინდოდა მისი ხილვები დამენგრია. რაღაც წარღვნისეულ სურათს ხედავდა იმ წუთში და სიმართლე ვთქვა, ვიცი ამ სურათების ფასი. თუ შიში, სხვანაირად კი იზმენა არ აეკიდებოდა, უსიამოვნო არაფერი ჩაუჯდებოდა თავში. ის უსაზღვრო ძალას გრძნობდა, ამ ბოჭკოვანი კაბელების იმედი ჰქონდა, თითქოს ამათ კალაპოტებში უნაპირო სიკეთე და იმედი მოედინებოდა.

სოფლად არც კომპიუტერი იყო და არც მოდემი, არც სხვა რაიმე ასეთი. ჩვენს სოფელში არ იყო ინტერნეტ კაფე, მხოლოდ კომპიუტერული თამაშების ფარდული მუშაობდა და ისიც ზაფხულობით. ამიტომ, ვუთხარი, ქალაქს რომ

აკა მორჩილაძე / კაი ბიჭის ცხოვრება@HOTMAIL.COM

ჩამოვალ, დავირეკავ და გაგარკვევ-მეთქი.

აგარაკზე პარასკევობით ამოვდიოდი ხოლმე, ორშაბათ დილით კი ისევ სამსახურისკენ, ანუ ქალაქისკენ გავწვედი, როგორც თფილისელი კაცების წესია. მთელ კვირას ქალაქში ვიყავი, მაგრამ, ცხადია, არ დამირეკია, ან სად უნდა დამერეკა, ან რატომ უნდა დამერეკა.

პარასკევ დილით სამსახურში მომაკითხა, შენს ცოლს დავურეკე და მომასწავლა ეს ადგილი. მცირედ დააბნია ჩვენი ოფის-მენეჯერი, რომელიც სულ არ იყო ნაზიარები კაი ბიჭობის სიტყვა-პასუხს და იმ ყაიდის ოფის მენეჯერი გახლდათ, ცხოვრებისეული გამოცდილებით კი არა, უცხოეთში მიღებული სწავლით რომ ცდილობენ შიდასაოფისე საქმეების მოგვარებას.

გვერდით მოვისვი და ახსნა დავუწყე. ან რა იყო ისეთი ასახსნელი, რომ დიდი სიბრძნე სჭირდებოდა. მცირე ზოგადი განმარტებების შემდეგ ვუთხარი, აი, ამ ცისფერ ე-ს დაჰკრავ ისარს და გამოვარდება ფანჯარა, სხვანაირად კი ვინდო, რომელსაც ეწერება ან „გუგლი,” ან „ალტავისტა,” ან „იაჰუ,” ან კიდევ რამე სხვა, იქ შიგნით პატარა ფორტოჩკა იქნება და იქ ჩაწერ რაიმე სიტყვას ან ცნებას, მერე გვერდით დაჰკრავ ისარს და წავიდა მეთქი. ფორტოჩკაში “ლას ვეგასი” ჩავწერე და პრაქტიკულად ავუხსენი ყველაფერი. მივყევი და მივყები, მისამართების ამბავიც ვუთხარი, ფავორიტებისაც, წაშლის და ახალი ფანჯრების იქვე გახსნისას.

მოკლედ, ყველაფერი ვუამბე და დაიმახსოვრა კიდევ, თუმცა, ოდნავ შემცბარი ჩანდა, აქ ყველაფერი ინგლისურად ყოფილა და მე მაინც ვერაფერში გამოვიყენებო. რუსული საიტებიც ვაჩვენე, მაგრამ არ მოეწონა, მთავარი, ესე იგი, ინგლისური ყოფილაო.

ვიფიქრე გავართო-მეთქი და ი-მეილის გასნა ვასწავლე, თავადაც გავეუკეთე მისამართი, თუმცა, საეჭვო იყო, რამეში დასჭირვებოდა.

kaibichistsxovreba@hotmail.com დავარქვით, ფასვორდის ამბავში კი თავად მოიგონა სიტყვა, განაბი, და ის ჩავწერეთ. დიდად გაახალისა ამ ამბავმა და რამდენიმეჯერ შევიდა და გამოვიდა თავის ყუთში. მერე, საჩვენებლად წერილიც გავუგზავნე, საპასუხო წერილის მოწერაც ვასწავლე და კლავიატურასთან გაშინაურებაც კი სცადა. აკრიფა, “რავა ხარ” და ჩემს მისამართზე გამოავგზავნა.

მეცადინეობა ამით დასრულდა და ის კმაყოფილი, თუმცა ოდნავ დაბნეული წავიდა. მერე კარგახანს აღარ გამოჩენილა, მიმავიწყდა კიდევ, იმიტომ, რომ თვეობით არ ჩანდა, მხოლოდ ზაფხულში უხშირებდა ხოლმე შემოვლას.

უკვე აციებული იყო, ნოემბრის ბოლო, თუ რაღაც ამგვარი და შებნელებულზე სახლში მოვედი. იქ დამიხვდა, ყავისფერ ჯემპარში ჩაცმული და უღვაშებდამშვენებული, ცდილობდა ჩემს ქალიშვილთან ეთამაშა, მაგრამ ეს უკანასკნელი ორ სამ ნაბიჯზე ახლოს არ მიდიოდა, მას კი წამოდგომა ეზარე-

ბოდა, რომ დაეჭირა. საერთოდ, ბავშვები უყვარდა, მაგრამ სიმკაცრეს ემხრობოდა, ტყუილად ხომ არ იყო კარგი ბიჭი. ჩემს ვაჟს, მაგალითად, სულ უბღვერდა და ჭკუას ასწავლიდა. რა თქმა უნდა, მეგობრულად, ოღონდ კაიბიჭური მეგობრობის ხერხებით და შეხედულებებით.

ჩემმა ცოლმა ჰოლშივე მითხრა, რომ ერთი საათის მოსულია და მელოდება, რადგან რაღაც საქმე აქვს. ცოტა დაეღია და ჩვეულ ღლაბუცის ხასიათზე იყო, კარგი ხუმრობა იცოდა, ოღონდ იშვიათად ხუმრობდა, ახლა კი სასაცილოდ ყვებოდა კაიბიჭურ ამბებს.

ეგ რა უღვაში დაგიყენებია მეთქი, მეც ვკითხე, რადგან არ უხდებოდა უღვაშები და საერთოდაც სხვა, მეტად უბრალო ვინმეს ჰყავდა. საქმის ამბავი, ისე თქვა, მივხვდი, ან ახალი გაძარცვული ჰყავდა ვინმე, ან დღედღეზე უნდა გაეძარცვა. ალბათ უკვე გაძარცვული ჰყავდა, რადგან უღვაშს სულ ახლად ამოკოკორებულობა ეტყობოდა. ამ უღვაშმა მაფიქრებინა, რომ ან ჩვენთან უნდა დასახლდეს რამდენიმე დღით, ან სხვა რაღაც საშიშარ ამბავში უნდა გავეხვიო. ისე, როგორც ერთხელ მოხდა, როცა ვიღაცეებთან გამატანა ორი სიტყვა, იმათ კიდევ წვრილად გამოკითხვა დამიწყეს, სად ცხოვრობო, ვინ ხარო და ასე დაუსრულებლად.

სამი წლის წინათ იყო ეს ამბავი და კინალამ წავხდი. აბა, ეგეთი ლაპარაკისა რა გამეგება?

ახლაც, რაღაც ასეთი უნდა ყოფილიყო და მისი ლაპარაკი არც კი მესმოდა, იმას ვფიქრობდი, რა მომელოდა. ის კიდევ ყვებოდა რაღაცეებს და სხვათა შორის, როცა ზრდილობის გულისთვის მოვიკითხე ის ორი კაი ბიჭი, ზაფხულში რომ მარჯობა. ერთი იმათიგან, იმათთან ყველაფერი გავაიანსეო, არაკაცობაში ვამხილე და საკადრისიც მივუზღე ქურდის წინაშე. წაიბურტყუნა, ეგ ბოზებიო და აღარ გაუგრძელებია, რამაც კიდევ უფრო დამამწუხრა.

სათქმელს კი არ ამბობდა, თითქოს განგებ მაწვალებდა და მეც გულგაწვრილებული ველოდებოდი. ჩემი ცოლის სამგზის შეთავაზებაზე ეთქვა უარი, ვერ ვივანშებებ, მეჩქარება და არცა მშიაო. მე, მეოთხედ შეთავაზზე და გამომიბტყდა, სიმართლე გითხრა, ძალიან მეჩქარება, ქვემოთ, მანქანაში ერთი კაი ბიჭი მელოდება და წასასვლელები ვართო. მე, როგორც წესია, საათნახევარი მანქანაში მჯდომის ამოპატიჟება მოვითხოვე, მაგრამ ესეც იუარა, შენთან მაქ საქმე, იმასთან კი არაო. ჩემი ცოლი მიხვდა, ქალიშვილს ხელი მოავლო და ოთახიდან გაიყვანა.

გავიდინე თუ არა, მან შესავლისა და მომზადების გარეშე მომახალა, ინგლისურის სწავლა მინდა და კაი მასწავლებელი მიშოვნეო. ამ ამბავმა იმდენად გამახარა, რომ ვეღარ გამაოცა. რაღაც საშინელებას ველოდი და იმიტომ.

ოღონდ, ეგ ამბავი საერთოდ არავინ არ უნდა იცოდესო, საერთოდ არავინო.

აბა, რაღა რჩებოდა მისი გაღმური კაი ბიჭობიდან, ვინმეს რომ შეეტყო, „ჰედვეის“ რვეულებით დარბის აქეთ-იქით და დროებსა და ზმნებს იზუთხავსო.

მე, დახმარება აღვუთქვი, სამსახურში გავიკითხავ-მეთქი. ერთადერთ რამეს ითხოვდა, მასწავლებელი ქალი იყოს, სრულიად არ არის აუცილებელი, რომ ახალგაზრდა და ისეთი, მე რომ იოლად გადავიხვევ ხელზეო. რა თქმა ინდა, მივხვდი, რაც უნდოდა, მაგრამ იმანაც დამაფიქრა, იმ მასწავლებელს რა დაემართებოდა, ეს რომ წარუდგებოდა პირველ გაკვეთილზე. არ იფიქრო, რომ გადავაგდებ, თუ უნდა, ნახევარი წლის ფულს წინდაწინ მივცემო.

დამიბარა, ორ დღეში სამსახურში გამოგივლიო და დაუმშვიდობებლად წავიდა.

ის კაი ბიჭი იყო, მე კიდევ, ცუდი ადამიანი ვარ. წავიდა თუ არა, ჩემი ცოლი შემოვარდა ოთახში, მომეცი, მე დავმალავ, ბავშვმა არ ნახოს სადმეო. ახსოვდა, ერთხელ რომ პისტოლუეტი მომაბარა შესანახად. მე პირდაპირ ვუთხარი, რომ ინგლისურზე უნდა სიარული მეთქი. მეგონა ჩემი ცოლი გახალისდებოდა და იმიტომ ვუთხარი, მაგრამ სახე რომ მოეღრუბლა, ფიცება დაუწყე, არსად წამოგცდეს-მეთქი. სად უნდა წამომცდესო, კიდევ უფრო შეწუხდა, რატომ მოისურვა ინგლისურზე სიარულიო.

ეს ამბავი უცებ ვერ დავაკავშირე ინტერნეტთან და ახლაც მგონია, რომ ინტერნეტის გამო არ გადაეწყვიტა ინგლისურის სწავლა. რაღაც უნდოდა და ეს ინტერნეტიც და ინგლისურიც იქედან თუ გამომდინარეობდა.

მასწავლებელი კი, იოლად ვუშოვნეთ. რა უნდა თბილისში ინგლისურის მასწავლებლის შოვნას? არც მთლად თანამედროვე იყო და არც ძველი ხერხების მიმდევარი. ყოველ მოთხოვნას დაჰყავდა, ჯგუფში ეს არ ივლიდა და მე თვითონ მოვიფიქრე, რომ ცალკე მეცადინეობა მომეთხოვა მისთვის. ქალი დაჰყავდა, ჩემი თანამშრომელი ელაპარაკა ტელეფონით და ყველაფერი მშვენივრად აეწყო. ორ დღეში შემომიარა და ამ მასწავლებლის ტელეფონი დავახვედრე. დავრეკავო, თქვა სერიოზული სახით და წავიდა. ეჩქარებოდა, მანქანაში ერთი კაი ბიჭი მელოდებო.

იმის შემდეგ აგე რამდენი დრო გავიდა და აღარ მინახავს.

საერთოდ აღარ მინახავს, შუა ზაფხულია უკვე და არც აგარაკზე გამოჩენილა რომელიმე თანმხლებ კაი ბიჭთან ერთად, რათა ნაირგვარ საკითხებზე მოგვესაუბრა.

ერთ დღესაც სამსახურში, აგარაკიდან წამოსული პირდაპირ სამსახურში მივედი და ჩვენმა მდივანმა მითხრა, უკვე ორჯერ დაგირეკა ვიღაც ქალმა და ბოლოს ტელეფონის ნომერიც დამიტოვა, როგორც კი მოვა, დამიკავშირდესო. გვარი და სახელი მეცნო, სწორედ ის ქალი უნდა ყოფილიყო, ეს ჩემი მეგობარი რომ მივაბარეთ ინგლისურის სასწავლად. სანამ დავრეკავდი, ვიფიქრე, რომ გადაავდო და ახლა ეს ქალი თავისი ჰონორარის მოპოვებას ცდილობს.

ჩემს თანამშრომელს გამოვკითხე და მითხრა, კიო, შენ დაგეძებს ჩემი ნაცნობი ის ინგლისურის მასწავლებელი, შარშან რომ ვილაც გავუგზავნეთო. ნომერს რომ ვკრეფდი, ვფიქრობდი, რომ ინგლისურის მასწავლებლის მეზობლის ბინა შეათვალიერა და ერთ ღამესაც გაწმინდეს მან და რომელიმე კაი ბიჭმა, ან სულაც შეცვივდნენ და სახლის პატრონები გაკოჭეს. ამიტომ, ვცდილობდი, ყველაფრისთვის მზად ვყოფილიყავი და უკვე საჭირო პასუხებს ვალაგებდი თავში. თუმცა, როგორ იქნები ყველაფრისთვის მზად?

ქალს სასიამოვნო, იდუმალი ხმა ჰქონდა. ჩემის გამოთვლით, ორმოცდა-თორმეტი წლის იქნებოდა. შინაურულად, ისე მელაპარაკებოდა, ბევრი რამ რომ უნახავთ და განუცდათ ცხოვრებაში, მაგრამ ოცნებებს რომ ვერ გადაჩვევიან. საქმე ჩვენს საერთო მეგობარს ეხებაო, ყოველგვარი ავი ინტონაციის და ნიშნისმოგების გარეშე მითხრა და შეხვედრა დამითქვა, სამწუხაროდ სატელეფონო საუბარი არ არის და უნდა შეგაწუხო. რა შეწუხებაა-მეთქი, დავიღვარე, ოღონდ კარგი მაინც ცოტა ჩანდა ამ ამბავში, ამ ქალის ხმის გარდა, არაფერი იყო სანდო და საიმედო.

ზაფხული იყო და ქალაქში მყუდროება შეიგრძნობოდა, ვაკის პარკის თაღებთან შევხვდი. დიდად კულტურული ქალი იყო, რომ მოგეწონებათ ისეთი. სამ წუთში შევიტყვე, რომ ერთი შვილი ამერიკაში ჰყავს, მეორე ინგლისში. სხვაგვარს არც ველოდი „მონტე კარლოს“ ეწეოდა და ძალიან ლამაზი, ძველი ჩანთა მოეგლო მხარზე, იქედან კი საქაღალდეები მოჩანდა.

გადამკოცნა, ბოდიში, რომ გამოგიყვანე, მაგრამ სამსახურში მოსვლა არ მინდოდაო. რაასა ბრძანებთ-მეთქი, უკვე დრო მოდიოდა ეთქვა, შენმა მეგობარმა ფული არ გადამიხადაო.

- უბედურება რა არის იცი, ჩემო კარგო? შეიძლება ადამიანს უნდოდეს, რომ კარგი იყოს, მაგრამ არაფერი გამოუვიდეს. გარემოს ვერ მოერიოს. ძალიან მწყინს ეს ამბავი. ორი დღეა ვფიქრობ და თავიდან ვერ ამოვიგდე, - ასეთი რამ მითხრა - დღეს უკვე გაზეთებშიც წერია.

მოკლედ, ეს ჩემი მეგობარი და ინგლისურის მასწავლებელი დიდად დამეგობრებულიყვნენ. როგორც ვხვდები, მასწავლებელს ის მოეხერხებინა, რაც მე არც კი მიცდია ოდესმე და კაი ბიჭი, კარგი ბიჭობისკენ გადმოექაჩა. როგორც დავატყვე, ეს ამბავი თანდათანობით მომხდარიყო, რადგან ამ კარგ დეიდას თანდათანობით დაეტყო რა შვილიცა ბრძანდებოდა მისი მოწაფე და ასევე თანდათანობით მისდგომოდა მისი ციხე-სიმაგრეების ნგრევას. ერთი დროც ჩამომდგარიყო და გულახდილ საუბარზეც გამოეწვია ეს ჩვენი კაი ბიჭი. ძალიან კარგი დეიდა იყო, ისიც კი მითხრა, სულ იმას ვფიქრობდი, ეს ურთიერთობა, რომელიც ამ ნადირთან წამოვიწყე რაიმე უხამს ისტორიაში არ გადაიზარდოსო. უხაროდა, რომ ბეწვის ხიდზე გაიარა და ბიჭს არა მხოლოდ ინგლისურს ასწავლიდა, არამედ მართლა ასწავლიდა რაღაცეებს.

ნებისმიერ დროს შეეძლო მოსვლა, ღამლამობით სრულიად გონებადაბინდული მირეკავდა და ლამის ფსიქოთერაპევტად ვიქცეო, ესეც მითხრა. ეგ ეხერხება-მეთქი, მივუგე. არ ვნანობო, რადგან მართლაც ძალიან გულიანი და ალალი ბიჭი გახლავსო, ღმერთო, რა იქნებოდა, ვინმეს რომ ადრიდანვე მიეხედა მისთვისო. კარგი დედა ჰყავდა მეთქი, მახსოვდა დედამისი, ბავშვობისას რამდენჯერ ვყოფილვარ მათთან, ეზოში.

ეს რომ ვთქვი ძალიან ნაწყენმა შემომხედა, ეტყობოდა, ჩემზე მეტი იცოდა მისი თავგადასავლისა.

მთავარი კი რა მომხდარიყო: ორი დღის წინათ დაერეკა მასწავლებლისთვის და ეთქვა, სამწუხაროდ, ვეღარ ვივლი თქვენთანო და ამ თვის ფულს მერე როგორმე მოგაწვდით, ოღონდ ძველი პირობა დაიმახსოვრეთ, არავის უთხრათ რომ თქვენთან დავდიოდიო. ქალი ცხადია მიმხვდარა, რომ რაღაც ცუდი ამბავია და უკითხავს, ხომ არ დაუპატიმრებისხარ, რამე ხომ არ ჩავიდენია, თუ ასეა, იცოდე, რომ ყველანაირად დაგეხმარებიო. არაო, უპასუხნია, არავის დაუპატიმრებისხარ, მაგრამ შეიძლება დამაპატიმრონ, რადგან კაცი მოვკალიო. კაცი კი არა, არაკაციო და მეტს ვეღარ დავრეკავო.

მასწავლებელს გულს შემოყრია ეს ამბავი და მეც, რაღა დაგიმალოთ, შევცბი. ერთი-ორჯერ კი გამეგონა მისგან, ვილაცაზე ნათქვამი, თუ ასე მოქცევას გააგრძელებს, გავხვრიტავო, მაგრამ ეს იმდენი ხნის ამბავი იყო, რომ წელიწადი ვერც კი გავისხენე. ერთი იმის მეშინოდა, რომ მარცვისას არ მოეკლა ვინმე, ან აკივლებული ქალი, ან შემოსწრებული მეზობელი.

მასწავლებელმა დაკეცილი გაზეთი მოძებნა ჩანთაში და იქ პირდაპირ ეწერა ყველაფერი, სახელებიც და გვარებიც. სწორედ ის თავისი დოსტი მოეკლა, მანქანაში რომ ელოდებოდა ხოლმე. გაზეთში წესიერად რას განგიმარტავენ, კრიმინალური გარჩევა იყო და მანქანაში ისხდნენ ეს ორნი და ერთი მეძავიო. თუ კრიმინალური გარჩევა იყო, მეძავს რაღა უნდოდა მანქანაში.

მოკლედ, ლაპარაკი მოსვლიათ, ამას დაუხლია ექვსი ტყვია, გადმოსულა მანქანიდან და მიმალულა. ცოტ-ცოტა რაღაცეები კი გამეგებოდა ამ ისტორიისა, მაგრამ კეთილშობილ დეიდას ხომ ვერ მოვუყვებოდი. რაღაცნაირი მმაკაცობა ჰქონდათ, იმას თითქოს რაღაც შურდა ამისა, ეს კიდევ არ იმჩნევდა და მანამდე იცდიდა, სანამ ის საბოლოოდ არ გასკდებოდა. მე მგონია, რომ მოკვლას ის უფრო დაუპირებდა, მაგრამ ეს ჭკვიანი იყო და დაასწრებდა, ხოლო მეძავი გოგოს იქ ყოფნა იმას თუ ნიშნავდა, რომ ყველაფერი უცებ მოხდა.

ცხადია, მე მასწავლებელს ვერ გადავარწმუნებდი: სჯეროდა, თითქოს ყველაფერი იმიტომ მომხდარიყო, რომ ეს საბრალო ბიჭი (ასე თქვა) სწავლას დაეწაფა. მასში ცვლილება შეამჩნიეს, გაუგეს და იმათებურად ანგარიშის გასწორებაც დაუპირეს, რასაც ის, როგორც მამაცი, მაგრად დაუხვდა და იბულებით შეიქნა მკვლელი. ანუ, რასაც უნდოდათ, მიაღწიესო.

ჩემს ღუმილს, ამ ამბის დაუჯერებლობა რომ დაატყოს, შემომიბთია, როგორ, ჯერ მარტო წიგნებს რომ უპოვნინდნენ სახლში, ხომ მიხვდებოდნენო. მალეკოლმ ბრედბერის წიგნს ვაკითხებდი უკვე და ვათარგმნინებდიო.

ეს მაინც იყო სანუგეშო, რომ თურმე ინგლისურს დიდი მონდომებით სწავლობდა და საერთოდ, ნიჭიც გამოსჩენოდა ენების დაუფლების საკითხში.

ძალიან უყვარდა ამ ქალს თავისი კაი ბიჭი მოწაფე, მაგრამ აბა რა შეგვეძლო? დავიშალეთ დარდიანად და მე სამსახურისკენ წამოვედი, ის კი თავისი ინსტიტუტისკენ წავიდა.

ძალიან კულტურული მოსიარულე იყო, უკნიდანაც.

და საერთოდ, მგონი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც მართლა წუხდა მისი ბედის გამო. მეც ვწუხნდი, მაგრამ რა მექნა? ვიცოდი, რომ ადრე, თუ გვიან რაღაცას მოახდენდა.

ის ქალბატონი კი ამის შემდეგ აღარ მინახავს, არც ის ვიცი, დაუბრუნა თუ არა მალეკოლმ ბრედბერის წიგნი. საიდან დაუბრუნებდა. არც ის ქალბატონი მინახავს და არც თვითონ ის. არადა, სულ ვფიქრობდი მის შესახებ, ასავალ დასავალს ვერაფრით შევიტყობდი, რადგან მისი ბოლო მისამართი არ ვიცოდი. მთელი თეორია ავაგე, რადგან უზარმაზარი ზღაპარი შევაკოწიწე ადამიანის შესახებ, რომელმაც საშინელი, ათასტაბუიანი სამყაროდან კარი გამოიჯახუნა. დიდ ტრაგიკულ გმირად შევრაცხე ეს ჩემი მეგობარი, რომელმაც რაღაც საქმეზე თავისი მეგობარი მოკლა და ეს მკვლელობა განთავისუფლების სისხლიან სიმბოლოდ წარმოვიდგინე, ლამის რიტუალურ მკვლელობად, მსხვერპლშეწირვად დავსახე. ის რომ გცნობოდათ, სხვანაირს ვერც თქვენ წარმოიდგენდით რამეს. თავიდან ბოლომდე მითებით გაჯერებული კაცი იყო მეტად სჯეროდა თავისი კერპებისა. ურყევი იყო, უშიშო და უხორცო. ჯოჯოხეთის კარზე შინაურულად მიაკაკუნებდა.

უცნაური კი ის იყო, რომ ინგლისურის მასწავლებელთან შეხვედრიდან ერთი თვის თავზე სამსახურში ერთი გოგო მომადგა. ტყავის შარვალი, ტყავის კურტკა ეცვა და ოცი წლის იქნებოდა. შარვალი, ისევე როგორც მძიმე ქუსლებიანი ფეხსაცმელი შავი ეცვა, კურტკა კი ისეთივე შავი შეერჩია, როგორიც თმის საღებავი. ხელში შავი ცელოფანი ეჭირა და მხარზეც შავი ჩანთა მოეგლო. უბეებიც კი ჩაშავებული ჰქონდა, ხოლო მანიკური მუქი შინდისფერი. საერთოდ, ვერ მივხვდი ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამაგებინა, რომ სწორედ ის ბოლო ქალი გახლავთ, ვისთანაც ჩემი მეგობარი ცხოვრობდა.

მე, რა თქმა უნდა, ყავაზე დავაპტიჟე, ბოლოსდაბოლოს მეგობრის ცოლი იყო. ცოლი თუ არა, მეგობრის მეგობარი და დიდად ნაწვალები გოგოც ჩანდა, რაღაცნაირად მოღუნებული და მოძრაობაშენელებული. მრავლობით-მხოლობითს თავისებურად ურევდა, ადრევე გვინდოდა მოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. კაფეში ჩასვლაზე კი უარი მითხრა, ძაღლები (სწორედ ასე თქვა) მიყურე-

ბენ(სწორედ ასე თქვა) ხოლმე და თუ ახლაც მიყურებენ, შარი რათ გინდაო. შენ იმას ძალიან უყვარხარ და ეგრე დამიბარა ფრთხილად მიდიო.

ყავა მაინც დალიე-მეთქი, არ მოვიშალე და ოფისში დავტრიალდი, მადულარაც მოვართვი და დაფქული ყავაც. თვითონ მოაღულა, ორონდ მხოლოდ ჩემთვის და ბრწყინვალედაც გამოუვიდა. იმის გემო ახლაც მახსოვს. რა თქმა უნდა, არ იცოდა სად იყო ჩემი მეგობარი, თუმცა, მანამდე რაც მომხდარიყო, ყველაფერი იცოდა. სწორედ ის მჯდარიყო მანქანაში, როცა კაი ბიჭებს ლაპარაკი და სროლა მოუხდათ ერთმანეთში.

ამას რომ არ მოეკლა ის მოკლავდაო, ასე ამიხსნა. იმ დღეს თუ არა, მეორე დღესო. თურმე, ის მოკლულს მოუხერხებია და ეს ჩემი მეგობარი ძალიან სწრაფად შესძულებია ციხიდან გამოსვლის შემდეგ, რადგანაც ამას მისთვის ნაირგვარ საქმეებში მხარი არ დაუჭერია. გარეგნულად მაინც ერთობას უჩვენებდნენ უბნის ხალხს, რადგან იმათ არ შეეტყოთ, რომ ჩემმა მეგობარმა თავისი მეგობარი აღარ მოიწონა. ამასაც ჩემი მეგობარი აკეთებდა თურმე, რადგან მისი სახელი ღიდად შეელოდა იმ ციხიდან ახლადგამოსულს, რომელიც ასევე ყველას შესძულებოდა და ერთი სული ჰქონდათ, სანამ რამეში გამოიჭერდნენ, მაგრამ რახან ჩემი მეგობარი ედგა გვერდში, ითმენდნენ. ის კიდევ თავზეხელაღებული ბიჭი ყოფილიყო და ეს სურათი ეუკადრისა. ამიტომ, ჩემი მეგობრისადმი ბრაზი სიმთვრალეში გამოაჩნდებოდა ხოლმე და ძმურ ლაპარაკში მეტისმეტს ეტყოდა. ამიტომ, ნაირგვარ შემოწმებებს გაუმართავდა ხოლმე ჩემს მეგობარს.

მაგალითად ეტყოდა, ძმაო-ჯან, ხო ვარ პაპა რიმსკიო. ანუ პირველი ხო ვარო. ეს კი ასევე არ იყო დამთმობი და უპასუხებდა, პაპა რიმსკიც რა ვთქვი, ძმები ვართ და კაი ბიჭები, მთავარიც ეს არისო. იმას კიდევ ამგვარი პასუხები გულზე ხეთქავდა, მაგრამ ითმენდა.

იმ ღამეს, მთვრალი ყოფილა და მანქანაში უთქვამს, ქურდი ვარო. თქვენთვის და ჩემთვის არაფერი, მაგრამ გოგომ ამიხსნა, რომ ამ ბოლო დროს ასეთი თქმები გახშირდა, რაიც გაუგებრობებს და მთქმელი თვითმარქვიების წახდენას იწვევს ხოლმე. ჩემს მეგობარს მიუგია, მთვრალი ხარ და ეგ აღარ გაიმეორეო. იმას კიდევ, მოგკლავო, თუ არ მოგკლა ნახეო. ქურდი ვარ ბიჭოო. ის უიარალოთ ყოფილა, მაგრამ ისეთები უთქვამს, რომ ამას ამოუღია და პირდაპირ მანქანაშივე უსვრია. ყველაზე ცუდი ის გამოდგაო, რომო, ამ გოგომ თქვა, რომ ეს მოკლულიო, თურმე მართლა სიტყვას ელოდებოდაო, ხუთი წუთიდა აკლდა ქურდობამდეო და გასვენებაში ითქვაო, რო ქურდათ იმარხებაო.

ამის მერე ვინ გამოდიოდა ჩემი მეგობარი, სიტყვას აღარ გაავარძელებ. აბა, ქალს ხომ არ ალაპარაკებდნენ იქ, მოკლული უტრაბახებელს ტრაბახობდაო.

ამეებს მიაძობდა ეს გოგო და სულ ბოლოს გადმომიღო მაგიდაზე ის შავი ცელოფანის პარკი, აი, ესო, ამისთვისა ვარ მოსულიო. სულ ერთხელ

დამირეკა რაც გაქცეულიაო და მითხრაო, შავი პარკი რო ღვეს, ის ამადა ამ ჩემ ძმას წაუღე და იმან იცის რასაც უზამსო.

პარკში გამოდგა ჩალაგებული: „ჰედვეის“ სახელმძღვანელოები (სულ მთლად შევსებული გაუწაფავი კალიგრაფიით), ემილი ბრონტეს „ქუხილიანი უღელტეხილი“ (ინგლისურ ენაზე, პირველ თვრამეტ გვერდზე უცხო სიტყვები ვარდისფერი მარკერით გადაჭრელებული და ზედვე დაწერილი ქართული მნიშვნელობები) და „გარიბალდის ცხოვრება“ რომელიმე რუსი ავტორისა (ქართულ ენაზე).

იმწამსვე მივხვდი, რომ ეს ყველაფერი გოგოს თანდასწრებით არ უნდა ამომეღებინა, რადგან მან არაფერი იცოდა ჩემი მეგობრის გატაცებებისა და მეცადინეობებისა.

ო, ო, ეს ჩემი წიგნებია ერთხელ მანქანაში დამრჩა მეთქი-მაგათთან, ასე წამოვიდახე და მის ქებას მოვეყვი, რა კაცია, ასეთ ღლეში მყოფს ეს როგორღა გაახსენდა-მეთქი. გოგომ ისე შემომხედა, რომ ქალს ვერაფერს გამოაპარებო და თქვა: შენ იცი, ეგ იმას გავს, რო შენ მომპარავობა დაიწყეო.

სხვანაირი ბიჭია-მეთქი, წავიბურტყუნე.

ხო, სხვანაირი გახდაო.

აღარ გაუგრძელებია, ეტყობოდა იცოდა, რომ ის რაღაც არაკაიბიჭურს საქმიანობდა. მხოლოდ ეს თქვა, ფეხშიმედ ვარო და აღრე სულ ვიკეთებდი აბორტს, ახლა კიდე აღარ გავიკეთებო.

ჩამწყდა სული, გული და ყველაფერი, რაც შეიძლება ჩაწყდეს კაცს. ან სად მოასწრო ამდენი აბორტები. თუ მშვიდობა იქნა, ხო მომიხატავო, თქვა, შეისწორა ჩანთა მხარზე და წავიდა.

აგე, რამდენი დრო გავიდა იმის შემდეგ, იმ გოგოს ასავალ-დასავალი კი ვერ დავადგინე. მხოლოდ ამ შობას, ი-მეილის ყუთი გავხსენი და იქ წერილი დამიხვდა: "marry christmas, friend."

მისამართი ნაცნობი იყო: kaibichiscxovreba@hotmail.com

მე ამ მისამართის ფასვორდიც მახსოვდა, თუმცა სხვის ყუთში ტრიალი პატიოსან ბიჭს არ შეშვენის. ბოლომდე სიმართლე რომ ვთქვა, ფასვორდი შეეცვალა, „განაბი“-ზე კარი არ იღებოდა. შეცვლიდა. ყველაფერი შეცვალა და ფასვორდს აღარ შეეცვლიდა? ძალიან შემრცხვა, რომ მის საფოსტო ყუთში შეღწევას ვლამობდი, მაგრამ ასე მეტს შევიტყობდი, ჩემი მეგობრის შესახებ.

წიგნები ინგლისურის მასწავლებლისთვის არ დამიბრუნებია. მქონდეს სახსოვრად.

აი, ასეთი ამბავი იყო და ამიტომაც სულ მახსოვს, რომ ერთხელ კაი ბიჭებში ვიჯექი. მე თვითონ ვერა ვარ კაი ბიჭი, მაგრამ ისე მოხდა, რომ მყავდა ასეთი მეგობარი, რომელიც კაი ბიჭი იყო.

საუბარი კი ინტერნეტს გადაწვდა.

მშვიდობა სამართალზე დგას 12

გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

There is no Peace without Justice 12

ლექსები

ბასა ჯანიკაშვილი

ფიჭური გაბმულობის საზოგადოება

ფუტკრებივით ერთი კბენის უფლება გვაქვს
 და მაინც გვეშინია მწარედ მოქნეული ხელის.
 ფუტკრებივით ვშრომობთ,
 რათა მომავლისთვის არაფერი დაგვრჩეს.
 ფუტკრებივით დაფრინავთ
 და სხვის აშენებულ სახლში გვინდა ვიართო.
 ფუტკრებივით ვაშენებთ სკას,
 რომ თაფლი სხვას შეხვდეს,
 რადგან ფიჭური კავშირის საზოგადოებაში ვცხოვრობთ.
 ფუტკრებივით ვპოულობთ ყვავილებს
 და მაინც სილამაზე შორს გვეჩვენება.
 ფუტკრებივით ბევრნი ვართ,
 რათა განმარტობამ სიამოვნება მოგვანიჭოს.
 ფუტკრებივით ერთი სიცოცხლე გვაქვს
 და შეცდომების პატიებას ვითხოვთ.
 ფუტკრებივით ერთმანეთის გვეშინია,
 რადგან ფიჭური კავშირის საზოგადოებაში ვცხოვრობთ.

ბასა ჯანიკაშვილი / ლექსები

უსათაურო

გამომეღვიბა მაშინ, როდესაც ამერიკამ ავღანეთს დაარტყა. ჩემი ლოგინი, ოთახი,
 სახლი და სრულიად საქართველო შეირყა, მაგრამ არაფერი დანგრეულა.
 თითქოს ასანთის კოლოფში ვცხოვრობდეთ.

ჯაყყაყი არაფერია. მთავარია ვილაცამ ასანთის კოლოფი არ გახსნას და ჭუჭყიანი ფრჩხილებით ყვერებზე არ წაგვავლოს ხელი. მაშინ გვეტკინება და ვინატრებთ დროს, როდესაც ასანთის კოლოფში ვისხედით და სრულიად საქართველო, სახლი, ოთახი და ჩვენი ლოგინი – გარანტირებული ასი ლარივით თავქვემ გველო.

გამომეღვიდა მაშინ, როდესაც ამერიკამ ავღანეთს დაარტყა. ჩემი ლოგინი, ოთახი, სახლი და სრულიად საქართველო შეირყა, მაგრამ არაფერი დანგრეულა.

თითქოს ასანთის კოლოფში ვცხოვრობდე.

ჯაყყაყი არაფერია. მთავარია ვილაცამ ასანთის კოლოფი არ გახსნას და ჭუჭყიანი ფრჩხილებით ყვერებზე არ წამავლოს ხელი. მაშინ მეტკინება და ვინატრებ დროს, როდესაც ასანთის კოლოფში ვიჯექი და სრულიად საქართველო, სახლი, ოთახი და ჩემი ლოგინი – გარანტირებული ასი ლარივით თავქვემ მელო.

ირგვლივ ყველას ეძინა და სიზმრად ხედავდნენ როგორ დაინგრა ამერიკა. მათ ჯაყყაყი არ გაუგიათ. ირგვლივ ყველაფერი სიზმარს ჰგავდა, მე კი ცუდ დროს გამომეღვიდა.

დაძაბული ხარ, მანამ არ მიხვდები, რომ შენ შენ არ ხარ. შენ არასდროს არ ხარ შენ. იქ სხვაა, ძლიქვნელი და უსაქმური, ორპირი და გამყიდველი, კეთილი და ნაბოზარი, ლამაზი და მორცხვი. იშვიათად ხვდები შენს თავს და იცი, რომ გეშინია და ამავდროულად გსიამოვნებს. შეგრძნება იმისა, რომ შენ პირწმინდად არ ჰგავხარ საკუთარ თავს – აგამაღლებს. გაურბიხარ პირისპირს, რადგან მომავალი პაემანი გაცილებით მიმზიდველი იქნება. რაც უფრო ხანმოკლეა სიამოვნება, მით უფრო ემსგავსება ორგაზმს. და ეს საოცარი თვითგვემა გაბოროტებს.

ამ ყველაფერს ისევ სჯობს დავიძინო და ცხადში ვნახო როგორ ეღვიძებათ სხვებს. და მესიზმროს, რომ ირგვლივ ყველაფერი ცხადივით ნათელია, მე კი რა ცუდ დროს მძინავს.

თევზაობა

ანკესის წვერზე ჩამომხრჩვალნი მზიანი ნერვი გესობა
და გიფხაჭუნის სხეულს.
შენი სიმშვიდე, შენი სიჩუმე
ერთფეროვანს ხდის და აბერებს ლოდინს.

უსათაურო

სად იწყება და სად მთავრდება ყველაფერი?
და რა არის ყველაფერი?
ლურჯი ჩაი, რომელიც ღნება,
შავი ფერფლი, რომელიც გელოდება,
თეთრი მაგიდა, რომელიც მირბის და ეშინია სიზმრების.
როდესაც ერთმანეთს ემსგავსებით და მოღური ხდება ფიქრები შენზე,
იწყება ყველაფერი, სახელად დასასრული.
დაღლილი აქლემით გავისეირნებთ ცენტრალურ პროსპექტზე,
ვესვრით ცარიელ სიტყვებს გამოხედვებს,
(პროსპექტზე, ხომ მხოლოდ გამოხედვები დადიან)
ვიქნებით ბევრნი და გვეცოდინება რა გვექვია.
მოციმციმე წარწერებით აფიშაზე ამოვიკითხავთ მიზანს,
ვივლით საელჩოში ბედნიერების მოლოდინში და
ჩაგვირტყამენ მომავალს სახელად ვიზა!
და ამის შემდეგ დაიწყება ყველაფერი,
რომელიც არ იცი რა არის.
იქნები სუსტი და ინანებ იმას, რაც იცი,
რადგან იცი ის, რომ ელოდები წარსულს.
სად იწყება და სად მთავრდება ყველაფერი?
პურის რიგი, რომელიც ჩაგივლის,
სითბო, რომელიც იყიდება,
ტელევიზორი, რომელიც შენთან ერთად ებრძვის აწმყოს.
როდესაც იცი, რა გინდა და არ იცი როგორ
იწყება ის, სადაც მთავრდება ყველაფერი.

მშვიდობა სამართალზე დგას 13

გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

There is no Peace without Justice 13

სიყვარულის დოქტრინა

ბრუნო ბეტელმანის პოლიტიკური ფილოსოფია
და ბრუნო ბეტელმანის კონსტიტუციური იდეების პრეზენტაცია

ირაკლი კაკაბაძე

დღევანდელ მსოფლიოში, ისევე როგორც ჩვენს ქვეყანაში, შეინიშნება პოლიტიკურ იდეათა ინფლაცია და დეგრადაცია, რადგანაც ადრე არსებულმა იდეოლოგიურმა დაპირისპირებებმა თავისი დრო მოჰკამეს და ცარიელ ანაქრონიზმად გადაიქცნენ.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს გამოჩნდა, რომ ადამ სმიტის მიერ ჩამოყალიბებული “ბაზრის უზენაესობის” დოქტრინა არ ყოფილა პლანეტაზე მცხოვრები ადამიანებისათვის უნივერსალურად გამოსადეგი ფორმულა. მართალია, ამ სისტემის გამეფების შემდგომ შესაძლებლობები მიეცა ბევრად მეტ ადამიანს, ვიდრე მონარქიის დროს, მაგრამ მაინც ისტორიის ამ მონაკვეთზე მსოფლიოში მცხოვრებ ადამიანთა ცხრა მეათედი უკიდურეს სიდუხჭირესა და გაჭირვებაში აღმოჩნდა. “ძლიერი გადარჩეს” - სოციალური დარვინიზმის თეორია, რომელიც სპენსერმა ჩამოაყალიბა, მხოლოდ ახალი ბურჟუაზიული ელიტისათვის გამოდგა ხელსაყრელი და დანარჩენ ადამიანებს არსებობისათვის ბრძოლად უქცია ეს წუთისოფელი. კაპიტალიზმშიც საკუთარი არსებობის კრიზისში სწორედ მაშინ შევიდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სოციალურ-ეკონომიკურმა სისტემამ უდავოდ გააღვიძა ადამიანებში შემოქმედებითი სწრაფვის ნიჭი და, თომას ჯეფერსონის სიტყვებისა არ იყოს, ყველა კაცს მისცა თანაბარი უფლება სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვისა. ჩვენთვის ეს დებულებები დღესაც აქტუალურია, მეტი რომ არ ითქვას. როდესაც ჩვენ კაპიტალისტური წყობის კრიზისზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დაგვავიწყდეს ის, რომ თავის დროზე, კლასიციკლური “ბუნებითი კანონის” თეორიამ და პრაქტიკამ დიდი როლი ითამაშა კაცობრიობის პროგრესის საქმეში. ფეოდალური წყობილების შემდეგ დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების ცხოვრებაში გატარება უთუოდ დიდი ნაბიჯი იყო დასავლური ცივილიზაციის ისტორიაში. მაგრამ, როგორც ყველა დანარჩენს, სმიტის კლასიკურ თეორიასაც დაუდგა კრიზისის ხანა.

ირაკლი კაკაბაძე / სიყვარულის დოქტრინა

მე-19 საუკუნის შუახნებიდან ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში იწყება ინტენსიური მუშაობა სპენსერისა და ჰობსის სოციალური დარვინიზმის მოდელის (ანუ კლასიციზტურ-კაპიტალისტურის) განახლებასა და ალტერნატივის მოძებნაზე. ამას შედეგად მოაქვს მარქსისტული და სხვა სოციალისტური დოქტრინების წარმოშობა და დამკვიდრება ევროპისა და შემდგომ უკვე აზიის პოლიტიკურ ბაზრებზე. ამ ფილოსოფიის მთავარი ქვაკუთხედი იყო რესურსების თანაბარი, და, მაშასადამე, სამართლიანი გადანაწილება. დასაწყისში ევროპის ინტელექტუალური წრეები დიდი იმედით უყურებდნენ ამ მოვლენას, რამეთუ მასში ხელავდნენ “სოციალური დარვინიზმისაგან” გამოსავალს და ქონებრივი უთანასწორობისაგან თავის დაღწევის საშუალებას. მაგრამ, მე-20 საუკუნეში მიმდინარე მოვლენებმა, როდესაც ლონდონის ეკონომიკური სკოლის ნააზრევის რუსულმა, ჩინურმა, ვიეტნამურმა თუ კუბურმა და სხვა ვარიანტებმა პრაქტიკაში იჩინა თავი, კაცობრიობამ ნათლად დაინახა, რომ ეს მსოფლმხედველობა და პრაქტიკა მეტად შორს იყო სრულყოფილებისაგან და უფრო მეტიც, ის კაპიტალიზმზე გაცილებით მეტ უთანასწორობას აჩენდა. დიქტატურა და ტოტალიტარული რეჟიმი უცილობლად თანამდევნი პირობა აღმოჩნდა კომუნისტური რეჟიმებისათვის. მთლიანად დაითრგუნა ინდივიდუალური და სიტყვის თავისუფლების ნებისმიერი გამოვლინება.

მე-20 საუკუნის შუაგულში ჯონ მენარდ კეინსიმ შეიმუშავა გარკვეული შუალედური მოდელი, რომელიც ცდილობდა, საუკეთესო აელო კაპიტალიზმისა და სოციალიზმის სისტემებისაგან. ევროპული ენით რომ ითქვას, ეს იყო სოციალ-დემოკრატიული სისტემის ბრიტანულ-ამერიკული ვარიანტი. კეინსი-ანური ნეო-ლიბერალური მიდგომა წარმატებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ ამერიკელი ხალხი გამოეყვანა დიდი დეპრესიიდან და დაეწყო ერთი შეხედვით უპრეცედენტო ეკონომიკური აღმავლობა არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მთელს განვითარებულ სამყაროში. მართალია, ამ მიდგომამ მთლიანად ვერ მოაგვარა უმუშევრობისა და სხვა ეკონომიკური პრობლემები, მან მნიშვნელოვნად გააიოლა ცხოვრება ევრეთ წოდებული საშუალო კლასის ამერიკელისათვის. მაგრამ, ამავე დროს ამ დოქტრინამ ვერაფერი მოუხერხა იმპერიალიზმის ფენომენს, რომელიც ვიეტნამისა და ავღანეთის ომების პერიოდში კიდევ უფრო საშინელი სახით წარმოჩინდა. ამავე დროს ვერ მოგვარდა უმცირესობათა პრობლემაც, რომლებიც თავს ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში ბოლომდე ჩაბმულებად არ გრძნობდნენ, და, მაშასადამე, ჩაგრულის კომპლექსით არსებობა უწყვედათ.

1960-იან წლებში ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებმა, ჰაიეკისა და სხვა ლიბერტარიანელი მოაზროვნეების გავლენით, შექმნეს ევრეთ

წოდებული “ნეო-კლასიციზტი” სკოლა, რომელიც ისევ და ისევ კერძო მესაკუთრეს ანიჭებდა პრიორიტეტს, ოღონდ ამჯერად გაცილებით უფრო ცივილიზებულ ფორმებში. ამ ფილოსოფიის ერთ-ერთ მამამთავრად ითვლება კარგად ცნობილი კონსერვატიული ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი. ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის ფილოსოფიის ცხოვრებაში გატარების პერიოდად თამამად შეიძლება ჩაითვალოს რონალდ რეიგანისა და მეგი ტეთჩერის მმართველობის პერიოდი, 1980-იან წლებში, შესაბამისად, შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში. ამ პერიოდში აგრეთვე მოხერხდა საბჭოთა იმპერიის დამარცხება, რაშიც დიდი როლი ითამაშა ლიბერტარიანიული იდეების პოპულარობამ ადგილობრივ დისიდენტურ წრეებში და თავისუფლებისაკენ სწრაფვამ საბჭოთა იმპერიის მიერ დამონებულ ერებში. შეუძლებელია, არ აღინიშნოს ეს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევა, რომელიც ნეო-კლასიციზტებმა შეიტანეს მსოფლიო განვითარების ამ ეტაპზე. მაგრამ ამავე დროს, ისევე როგორც კეინსიანური ფილოსოფიის მოქმედების ჟამს, ვერ მოხერხდა სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის და პატარა ერების უფლებების რეალური დაცვა. გაიზარდა დეფიციტი ბიუჯეტში, რადგანაც მთავრობას სამხედრო ხარჯების დასაფარად არ ჰყოფნიდა საკუთარი სახსრები. რეიგანომიკას წარმატებად მიიჩნევენ ეკონომიკურ წრეებში, თუმცა მის პოლიტიკას ბევრი სამართლიანი კრიტიკოსიც ჰყავს.

ამავე დროს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნეში განვითარებულ პოლიტიკურ თეორიებსა და პრაქტიკებს აშკარად გამოკვეთილი ევროცენტრისტულ-ჩრდილო ამერიკული ძირები ჰქონდა, რაც თავისთავად არ ითვალისწინებდა მსოფლიოს დანარჩენი ნაწილის კულტურულ და სულიერ მემკვიდრეობას. უფრო მეტიც, ეს პროტესტანტულ მორალზე დაფუძნებული პოლიტიკური ფილოსოფია თითქმის მთლიანად აიგო “ნაციონალური დარვინიზმის” პრინციპზე, სადაც დიდი ერები ბუნებრივად თავს ახვევდნენ საკუთარ ცხოვრების წესსა თუ ფილოსოფიას პატარა ერებს. ყველანაირი ზნეობრივი თუ ეთიკურ-რელიგიური კანონების გათვალისწინებით, ეროვნული დარვინიზმის ფილოსოფია არანაკლებ ანტიჰუმანისტური იყო, ვიდრე მისი სოციალური წინამორბედისა. მსოფლიო გადანაწილდა ორ დიდ სუპერ-ბლოკს შორის და სხვა ერებს თითქმის არანაირი უფლება არ დარჩათ ცხოვრებასა თუ თავისუფლებაზე, თუკი ისინი უარს განაცხადებდნენ გაბატონებული ქვეყნების ჰეგემონიაზე.

მე-20 საუკუნემ გვაჩვენა, რომ არც ერთი სახის დოგმატური აზროვნება არ არის გამოსავალი და პრობლემების გადაჭრის გზა. ჯონ ბარტონის აზრით, დოგმატურმა კაპიტალიზმმა და სოციალიზმმა, ორთავემ, გამოაჩინეს საკუთარი იმპერიალისტური ბუნება და იმის აუცილებლობა, რომ დღევანდელ მსოფლიოს უფრო სრულყოფილი და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნა

სჭირდება, რომელიც უხეში ძალის მაგივრად დაემყარება ადამიანებს შორის ჰუმანისტური ურთიერთობების პრინციპს. რა თქმა უნდა, ეს სათქმელად ადვილია და გასაკეთებლად უკიდურესად რთული, მაგრამ ამის მაგალითები არსებობს მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში.

ცალკე აღებული მემარჯვენე-ლიბერტარიანული ფილოსოფია, თუმცა დიდ ადგილს უთმობს პიროვნულ და ინდივიდუალურ თავისუფლებას, ამავე დროს აშკარად უგულბებელყოფს დაუცველი და ჩაგრული კლასების ინტერესებს. ის თანაბარი შესაძლებლობების საზოგადოების დაფუძნებას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს სიღუბნის ჭაობიდან ამოიყვანოს მსოფლიოს მოსახლეობის 4/5. ანუ თავისუფლების იდეა ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ადამიანებისათვის და უმრავლესობა მაინც სოციალურად დაუცველია.

მეორე მხრივ, სოციალისტურმა მოდელებმა თითქოს უმუშევრობისა და სოციალური სიღუბნის დაძლევა მოახერხეს გარკვეული დროით, მაგრამ სინამდვილეში წარმოშვეს ახალი სახის ფეოდალური მონსტრი - ნომენკლატურა. ამ კლასმა, ტერორისა და არადემოკრატიული სახელმწიფო მოწყობის გზით, მთლიანად მოუსპო თავისუფლება ადამიანების უდიდეს ნაწილს და დროთა განმავლობაში ძალაუფლებასთან ერთად ეკონომიკური რესურსების უდიდესი ნაწილის მითვისებაც მოახერხა. ამის ნათელი დადასტურება ის არის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდიდარ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა ყოფილი კომუნისტური პარტიის აპარატის წევრები, ან მათი ნათესავები არიან. დამკვიდრდა ხალხის სახელით მოსახლეობის ძარცვის პრინციპი, რომელიც ღალას კრეფდა განურჩევლად ყოველი მოქალაქისაგან და ამით ცუდ მდგომარეობაში აყენებდა ქვეყნის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას.

დასკვნა ნათელია, თავისი წმინდა სახით არც ერთმა სისტემამ არ გაამართლა. ჩვენ საქართველოში ამ სოციალური ექსპერიმენტების მთელ რიგს მოვესწარით. ეს ექსპერიმენტები ხშირ შემთხვევაში არ იყო ქართული ეროვნული სულიდან მომდინარე, არამედ წარმოადგენდა ევროპაში თუ ამერიკაში შექმნილი თეორიების უნიჭო და მონურ გადაძლეობას. აქ თითქმის მთლიანად ამოძირკვეულ იქნა ის დიდი შემოქმედებითი გენია, რომელიც ქართველ ერს გააჩნია. აქედან გამომდინარე, ჩვენ, ამ ბოლო ორასი წლის მანძილზე, არც გვქონია ჩვენი ეროვნული სისტემა. არადა, თავადმა ილია ჭავჭავაძემ თავისი ნააზრევით დაგვიტოვა პოლიტიკური და სოციალური განვითარების მშვენიერი მოდელი, რომელიც არც ერთ ევროპულ თუ ამერიკულ დოგმატურ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ნააზრევს არ ჩამოუვარდება. თავისი ნააზრევითა და ცხოვრებით მან მშვენიერი მაგალითი მოგვცა იმისა, რომ შეგვიძლია ვიფიქროთ, როგორც ჩვენი კერძო კაპიტალისა და საწარმოების გაძლიერებაზე,

ასევე სოციალურად დაუცველი ფენების უზრუნველყოფაზე.

მთავარი ამოსავალი წერტილი ამ დოქტრინისა მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური თანასწორობა და თავისუფლება ერთმანეთს ძირშივე არ ეწინააღმდეგება. სიყვარული არ გულისხმობს მონობას და თავისუფლება არ გულისხმობს უპასუხისმგებლობას. “გლახის ნაამბობის” ავტორი ერთდროულად “მგზავრის წერილების” ავტორიც არის. მისი სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინა ქართველი ერის საუკეთესო ნაწილის წიაღიდან ამოდის და პროგრესის საწინდარიც არის.

იმისათვის, რომ საქართველო გადარჩეს, ჩვენ სასწრაფოდ გვჭირდება ერთმანეთის დადანაშაულებიდან და ლანძღვიდან რეალურ პრაქტიკულ საქმეზე გადასვლა. ისეთ საქმეზე, რომელიც კონკრეტულად განახორციელებს ყველაზე წმინდა ადამიანურ გრძნობებს - საკუთარი სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს, რომელიც გამაგრებულია მრწამსით და იმის შეგნებით, რომ ადამიანი ღმერთმა ამ ქვეყნად კარგი საქმეების საკეთებლად გააჩინა. ჩვენ საბოლოოდ უარი უნდა ვთქვათ იმ უაღრესად მავნებელ აზროვნებაზე, რომლის მიხედვითაც ადამიანის არსება არის ბოროტი და მას სიკეთის ქმნა არ ძალუძს.

რა არის სიყვარულის დოქტრინის მთავარი მამოძრავებელი ღერძი ღღევანდელ ღღეს ჩვენი ქვეყნისათვის: ეს არის ადამიანის ჰუმანისტური იდეალის აღორძინება და რწმენა იმისა, რომ ადამიანს კეთილ საქმეთა კეთება ამ ქვეყნად არა თუ შეუძლია, არამედ ევალება კიდევ. ამისათვის საჭიროა მისადაგებული სახელმწიფოებრივ -პოლიტიკური მმართველობის სისტემის შექმნა. ამ სისტემის შექმნისათვის ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ჩვენი სულიერი მემკვიდრეობით და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტური პრინციპებით.

სიყვარულის დოქტრინის ძირითადი ელემენტებია:

1. პოლიტიკური ფილოსოფიის ჰუმანისტურ პრინციპებზე აგება, სადაც შესაძლებლობები სრულიად თანაბარია და ამავე დროს არ გვავიწყდება ინდივიდუალური თავისუფლებები.

2. სოციალური პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატება სათემოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მექანიზმების მაქსიმალურ გაძლიერებაში და ამავე დროს ცენტრის მიერ მათს ხელშეწყობაში.

3. არააგრესიულ საგარეო პოლიტიკაში, რომელიც უხეში ძალის პრინციპს არ დაემყარება, მაგრამ საგარეო აგრესიას მთელი ერის დაუმორჩილებლობას დაუპირისპირებს. საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს ორიენტირებული კარგ

ურთიერთობებზე როგორც ამერიკასთან, ასევე სხვა ქვეყნებთან. ნებისმიერი სახის იმპერიალიზმის მკვეთრ მიუღებლობაზე.

4. მაქსიმალური ხელშეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საგადასახადო შეღავათებით.

5. ქართული მეწარმეებისთვის მაქსიმალური მხარდაჭერა იმაში, რომ მათი პროდუქცია გასაღდეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

6. ძლიერი თავდაცვის სისტემის ქონა, რომელიც შორს იქნება ყველანაირი იმპერიალისტური აზროვნებისაგან.

7. თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან და მაქსიმალური დაცვა სამოქალაქო უფლებებისა.

8. ქართული კულტურის საუკეთესო ნიმუშების პროპაგანდა მთელ მსოფლიოში.

9. სოციალური პასუხისმგებლობისა და თავისუფლების იდეების ერთობლიობის ილიასეული აზროვნების გათავისება და მისი რეალური, ყოველდღიური განხორციელება ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

10. თავისუფალი ვაჭრობა ყვალასთვის და არა მხოლოდ მდიდრებისათვის. კომერციული რეკლუცია საქართველოში დამთავრდება მაშინ, როდესაც ყველა უბრალო ადამიანს ექნება საშუალება, პატიოსანი კონკურენციის პირობებში შეძლოს ბედნიერებისკენ სწრაფვა.

11. შემოქმედებითი ნიჭის მაქსიმალური ხელშეწყობა საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის ნებისმიერ სიტუაციაში.

12. ქალთა და მამაკაცთა სრული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური თანასწორობა არა მხოლოდ სადღეგრძელოებში, არამედ საქმეში.

13. საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იგრძნოს თავი სახლში, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, რელიგიური თუ სხვა ორიენტაციისა.

14. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია საქმით იქცეს ჩვენი ცხოვრების მთავარ დოკუმენტად. პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუცია უნდა იცოდნენ კანონის დამცველებმა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებმა.

15. რეალური დახმარება პროფკავშირულ მოძრაობას და მინიმუმი ხელფასის კანონის სასწრაფოდ და ადეკვატურად ამოქმედება.

16. სიტყვისა და შემოქმედების თავისუფლების დაცვა. ქართული ეროვნული თავმოყვარეობისათვის ცენზურა ისევე მიუღებელია, როგორც თვითონ მონობა.

17. საქართველოს ჯანმრთელი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული

დეცენტრალიზაცია. უფრო მეტი რესურსები და ძალაუფლება რეგიონებს. ეს საბოლოოდ ცენტრს გააძლიერებს. ჯანმრთელი ფედერალიზმის პრინციპის ცხოვრებაში გატარება თავისთავად მოსპობს ძალადობრივი კონფლიქტების შესაძლებლობას.

18. უფრო მეტი მშენებლობა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე.

19. ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ამ დებულებებს განხორციელება სჭირდება პრაქტიკაში, და არა მხოლოდ სიტყვით. ამიტომაც სიყვარულის დოქტრინა ღია წიგნია, რომელშიაც ახალი თავის ჩაწერა შეუძლია ყველა შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანს, განურჩევლად მისი პარტიულობისა თუ ჯგუფური კუთვნილებისა.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველი ერი მონობისა და უსახურობისთვის არ არის გაჩენილი. ჩვენ შეგვიძლია ჯანმრთელი და ძლიერი სახელმწიფოს აშენება. ისეთი ძლიერი სახელმწიფოსი, რომლის მთავარი ძალაც იქნება სიყვარულის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. ჩვენ ვიცით, რომ სიძულვილში არ ვვარგევართ და არც უსინდისობა გამოგვდის კარგად, ამიტომაც სიყვარული არის ჩვენი ერთადერთი ალტერნატივა. სიყვარული ჩვენი მიწისა და ჩვენი ხალხისა და აგრეთვე რწმენა იმისა, რომ ღმერთმა “ადამიანი საკუთარი სახისა და ხატისა დარად ქმნა.”

გვჯერა, რომ ქართველი ერი აუცილებლად შეძლებს ამას. და თუ ჩვენ ღმერთთან ერთად ვიქნებით, მაშინ ღმერთიც ჩვენთან იქნება!

ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ გამოიკვეთოს საქართველოს სულიერი მისია მთელს მსოფლიოში, რომელიც საკუთარ პოლიტიკურ აზროვნებას დიდი ილიას სიყვარულის დოქტრინაზე ააგებს და არა სხვების დაშინებასა და დაჩაგვრაზე.

ირაკლი კაკაბაძე / სიყვარულის დოქტრინა



PT/6/2003/22



PT/6/2003/22

ISBN: 99928-824-3-3